


ქიზობი

1982

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

6

652
1982/2



60



ჭოჯოხი



ლიბერატორულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საპარტიზოლოს მფარველთა კავშირისა
და აჭარის განყოფილების
ორგანო

გ ა მ ო ც ე მ ი ს 24-ე წ ე ლ ი

6

1982

ნოემბერი
დეკემბერი

რა შვენიერა ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მთბრვალა, ბვირტყასი ზღლით...
ქალაქი—ჩვენი ქვეყნის უანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



ბ ა თ უ მ ი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ





საქართველური კომუნისტის, სსრ კავშირის შეაღწევი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

კომუნისტური პარტიას, საბჭოთა ხალხს

17783

მკვირვასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნისზმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი გახუფოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომის შემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანვეტებიცაა. ყველგან, სადაც უნდა გაეკზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ეხერჯიითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიადი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი შეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის შაკალითს. მას ეკუთვის უთვალსაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეო-

ს. მარტინის სხვ. სპ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
კ. ბ. ლ. ი. ბ. კ. ბ. კ.

ბის გაუმჯობესების კურსის განსახდვრასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

წარუვალთა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამსახურება საქართველოს ახპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზმის აგრესიული ზრიკების მტკიცედ უკუკადების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდია მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სახამ ლეონიდ ილიას ძის გული ძვერდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს, მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყრელად დაკავშირებული. კომუნისტთა, ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგვებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდია ჩვენი მწუხარება, ამ გლოვის უამს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირანშებთან სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ხალხს სჯერა პარტიის, მისი მძღავრი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გულით უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოვიპოვეთ, საიმედო ხელშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებული არიან სკკპ XXIII-XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური ერთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი, არა ომისათვის მზადება, რომელიც ხალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა უშიშრო სარგვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება და მშვიდობის დაცვის უშუალო ვარსკვლავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოცობის წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანაარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ. მაგრამ ეს ვერ შეაჩვევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დავიცვათ მშვიდობა. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამხედრო ავანტიურების მოფარულებმა საბჭოთა ქვეყანას მოუშაადებულს არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა იცოდეს: მას გარდუვალად ელის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ვერდნობა თავის ძლიერებას, იწინებს უდიდეს სიფხიზლესა და თავდაჭერილობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოლებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან ააცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოლებს დამაბულობის შენელებისა და განაარადებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, ყველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეკუთვნის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიაჩნია თავის ნაცად კოლექტიურ ბელადად, ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად, მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალისჩინივით უფრთხილდება შრომელთა ნდობას, დღენიადგა განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების ყოველი შემობრუნების დროს, ყოველი გახსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე რჩება. დღეონი ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტუ-

რი პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შიშველი
ნებელი შავალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი
გამოიჩენენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის
ხელმძღვანელობით, თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყო-
ფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოცია-
ლისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.



მ მ გ (მ ბ რ) ბ ი ს ბ ა ლ ი

დიდი და ნათელი დღესასწაული გვეწვია.

ჩვენი დიადი სამშობლო, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს ისტორიულ თარიღს — საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლის-თავს.

ხალხთა ძმურ კავშირში გაერთიანებული ყველა რესპუბლიკა სასახელო მიღწევებით შეეგება ამ შესანიშნავ დღესასწაულს. მოწინავეთა შორისაა ჩვენი რესპუბლიკაც — საბჭოთა საქართველო. ამის შესახებ ხაზგასმით იყო აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისაოვის მოსაზრებულად საქართველოს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე ბოლო ათწლეულში მიღებული სათვალავით შეშვიდე ფუნდამენტური დადგენილება იმ ზრუნვისა და ყურადღების კიდევე ერთი ნათელი გამოხატულებაა, რომელსაც საქართველოს მიმართ აჩვენს ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სხვებთან ერთად მაღალი შეფასება დაიმსახურა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითა შრომამ.

შორს წაგვიყვანდა ყველა იმ წარმატების ჩამოთვლა, რომელიც უკანასკნელ ხანს ქართველმა მწერლებმა მოიპოვეს. ამ წარმატებაში აჭარის მწერალთა ორგანიზაციის გარკვეული წვლილიც არის.

ჩვენი მწერლების შემოქმედებითი აქტიურობა განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილესათვის ზეგონების დღეებში. ეს იუბილე არის ჭეშმარიტად დიდი დღესასწაული, ხალხთა მეგობრობის შესანიშნავი ზეიმი, მეგობრობისა, რომლის საილუსტრაციოდ მარტო ჩვენი ქალაქის — ბათუმის ჩაგალითიც კმარა.

დიდი გალაკტიონი ამბობდა:

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი ძვირფასი ბედით,
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

სწორედ ამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყარზე მდებარე უძველესი ქართული ქალაქი ბათუმი ოდითგანვე ხალხთა მეგობრობის ქალაქი იყო.

უზუცესი ბათუმელი მოქალაქე ალექსანდრე თიროშვილი იგონებდა: როდესაც გასული საუკუნის მიწურულში ბათუმს საქართველოს ბულ-ბული, ხალხთა მეგობრობის მომღერალი აკაკი წერეთელი სწვევია, ბათუმელ ახალგაზრდებს აკაკის ეტლიდან ცხენები გამოუხსნიათ, თვითონ შე-ბნულან და საღვურადან სასტუმროში ასე მიუყვანიათ პოეტი. სხვათა შორის, აკაკისადმი დიდი სიყვარულის ნიშნად, ამას საქართველოს სხვა ქალაქებშიც აკეთებდნენ, მაგრამ ბათუმში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ეტლში ქართველებთან ერთად შებმული იყვნენ რუსებიც, სომხებიც და ბერძნებიც.

ეს დღით მომზდარა, ხოლო როდესაც სადამოს ქალაქის საკრებუ-ლოში პოეტის საღამო გადაუხდიათ, უბილეთოდ დარჩენილი ზღვა ხალხი, რომელთა შორის არაქართველებიც ძალიან ბევრნი იყვნენ, შუაღამემდე ელოდა ღვოსნის გამოჩენას, რომ მისალმებოდა მას და თავისი სიყვარული გამოეჩაჭა. აი, ასე იცოდნენ მათ ძმობის ფასი.

დიდი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები, საზოგადო ლიდერები სწირად ჩამოდიოდნენ ბათუმში და მის სილამაზეს, ამ ქალაქის მცხოვრებთა სტუმართმოყვარეობას აღტაცებით იხსენიებდნენ. მათ პატივისცემად ბათუმის სახლებზე გაკრულია მენორიალური დაფები, ქუჩებს ჰქვია ოსტროვსკის, გორკის, ჩაიკოვსკის, ესენინის სახელები.

„ჩემი აღფრთოვანება აღუწერელია. ეს დიდებული პირველყოფილი დედაებრავი სილამაზეა. მცხოვრებთა სილამაზე... აღტაცებით აღავსებს სულს“.

ეს სატყვეები დიდ რუს დრამატურგს ალექსანდრე ოსტროვსკის ეკუთ-ვნის. სხვათა შორის, საპატიო სტუმარმა ბათუმის ზღვისპირა პარკში მაგ-ხოლია დარგო, რომელსაც დღეს მძლავრად გაუშლია ტოტები და ბათუმე-ლები მას ოსტროვსკის მაგნოლიას უწოდებენ.

„ესოდენ ბევრი და ასე იოლად ცხოვრებაში იშვიათად იწერებაო“, — აღფლობინებდა მეგობრებს სერგეი ესენინი ბათუმიდან. მისი „ანა სნეგინა“, „შაგანე“ და რუსული პოეზიის კიდევ სხვა შედეგები სწორედ ბათუმში დაიწერა. ჩვენს ქალაქს ესენინმა შეხანიშნავი ლექსი მიუძღვნა.

ჩვენი მხარის, ჩვენი ქალაქის კიდევ ერთი დიდი ნეგობარი უნდა გა-ვიხსენოთ. ბათუმის მახლობლად, მწვანე კონცხზე, დაწერა ანტონ ჩეხოვ-მა თავისი მოთხრობა „წვანე რქა“, რომლის ერთ-ერთი გმირი ქართვე-ლია და მოქმედებაც ძირითადად ჩვენთან, საქართველოში მიმდინარეობს. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ადგილის სახელი — „წვანე კონცხი“ პი-რველად ამ მოთხრობაში გამოჩნდა და სავარაუდებელია, ამის შემდეგ ვავრცელდა რუსეთში ასე ფართოდ.

აქვე, მწვანე კონცხზე, დაწერა ჩიხილ ბულგაკოვმა თავისი პიესა „ბათუმი“, რომელიც ასახავს ჩვენი ქალაქის პროლეტარიატის ბრძოლას რუსეთის პირველი რევოლუციის დღეებში.

ბათუმში, ლენინის ქუჩის დასაწყისში, მდებარე სახლს ამშვენებს მე-ქორაალური დაფა რუსი ინჟინრის, ნიჰიერი ქალაქთმშენებლის დიმიტრი სვიშჩევსკის პატივსაცემად. მან ბათუმის საკეთილდღეოდ ბევრი გააკეთა. აჭარის არქიტექტორთა კავშირის ინიციატივით, საზეიმოდ აღინიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი. საიუბილეო სადამოს სვიშჩევსკის ქალიშვილად ესწრებოდა. აუღელვებლად არ შეგეძლოთ მოგესწინათ ის სიტყვები, რომლებიც მან მეგობრობის ქალაქის — ბათუმის მშრომელთა საზოგადოებრივად წარმოთქვა. აქვე დაემთხვა, რომ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომოს გადაწყვეტილებით, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას სვიშჩევსკის სახელი ჰქვია.

ასევე სათითად ენახავენ ბათუმელები ბოტანიკური ბაღის დამაარსებლის პროფესორ კრასნოვის ხსოვნას. საკუთარი ანდერძის თანახმად, დეაქლმოსილი მეცნიერი თავის დაარსებულ ბაღშია დაკრძალული, მის საფლავზე ძეგლი დგას.

ჩვენს ქალაქის მშრომელთა მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, მეოცე საუკუნის ვარიჟრაჟზე რომ შეიქმნა, ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს აერთიანებდა. ისინი ერთად იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. სწორედ ამის შესახებ წერდა ლენინური „ისკრა“.

სახელოვანი ტრადიციები ისევე გრძელდება — ხალხთა ურღვევი მეგობრობა აჭარის მშრომელთა დღევანდელი თვალსაჩინო წარმატებების საფუძველია.

მეგობრობის ქალაქი ბათუმი! — რა ღრმა შინაარსი, რა გულის სითბოა ჩაქსოვილი ამ სიტყვებში. მეგობრობას, ძნობას, კატომიყვარებას აკვირდნენ გვასწავლიდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი მამა-პაპანი. ჩვენი ძიება და ამხანაგობა ჩვენი სახლების ეზოებიდან იწყებოდა. ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი — ყველა თანასწორი, ანზანავი და მეგობარი იყვნენ, ერთმანეთის ენას სწავლობდნენ.

სწორედ ასეთმა მეგობრობამ, ასეთმა სიყვარულმა და კატომიყვარებლამ აგვაქმნებინა ჩვენი რწმენის კედელი, გვასწავლა ის, რასაც რუსთაველი გვიანდერძებდა:

ხაზს მოყვარე მოყვრისათვის

თავი ჭირსა არ დამრიდალ...

საამისოდ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა. მხოლოდ ერთს შეგახსენებთ:

იგი ბათუმელი სტუდენტი გახლდათ — მანული გაბელია. ზამთრის

ერთ სუხსიან საღანოს ზღვის პირას განწირული დედის ყვირილი მძიმ-
ესმა. ამ ქალის შვილი — რუსი გოგონა ტალღებში იხრჩობოდა. ჩემი
გულით ავადმყოფი იყო, მაგრამ ასეთ დროს ამაზე ფიქრიც არე
და! წყალში გადაეშვა, გოგონა იხსნა, ჩაგრამ საკუთარ თავს შეტყუ-
ლა... გულმა უმტყუნა... კაცთმოყვარეობითა და სიკეთით აღსავსე იყო მისი
გული.

ბათუმი ძმობისა და მეგობრობის ქალაქია! ჩვენ ინტერნაციონალისტე-
ბი ვართ! — თითოეულ ჩვენგანს ბევრჯერ გაუწეოვრებია ეს სიტყვები. ინ-
ტერნაციონალისტობას მეტად ღრმა შინაარსი აქვს, როგორც ერთმა ქარ-
თველმა მწერალმა თქვა: ინტერნაციონალიზმია ის, რომ ქართველები
ბამზე ნია გრუზინსკაიას აშენებენო.

„ჭოროხის“ ამ ნომერში დაბეჭდილია ნარკვევი „ბამშენის“ განყოფი-
ლების უფროსის, ბათუნელი ელდარ სურმანიძის შესახებ. სხვა ბევრ
კარგ საქმესთან ერთად ელდარმა საკუთარი სიცოცხლის რისკით, ხანძრი-
საგან გადაარჩინა სახალხო ქონება. ალბათ, ელდარისა და მისი ამხანაგე-
ბის გმირობას უმღერა ევგენი ევტუშენკომ თავის პოემაში, რომელიც
ბამელ ქართველებს ეძღვნა.

ზემოთ ბათუმის ზღვისპირა პარკში ალექსანდრე ოსტროვსკის მიერ
დარგული მაგნოლია ვახსენეთ, ამ მაგნოლიის გარდა, ვინ დათვლის, კიდევ
რამდენი უცხო ევზოტიკური მცენარე ხარობს ბაღში ადგილობრივი ფიშის
ხეების გვერდით. თუმცა რატომ უცხო! ამ მაგნოლიებზეა, პალმებმა თუ
კვიპაროსებზეა ისეთი ღრმა ფესვები გაიდგეს ჩვენს მიწაში, ისე შეეთვისენ
აქაურ გარემოს, რომ მათ გარეშე დღეს უკვე წარწოდებელია უღამაზესი
ბაღი. ეს მცენარეები აწმვენებენ ჩვენს მიწა-წყალს, აჯანსაღებენ კლიმატს,
ასპეტაკებენ ჩვენს სულს.

ალბათ, შეიძლება ამ აყვავებულ ბაღს შევადართო ჩვენი მეგობრობა,
ქართველების გვერდით მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შე-
კავშირება უკეთესი ღერმისისათვის ბრძოლაში.

დაე, კიდევ უფრო აყვავდეს და გაიფურჩქნოს მეგობრობის ბაღი ჩვე-
ნი ხალხის საბედნიეროდ, ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ!



ქმობის სიმღერა

ქედები მზეზე თებებან,
ქარი ვაზს ესაღწუნება.
რა დიდებული მთებია,
რა დიდებული ბუნება!

ტალღები თეთრი ფაფარით
მკერდში ეხვევა ნაპირებს.
მამული მართლაც ზღაბარი
ვის გულს არ მოინადირებს.

ცაზე წზე ბრწყინავს სამოცი, —
ქვეყნის სითბო და მშვენება.
მამულს ვადიდებ დალოცვილს,
მამულს — გული და შენება!

ძღევას და მიზანს გონიერს —
ლექსი, დაზგა და ულოცა.
წენს ხალხს, კეთილს და ღონიერს
ქმობის გაზაფხულს ვულოცავ!..

წინ დიდი გზები კვეთახის,
გზები ნათელი, მზიანი,
ავყავებული ვენახი,
ბაღები ბარაქიანი.

ათასი ველი გაშლილი,
ათასი ხმა და დიდება,
გულთა ღამაში კავშირი,
ძმობა ღამაზე სიძღერა.

რა დიდებული მთებია,
რა ხვავე, ვაზის მტყვეანი,
ერთ სურვილს შეერთებია,
ვოლგა, მტკვარი და ნემანი...

ძმობამ გატეხა ყამირი,
ბამიც შენდება ძმობითა...
როგორც სიცოცხლის ყვავილი,
წით და ღიმილით მოვიდა.

კოსმოსში ფრთები გაშალა,
შუქად დასწურა ანგარა,
ნოქარგა ქვეყნის გზა-შარა,
მთებივით მაღლა ამდგარა.

სულში იღვრება შუქურ-თქმად,
მწვერვალებს წვდება ნათელი
ძმობა — მამულის ჩუქურთმა,
ძმობა — მამულის სახელი.



ბამის მუხანგალი ელდარ სურმანიძე



სად, ჩვენი დიდი სამშობლოს რომელ კუთხეში არ შეხვდებით საქართველოს წარგზავნილებს, რომლებიც მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად თვდაღებით შრომობენ ქარხნებსა თუ პლანტაციებში, გაჰყავთ მაგისტრალები, აშენებენ სახლებს... ერთ მათგანზე — ბათუმელ ინჟინერ ელდარ სურმანიძეზე მოგვითხრობს ეს ნარკვევა.

ჩემი და „მოთავარბამშენის“ სამოქალაქო ნაგებობათა განყოფილების უფროსი ელდარ სურმანიძის ნაცნობობა 1981 წლის აპრილში დაიწყო, როცა მე ბამის ცენტრში — ტინდაში ბირველად მომიხდა ჩასვლა. მივლინებით ვიყავი სევერობაიკალსკიდან, სადაც ტრესტ „ნიჟნეანგარსკმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მოთავარ ინჟინრად გმუშაობდი.

ტინდაში საქმეები სწრაფად მოვაგვარე და „მოთავარბამშენის“ უფროსის მოადგილესთან — ალექსანდრე გულკოვთან შევედი გამოსამშვიდობებლად, თანაც ოპერატიული დახმარებისათვის მადლობა მოვასხენე. მითხრა, მხოლოდ ქართველებს შეგიძლიათ ასე სწრაფად საკითხების მოგვარებაო. შემდეგ ჩაფიქრდა და ისევ ღიმილით მკითხა, ელდარ სურმანიძეს ხომ იცნობთო? არა-მეჩქი, რომ ვუთხარი, სამიოდე სიტყვით და-მიხასიათა, შესანიშნავი ინჟინერი და მოქალაქეაო. მერე მიკროფონით ელდარს თხოვა მოსულიყო.

სწრაფად შემოვიდა საშუალოზე მაღალი, სპორტული აღნაგობის შუახნის კაცი, საქმიანი, ოღნავ გადღლილი სახე ჰქონდა; ერთმანეთს გავეცანით.

ა. გულკოვის კაბინეტშივე დაუსტადა, რომ ტინდიდან ფრენა უამინდობის გამო მეორე დღისთვის იყო გადატანილი, სასტუმროს ნაცვლად ელდართან ბინაში მომიწევდა ღამის გათევა.



შემდგომ და შემდგომ ჩემი აღტაცება ელდარ სურმანიძის მიმართ უფრო და უფრო იზრდებოდა. ისიც, ვისაც ელდართან ერთად მოუწია შრომა გმირობისა და კაცობის იმ ტრასაზე, რომელსაც ბაიკალ-ამურის მაგისტრალი ჰქვია. ბევრს დაწინაურებულნი იყვნენ ჩვენს ქართველი ინჟინრის სასახლეო საქმეებზე.

საინტერესო იყო ნიკოლოზ დუბასოვის (იგი ლენინისა და შრომის წითელი დროშის მფარველი) და ანატოლი გუსევის — შემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელის, სოციალისტური შრომის გმირის ნაამბობი ელდარზე.

ეს ადამიანები ზამის დიამეტრად აღსანიშნავად ტრასებზე მუშაობენ. მათ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებზე შეეხვედი, მაგრამ მათი ნაამბობი ზუსტად ილენტური იყო: „ელდარ სურმანიძე პრინციპული, მომთხოვნი და ამასთან ძალზედ თბილი და მზრუნველი ხელმძღვანელია“. მათგან და კიდევ რამდენიმე ათეული კაცისაგან, ვისაც ე. სურმანიძესთან ერთად უმუშავია, ბევრი საინტერესო ამბავი მაქვს მოსმენილი, რაც ელდარის ნიჭზე, დიდ ავტორიტეტსა და ადამიანურ თვისებებზე ლაპარაკობს: ნამდვილი ეპეკაცობა ხანძრის, ქარბუქისა და სხვა სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის დროს, საზრიანობა, ერთადერთი სწორი ინჟინრული გადაწყვეტილების მიღება და ა. შ. ამის შესახებ მასალები საქმარისადაა გამოქვეყნებული იქაურ პრესაში. ამიტომ შევეცდები უფრო ელდარის საინჟინრო-შემოქმედებით მოღვაწეობაზე ვილაპარაკო.

დაიბადა ქ. ბათუმში, პედაგოგების — ლეილა და აბდი სურმანიძეების ოჯახში

1937 წელს
1955 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქ. ბათუმის № 5 საშუალო სკოლა და ამავე წელს შევიდა მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, სწავლის პერიოდშივე მუშაობდა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სამშენებლო პავილიონში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამსახური დედაქალაქის მშენებლობებზე დაიწყო. 1958-1970 წლებში მეუღლესთან ერთად, კომკავშირული საგზურით ქ. ტოლიატი საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე წავიდა და აქედან დაწყებული, სულ დიდი მშენებლობებისაგან უწყვედა გული. ტოლიატში ელდარი სამშენებლო ტრესტის მშენებლობის მართვისა და ორგანიზაციის განყოფილების უფროსი იყო. ეს განყოფილება საავტომობილო გიგანტის მთავარ პულტს წარმოადგენდა და მის სწორ მუშაობაზე ბევრად იყო დამოკიდებული მშენებლობის წარმატებით დამთავრება. ელდარ სურმანიძემ გაამართლა დიდი ნდობა. საავტომობილო გიგანტი, მდინარის სანაპიროზე აგებული შესანიშნავი ქალაქი მისი შრომით ბიოგრაფიის შესანიშნავი ფურცელია.

ტოლიატის შემდეგ ელდარ სურმანიძეს „კამაზის“ მშენებლობაზე ვხვდავთ. აქაც იმავე ტრესტში მოღვაწეობს.

1972 წლიდან ელდარ სურმანიძე ჩვენი ქვეყნის უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების მქონე ორგანიზაციის — „მოსეისტროის“ ტრესტის განყოფილების უფროსია. სწორედ ამ ტრესტის ევალბოდა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ცენტრის — ტინდის აგება. ელდარ სურმანიძეს მოსკოვში რა გააჩერებდა, როცა წინ ციმბირის მაგისტრალის დედაქალაქის მშენებლობის შესანიშნავი პერსპექტივა იყო. ამ შემთხვევაში, პირველგამკვალავის ძნელ, მაგრამ საპატიო ხვედრს ყოველგვარი არჩევანისა და ყოყმანის გარეშე იზიარებს ქართველი ვაჟკაცი.

რა თქმა უნდა, ელდარ სურმანიძის, როგორც ინჟინრის, ჩამოყალიბებაში განმტკიცებელია ისეთ სახელოვანი და დიდი ტრადიციების მქონე სამშენებლო ორგანიზაციაში მუშაობის პრაქტიკა, როგორცაა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი „მოსეისტროის“ ტრესტი.

პირველ ხანს, ტინდარში გადმოსვლისას, ამ დიდი ტრესტის საწარმო-ტექნიკური განყოფილების გამგემ ე. სურმანიძემ უარი თქვა მისთვის შემოთავაზებულ სოლიდურ

პოსტზე და უბნის უფროსად არჩია მშენებლობაზე მუშაობა. არჩია დამირი რომ, საკმაოდ დიდი გამოცდილების მიუხედავად, უშუალოდ უნდოდა გამოეცეტა მუდმივი გამკინეარებისა და ასეთ დაბალ ტემპერატურაზე მშენებლობის პრაქტიკაზე. ამ წინასწარი მომზადების შემდეგ, უფრო უკეთ იმუშაებდა ნისთვის განკუთვნილ საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად და ასეც მოხდა. შემდგომ წლებში, ურთულეს პირობებში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების შედეგად ოპერატულად და შეუცდომლად წყვეტს ყველა პრობლემას. რომელსაც ცხოვრება აყენებდა მის წინაშე. ამასთან დიდ კვლევით მუშაობასაც ეწევა. ანგარიშობს კონსტრუქციებს, ადარებს ნორმატულ სამშენებლო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, ექებს და პოულობს უფრო სწორ გადაწყვეტას. დადგენილი ნორმების გადასინჯვას კი, ვასაგებია, რამდენი სირთულე ახლავს. მაგრამ ელდარ სურმანიძის მებრძოლ ხასიათს თავისი ვაჟქვს. მისი წინადადებით ზედმიზეზ იცვლება ტიპობრივი პროექტის გაანგარიშებები. სვისმომედევობის ნორმები...

ე. სურმანიძის მაღალეფექტური საინჟინრო გადაწყვეტილების გამოყენების შედეგად მიღებული ეკონომია მარტო ქ. ტინდის რკინიგზის სადგურის მშენებლობაზე 400 ათას მანეთს აღწევს. თუ ამას დაუმატებთ მშენებლობის ხანგრძლივობის ვადისა და არქიტექტურული დაგეგმარების გაუმჯობესებით მიღებულ ეფექტს, ცხადი გაზდება ქართული ინჟინრის წინადადებებით მიღწეული სარგებლიანობა ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის.

ვინც ნაზიარებია გამომგონებლისა და რაციონალიზატორის რთულ შემოქმედებით შრომასთან, მისთვის ვასაგებია, რომ ახალი ტექნიკური გადაწყვეტის მიგნება, უფრო ადვილია ამ წინადადების განხორციელებასთან შედარებით. მაგრამ ვინც ელდარ სურმანიძეს იცნობს, არ შეიძლება არ დაეთანხმოს მის სიტყვებს, წინააღმდეგობის დაძლევა ძალზე მიტაცებსო. ეს მან კორესპონდენტთან საუბარში თქვა: ეს საუბარი შემდეგ ვაზეთში დაიბეჭდა. ერთ ნაწყვეტს ვაგაცნობთ:

„ელდარის ბევრი მოსკოველი კოლეგაც კი ეკვის თვლით უყურებდა მის გაანგარიშებებს, ვერ წარმოედგინათ, რომ თებერვლის სუსხიან ამინდში შესაძლებელი იყო სახლის პანელების მონტაჟი, ნიძლევისაც კი სდებდნენ, მონტაჟი შეუძლებელიაო, მაგრამ მან მაინც თავისი ვაიტანა. ინსტიტუტული შეგობრის — სტანისლავ დვირეცკის (იგი მოსკოვის № 1 სახლსაშენი კომბინატის უფროსი ვახლდათ) წინააღმდეგობის მიუხედავად, დვირეცკისა, რომელიც არ იძლეოდა ვანკარგულებას პანელების ვადასაზიდავად, რადგან ეკვი ეპარებოდა, თებერვლის თვეში მათ დამონტაჟებაზე... მეგობართან უთანხმოებაზე მეტად ელდარს გულს სტკენდა სახელმწიფო ვეგმის შეუსრულებლობა და ბამის დედაქალაქ ტინდაში კონსტრუქციების ნაკლებობა...

ახლა თავისი სიმართლის დასადასტურებლად, ელდარი უახლოეს მეგობრებს უჩვენებს ტინდაში კრასნაია პრესნიას ქუჩაზე თებერვლის თვეში დამონტაჟებულ № 5 და № 7 სახლებს“.

ელდარ სურმანიძე ტინდაში ვვიან დამემდე მუშაობს. ჩანაფიქრს ბოლომდე უნდა განხორციელება, ანგარიშობს, ატარებს სხვა პროგრესულ გადაწყვეტებს!... ზემრობა ხომ არ არის — ტინდას აპროექტებს ისეთი მდიდარი ტრადიციების მქონე საპროექტო ინსტიტუტი, როგორიცაა „მოსპროექტ-1“. იგი ვენერალური დამპროექტებელია, მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ინსტიტუტის ავტორიტეტი, მის თანამშრომლებს არც თუ ისე ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი ტინდისა და, საერთოდ, ციმბირის მშენებლობის ყველა ნიუანსი.

ჩვეულებრივი, მოსკოველი 9-სართულიანი სახლები (კერამიკული ფილებით მოპირკეთებული), რა თქმა უნდა, ტინდის 1-სართულიანი სახლების ვეერდით, უფრო მომნიშველვლად გამოიყურება, თითქოსდა, ვარე ფასადი სახლებისა არც კი შეცვლილა, მაგ-



რამ მიწისქვეშა ნაწილმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცად. და ამ ცვლილებების ავტორი ჩვენი თანამემამულე ელდარ სურმანიძეა.

როცა პირველი სახლის ფუნდამენტს უყრიდნენ საფუძველს, პროექტის მიხედვით, მოსკოვის პირობების მსგავსად, ქვაბულს ღომად თხრიდნენ, რაც მუდმივი გაყვინგარების პირობებში დიდ შოროთი ენერჯიას მოითხოვდა, ელდარი სულ სხვანაირად ფიქრობდა: „რა საჭიროა ბრძოლა გაყვინგარებასა და კლდეებთან, როცა ისინი თვითონვე შეიძლება იყოს ნაგებობათა საძირკვლის შესახიზნავი დასაყრდენი. და მართლაც, ვაანგარიშებებმა დაადასტურა ინჟინრის ვარაუდი.“

როცა მან თავისი ანგარიში წარუდგინა საპროექტო ინსტიტუტს, აღმოჩნდა, რომ სამეგრეო უფრო ნაკლები სიღრმის ქვაბულის დამუშავება იყო საჭირო. ელდარ სურმანიძის წინადადებით მშენებლობა უფრო სწრაფად და ეკონომიურად წარიმართა. ვაანგარიშებებმა ბრწყინვალედ გაუძლო გამოცდას.

ამაზე არ გაჩერებულა ელდარი. შემდეგ მან ახალი ვარიანტი დაამუშავა, რომელმაც, საერთოდ, გამოირიცხა ქვაბულის დამუშავება და პირიქით, ქვაბულის ნაცვლად ვაითუალისწინა გრუნტის შემოზიდვა, ქაბურღილის დამუშავება ან უშუალოდ ხიზინგები.

უკველივე ეს, რა თქმა უნდა, სამშენებლო პრაქტიკაში ახალი სიტყვა არ არის, არც ციმბირის პირობებშია ხიზინგები სიახლე, მაგრამ ბამის ტრასაზე ელდარ სურმანიძემ ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა და დანერგა ეს მეთოდი. შედეგი: ე. სურმანიძის წინადადებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მიწის სამუშაოების მოცულობები, ასობით ტონა ლითონისა და ცემენტის ეკონომია მისცა ქვეყანას და, რაც მთავარია, ტინდაში უფრო სწრაფი ტემპით წარიმართა მშენებლობა. ეკონომიურმა ეფექტმა კი მილიონ მანეთს გადააჭარბა.

1979 წლის იანვრიდან ელდარ სურმანიძე „მთავარბამშენას“ სამონტაჟო ნაგებობათა განყოფილების უფროსად დაწინაურეს.

ჭარბოვანი ინჟინრის შემოქმედებითი შრომა სათანადოდ დაფასეს. ელდარი დაჯილდოებულია ტოლიატის, „კამაზის“ და ბამის მშენებლობის საიუბილეო მედლებით. მინიჭებული აქვს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ფრიადოსნის წოდება. ბიკალ-აშურის მაგისტრალის მშენებლის საპატიო წოდება, მიღებული აქვს გამომგონებლისა და რაციონალიზაციის საკავშირო საზოგადოების ფრიადოსნის საპატიო სიგელი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი და ა. შ.

დიდია ინჟინერ სურმანიძის პოპულარობა ტინდაში, აქ თითქმის ყველა ობიექტს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ბეჭედი აზის. ეს ობიექტებია: რკინიგზის საავადმყოფო, საშუალო სკოლები და საბავშვო ბაღები, სტადიონი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები და სხვ.

დოკუმენტური ფილმების შორეული აღმოსავლეთის სტუდიამ სპეციალური სურათი შეიქმენა ელდარ სურმანიძის მოღვაწეობას. გადაიღეს ობიექტები, რომლებიც ინჟინერ ე. სურმანიძის წინადადებების შედეგად შემოკლებულ ვადებში აშენდა. ფილმს „ინჟინერ-მილიონერი“ უწოდეს, და მართლაც, რამდენი მილიონი მანეთი დაუზოგა სამშობლოს, ელდარ სურმანიძის წინადადებებმა. მისმა შრომისუნარიანობამ, მეტბრძოლვა, ვაქცაქურმა ბუნებამ, სურვილმა — უანგაროდ ემსახუროს თავის ქვეყანას, ანაზღოვს შუობლიური რესპუბლიკა — საქართველო.

ვინმეს, შეიძლება, გადაჭარბებული მოეჩვენოს ჩემი მონათხრობი, მაგრამ ვინც ელდარ სურმანიძეს იცნობს, დამეთანხმება, დაუმსახურებელი და გაზვიადებული არაფერი დამიწერია. ლიტერატორი არ განლავართ და, როცა ამ სატოქმანო საქმეს მოვკიდებ ხელს, პირიქით, ფიქრი მაწვალებდა, რომ მთელი სისრულით ვერ შევძლებდი დამნახატა პირთველი ვაქცაცის, შესანიშნავი სპეციალისტის პორტრეტი, სპეციალისტისა, რომე-

ლიც შორეულ ტაიგაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებთან ერთად აშენებს ბაშს — საუკუნის მაგისტრალს.

ცალკე უნდა ითქვას ელდარ სურმანიძის ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. მხედველობაში მაქვს მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელობა რომის მუზეუმის შეფობა, ქალაქ ტინდის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კონსულტანტობა და ა. შ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ელდარმა უარი თქვა გასაპრჭელოზე თავისი რაციონალიზატორული წინადადებისათვის. ეს ფაქტიც მის დიდ სულიერ სიმდიდრეზე მეტყველებს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, გამიგებთ ამ წერილის დაწერის მიზეზს: მინდა ჩვენმა თანამემამულეებმა იცოდნენ ბაშის მშენებელი ქართველი ინჟინრის ელდარ სურმანიძის კაცური კაცობის ამბავი, მაგრამ მაპატიოს მკითხველმა, რომ ამის ვადმოცემა სრულად ვერ შევძელი. ელდარი ისედაც მაპატიებს, რადგან მას თავისი ღვაწლის სხვაზე „გადაბრალება“ უყვარს. ერთი ამბავი უნდა გავიხსენო, ტინდაში რომ მომიყვინნა.

დეკემბრის სუსხიან ყინვაში საბაეშვო ბაღში ხანძარი გაჩნდა. ელდართან ერთად ივანე პრასიანიკოვი, იური ბარბაში და ვადიმ ბელიაევი ებრძოდნენ სტიქიას. ორი საათის შემდეგ, როცა ხანძარი ჩააქრეს, მოვიდა ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტი და ამ ოთხი ვაჟკაცის ვინაობის დადგენა მოინდომა.

ელდარ სურმანიძემ, რომელიც ამ საქმის თავკაცი იყო, სამივე მეგობარს ხელი მოხვია და კორესპონდენტს წინ დაუყენა. თავის თავზე კი ხუმრობით უთხრა, ჩემზე ნუ წუხნებოთ, დიდება მე ისედაც მომძებნისო.

შომშენა კიდეც!

სულ წინსვლა და გამარჯვება იყოს შენი წილხვედრი, ელდარ სურმანიძე!

ჯორთა ფუთუჩიკა,

ნერიუნგარის გრესის მშენებლობის
მთავარი ტექნოლოგი

ტინდა—ბერკაკიტი—მოსკოვი—ბათუმი.



[Faint, illegible text in the left margin, possibly bleed-through from the reverse side of the page.]

მეზობელი პარისაო...



ადიგენი და ხულო.

ქვაბლიანისა და ოცხეს, აჭარისწყლისა და სხალთის ხეობებში განლაგებული ეს ორი რაიონი საოცრად ჰგავს ერთმანეთს ადგილმდებარეობითა და ლამაზი ბუხებით.

არც მათი ისტორია ყოფილა განსხვავებული.

საქართველოს ეს ორი მთიანი კუთხე ოდითგანვე ერთი დროშის ქვეშ დარაჯმული გამოდიოდა საერთო მტრებთან ბრძოლაში.

ერთნაირი ეპი ვეღათ ძნელბედობისა...

მოვიდა მტერი და აჩეხა ვაზი, მოაოხრა რუდუნებით ნაგები ტაძრები და ეკლესიები მონასტრები.

მაგრამ გოდერძის ზეკარზეც ამობრწყინდა ცისკრის ვარსკვლავი. დედამამშობლოს დაუბრუნდა წლობით მიტოვებული მესხეთი და აჭარა. თუშეთი, ჭყვინთა, კიდეც მუდამ უბუნებელ კრილობად აჩნია მესხეთს ის ავებდითი წლები...

სოფლებზე მეტი ნათელარებიაო ჩვენში. — გულისტკივილით ამბობენ აჭარები. თანამედროვე ეტაპზე, როგორც პარტიის აღიგენის რაიონის პირველმა მდივანმა გემალ ნაკაშიძემ გვითხრა, რაიონის კომუნისტთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიტოვებული სოფლების აღდგენა და მიგრაციის შემცირება.

სამისოდ ვაღიადეა კიდეც პირველი ნაბიჯები. — 1980 წელს ხულოდან გვეყვანათათვისწინებული 30 ოჯახი ჩასახლდა მეზობელი რაიონის სოფლებში.

დღეისათვის ყოველ მათგანს აქვს ორსართულიანი ობა-სახლი, შექმნილია მრავალსა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები.

ჩასახლების პროცესი კვლავაც გრძელდება. მით უმეტეს, რომ აღსიღგენისა ადრე მიტოვებული 25 სოფელი.

ამ საქმეს მიტად კარგი პირი უჩანს. მით უფრო, რომ რაიონის ხელმძღვანელთა ინიციატივა მოიწონა და მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

პირველად რომელი სოფლების აღდგენას აპირებთ? — გვითხეთ გ. ნაკაშიძეს.

— დასაწყისისათვის ოთხი სოფლის აღდგენას ვფიქრობთ. ესენია ამხერი, საჩარო, ხურო და უტყისუბანი. მათს დასახლებას, უწინარესად, ადგილობრივი მოსახლეობის გადნაწილების ხარჯზე მოვახდენთ, — ჩენი ორი სოფელი — უღე და არალი ჰარბა-და დასახლებული და სახნავ-სათესი მიწის სიმცირის გამო გვიჭირს მრავალსულიანი ოჯახების ცალკე კომლებად გამოყოფა.

მთავრობის დადგენილებით, როგორც სამთაწყაროსა და ასპინძაში, აქაც ახალ-მოსახლებებს მიეცემათ გრძელვადიანი სესხი, ნახევარი ჰექტარი სამოსახლო, გამოუყიდათ სამშენებლო მასალები. სოფლებში დაგეგმილია აგრეთვე გზების, წყალსადენებისა და სარწყავი არხების გაყვანა, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, ადგილობრივი მოსახლეობის გადნაწილების პარალელურად აჭარის მთიანეთიდან

მშრომელთა ჩამოსახლების ხარჯზეც მოხდება სოფლები ალდგენა. ეს საკითხი განსაკუთრებულ ეკონომიკურ მნიშვნელობასაც იძენს, რადგანაც, თუ 1952 წლამდე რაიონში სახნავ-სათესს ათიათასამდე ჰექტარი ეკავა, ახლა თითქმის განახევრებულია. რამოცი ათასიდან ოცდასამი ათასამდე შემცირდა მსხვილფეხა პირუტყვის სტოკი, მეცხოველეობა კი რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. **გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.**

— ამდენად ნასოფლარების ალდგენა-განახლება დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიგვაჩნია. ეს საშუალებას მოგვცემს ეფექტიანად გამოვიყენოთ მიწა, შემდგომ განვაერთაოთ მეცხოველეობა, რაიონის ტრადიციული დარგი, სწორად გავანაწილოთ რაიონის ცალკეული სოფლების ჭარბი მოსახლეობა, რესურსები, გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, შევამციროთ მიგრაცია. — ასე ჩამოგვიყალიბა მიტოვებული სოფლების ალდგენა-განაშენიანების მნიშვნელობა რაიონის პირველმა მდივანმა. შემდეგ წამით იყუჩა და განაგრძო:

— მარტო დასახლებული ოთხი სოფლის ალდგენით 500 ჰექტარი მიწა შემოგვემატება. ეს საშუალებას მოგვცემს დამატებით ვიყოლიოთ 800 სულზე მეტი პირუტყვი. ამით კი სასურსათო ბალანსს სულ ცოტა 100 ტონა ხორციითა და 250 ტონა რძით გავზრდით.

როგორც ითქვა, მომავალში სოფლების ალდგენის პროცესი კვლავაც გავრძელდება და, ცხადია, ეს მიჩვენებლებიც შესაბამისად გაიზრდება;

ღიახ, ეს მომავლის ამოცანაა და მის შესრულებაში დიდ წვლილს შეიტანენ აჭარის მთიანეთიდან ჩასახლებული მშრომელებიც, რომლებიც მტკიცედ მკვიდრდებიან ალდგენის რაიონში.

მრავლდება კერა და აკვანი.

იმატება ოჯახს ოჯახი.

* * *

გაყვეთ ქვაბლიანის ხეობას, აჭარისწყლის ხეობასავით ლამაზსა და მიმზიდველს, შემოვიაროთ ის უბნები, სადაც ჩვენებურები სახლობენ...

ქელა, ჭეჭლა, მოხე, ციხისუბანი, აფეთი, ღორთუბანი, ზედობანი, ზარზმა... სულ ერთი ხელის გაწვდენაზეა ეს სოფლები გოდერძიდან, ამიტომაც აქ დამკვიდრებულან, უპირველესად, ახალმოსახლენი.

აგერ, შუახნის კაცმა რომ შეუხვია მონასტრის ეზოში, ლევან ლობჯანიძეა, მლაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. მასზე უკეთესად ვერავინ გვეტყვის, თუ რამდენი ოჯახია ზარზმაში აჭარიდან ჩამოსახლებული.

— ჩვენს საბჭოში ოთხი სოფელია, აქედან მარტო ზარზმაში ჩამოსახლდა გვეგმით გათვალისწინებული 50 ოჯახი. მათ მთავრობის დადგენილების საფუძველზე ვაძლევთ ნახევარ ჰექტარ სახნავ მიწას, ვამარაგებთ სამუშეო მასალებით, ვუყოფთ კრედიტს.

* * *

მოხეს საბჭოთა მეურნეობა უდიდესია რაიონში.

რა არ ხარობს ამ მადლიან მიწაზე: ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი, მარცვლეული... მაგრამ მაინც მეცხოველეობაა ალდგენის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი.

შედლებულად ცხოვრობენ აქაურები. ამაში სოფლის ორლობებში ერთი ჩაელითაც დარწმუნდებით: ლაზათით ნაგები ორსართულიანი სახლები, ფართო შარავნებზე

ეჭროლავი მსუბუქი ავტომანქანები, ტელევიზორი, რადიო, გაზქურა... ოჯახი არ არის, 15-20 სული პირუტყვი რომ არ ეზას ბოსელში.

კეთილმოწყობილია უბნებიც. მეურნეობის ყველა სოფელშია კლუბი, ბიბლიოთეკა, კინოლანდგარი, სკოლა, მაღაზია, საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები. ორიოდე წლის წინათ რომ გეგმით გათვალისწინებული 30 ოჯახი ჩამოსახლდა აქ, გენში, სწორედ შოხეს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ისინი, უფრო სწორად, მის სამ უბანში.

ისედაც მიხედვები ამას, გზისპირად ჩარიგებულ ახალთახალ ორსართულიან ლამაზ სახლებს რომ დაინახავ, ერთი პროექტით აგებულს.

არიან ძველი მოსახლენიც.

ერთი მათგანი, იოსებ შავაძე, ავტომანქანაშიც დაგვეგზავრა ვეტერნარის ჩანთით. მესხეთის მიწაზე ცხოვრების მეათე წელს მიითვლის მისი ოჯახი.

სოფელი ღორთუბანი.

— რამდენი კომლი ცხოვრობთ აქ? — ვეკითხები იოსებ შავაძეს.

— ოცდახუთი. აქედან ნახევარზე მეტი აჭარიდან ვართ ჩამოსახლებული. ზოგი ბრთადირია ფერმაში თუ მეურნეობაში, ზოგიც მუშა.

— მოსავალი რა მოგყავთ, რით ირჩენთ თავს?

— ძირითადად კარტოფლი მიღის. მოგვყავს ხორბალი, ქერი, თივა და ვუვლით საქონელს. შემოსავალიც კარგია.

ქველასაყენ ვაგრძელებთ გზას.

აქაურთა ზემო მეგზური, პარტიის აღიგენის რაიკომის ახალგაზრდა ინსტრუქტორი სვეტლანა ხუავეა.

ცხადია, სვეტლანამ უკეთ უწყის აქაურ მოხალშენეთა ყოფა და საქმიანობა, ისიც თუ როგორ მიმდინარეობს მათი დამკვიდრება:

— სოფელ ქველაში გვემისურად 10 ოჯახი ჩამოსახლდა ხულოდან. მშენებლობა ძირითადად კარგად წარიმართა, ძალიან მოკლე დროში და ხარისხიანად აიგო სახლები. არაინ გამოთქვამს სამდურავს.

ეს სიტყვები ნოდარ ირემაძესთან საუბარშიც დაადასტურა:

— ნოდარ, თქვენ ახალმოსახლე ბრძანდებით, არა?

— დიახ. 1980 წელს ჩამოვსახლდით.

— ეს სახლი თქვენია?

— ჩემია.

— ასე მალე მოვისწრიათ აგება...

— მთავრობის დახმარებით ივაშენე.

— რამდენი ხანი დაგჭირდათ, დაახლოებით?

— ორ-სამ თვეში აიგო.

— ახლა სათავსობიც ავეიწურეთ. რამდენი ოთახია?

— ოთახები არის... ორი... ოთხი... ექვსი, შვიდი ოთახია. ერთი მისაღებ დარბაზად მაქვს განკუთვნილი, ეს აქეთა მხარეს რომაა, ერთი სასაიდლოდ... კიდევ სამხარეულო, სასტუმრო, საძინებელი და ასე შემდეგ.

— ალბათ, პირუტყვიც მოაშენეთ უკვე.

— რა თქმა უნდა. ვუვლი 12 სულს.

— თქვენი ოჯახის შემადგენლობაც გაგვაცანით, ბარემ.

— სამნი ვართ ოჯახში: მე, მეუღლე და შვილი, მეათე კლასში სწავლობს. ერთი ბიჭიც ხულოში დავტოვე.

— რატომ მაინცდამაინც აღიგენი აირჩიე საცხოვრებლად?

— ტყეა აქ, თბილი ალაგია, მოსავალი კარგი მიღის. ახლოა აქარასთანაც...



ცენტრალური გზისაკენ ვეშვებით. ადიგენთან მიახლოებისთანავე ისევ მივდივართ ვიღებთ გეზს. შარაგზის გაღმა-გამოღმა ხეხილის ბაღები და პურის ყანებია ჩვენს უკან. მალა მთებია, თოვლით მოსევალებული მთები. ძველებურ, მესხურ მხარეებს აფერადებულა მიდამო.

საღლაც იქ, მწვერვალზე, იყრება სამი რაიონის, ადიგენის, ხელისა და ჩხატურის საზღვრები.

რამდენიმე კილომეტრიც და, ციხისუბნის კოლმეურნეობის ცენტრში ანუხრტეებს ავტომანქანას ჩვენი შოფერი.

აქ სომხებიც ცხოვრობენ ქართველებთან ერთად.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები კანტორაში შეკრებილან.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი ალოშაშვილი გვაცხევს:

— დიდი ხანი არ არის, რაც ამ სოფელს ვხელმძღვანელობ, მაგრამ უკვე კარგად ვიცნობ ყველას, კეთილმეზობლურად ცხოვრობენ, ჭირშიც და ღვინაშიც გვერდით უდგანან ერთმანეთს. ყველა საქმეს ერთად აკეთებენ, ეხმარებიან განურჩევლად ეროვნებისა და კუთხური წარმოშობისა. მათ მოყვრობაც აქვთ ერთმანეთში...

— დიახ, მეზობლური ურთიერთობა ძალიან კარგი გვაქვს. — სიტყვას აწყვიტონებს დურმიშხან ინსარიძე, — არა აქვს მნიშვნელობა, ვინ სადაურია, ყველას ვეხმარებით...

საუბარში არტავაზ ქეროფიანიც ჩაგვეერთო:

ჩვენი მეზობლური კავშირი ძალიან მტკიცეა. ამას წინათ, მაგალითად ჩვენს მეზობელს შაქრო შაინიძეს სახლი დაეწეა. მთელმა სოფელმა ძალიან განიცადა ეს ამბავი, ზარალიც აღნახლალურა...

სოფლის თავში, კლდის წვერზე, ციხეა ძველისძველი, მტკიცე და შეურყეველი. ამ ციხიდან წარმოსდგება სოფლის სახელწოდებაც. ციხისუბნელებიც ფუძემყარი პურჯებივით შედგომიან ერთმანეთს, საერთო ძალით იღვწიან სოფლის სიძლიერისათვის, მისი აღორძინება-განმტკიცებისათვის.

მეზობელო კარისაო, ნათელი ხარ თვალისაო! — უთქვამთ ძველთაგან და არა მარტო ციხისუბნის, ადიგენის რაიონის სხვა სოფლების მკვიდრთა მაგალითითაც. აქ მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრობის მაგალითითაც რასტურდება ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

ამხერი, საზარო, ხურო, უტყისუბანი...

სიცოცხლე სჩქედდა ამ სოფლებში ოდესღაც, ვენახები და ხეხილის ბაღები მწვანობდა მის სანახებში.

დღლდა მარნებში მაჭარი...

მოვიდა მტერი და აჩეხა ვაზი, მოაოხრა წლობით ნაშენებ-ნალოლიავეთო ციხე-კოშკები და ფუძე-ბალავარები. მოგონებდად დარჩა აოხრებული ნასოფლარები. მაგრამ შორს აღარაა ის დრო, როცა კვლავ ახმინდებდა ის სოფლები, წამოიშრებოდა ოდა-სახლები, კვლავაც შეიფოთლებდა ტყე, აყვავდებოდა ვაზი...

მაშინ იხილეთ მესხეთი — აღორძინებული, განახლებული და აყვავებული უძველესი ქართული მიწა.

ოთარ ფუტბარაძე.



საკვლავალიცა

აბოლც მამისძეცა
ანისო მტაცელაღუ აბგომც
ობრქამ ძელოძიმ ძაყ კოლუა
დამძე ზაფენეგ მამობიც
ქეღაღე ძამძე რენიუ მოღწ
ქაშაში იფიეცა მტყოც
სამბეჭბო მტყამიღოცინ
მენამონ იფუტ მუღოც
ძაღუცამეგ ზაღუმენიფის თ
ძაღუცინ მამოცინ
მტყამიღოც თუხეგ, ძაღუცინ ღობის
თუეც თნღუმობ მტყამიღოც
თუენის იფეცამიხეგ ძაღუ
თუენეც ძაღუმონამ თნეც
ძაღუმონამ იფეცა ზაღუმე

ანენ მღუგსტობიბოთ
ამოცინს ნამქონიქ უხობონ
ამტქენ ძაღუცამ თუქიბე
ანობონ ზაღუმენობონს რეცეცტმძე
ამტქენ თამიღუმ ძაღუმენონ
ანობონ თუარქნამ ძაღუმე
მტყენ მტყამიღოც თაღოც
რუსეთის სრულიად საქავშირო I სერია
30 დეკემბერი, 1922 წ. რედაქცია
მოსკოვი
I
ამტქენ თამიღუმ თუარქნამ
ამტქენ თამიღუმ თუარქნამ
ამტქენ თამიღუმ თუარქნამ
ამტქენ თამიღუმ თუარქნამ

რა დანავიწყებს შიმშილს და ყინვას,
ტიფისგან ბოღვას ერთობ უგონოს.
კავალერისტთა საყვარელ სკოლას
ჭაბუკურ განცდით ისევ ვიგონებ.

ისევე სუნთქავს განცდილი განცდა,
ერთობ მღელვარე პოეტის ბუკარით,
წითელი ლაშქრის მხედრულ რანგი —
ზაოცარ თრთოლვით ისევ მიხარის.

ზურგევი მრწამსით ვზომავდით დრო-ჟამს,
განცდებს ვეჭატებდა ოცნება გზნებით,
ვიტოვდით, როგორ ვაგვეჩიარაღუნა
ჩუენი მომავლის ნათელი გზები.

ლა მძაფრმა წლებმა გადაიქროლეს,
აწმყოს ფოლადით ვჭედავდით მაშინ,
ცას შეუფერთხა ნამქერმა კალთა,
ჩამოკეფიფქა ფანტელი თნაში.

რატომ არ მწერენ თანამებრძოლნი,
დარღები მიპყრობს ხანდახან სულ ზოლად,
საოცარ დეღვით განცდილო წლებო,
ისევე თქვენი ქარებით ვსუნთქავ.

რუსეთი იკრებდა ღონეს,
 ძველსა და დრომოჭმულს შუება,
 შრომამ წამოსწია ქვეყანა,
 დაიწყო ახალის შენება.
 განმტკიცდა მშრომელთა შრომა,
 მომავალს ხალისით უცქერს,
 ურალის ჩამქრალი ბრძმელები
 წითლად გაღვივდნენ უცებ.
 წამოიძარტნენ ხალხები,
 დაჰგინეს, რაც იყო გუშინ,
 ახალ მძლავრ ქარხნებს აშენებს
 ძლიერი ხელი მუშის. . .
 გულში მღელვარებს ის განცდა,
 დრომ ვერ წაშალა კვალი,
 თითქო მეხება ჩაქროლილ
 ორთქლმავლის მხურვალე კვამლი.
 მესმის კავონის გრიალი,
 გარბიან მავთულები ერთად,
 ისევე მესმის გზადაგზა
 შრიალი ურალის ტყეთა.
 გზები საოცარი ქედებით
 ნოაფრენს ნისლეების დაღდეებს,
 და ქარი ისევე აზვირთებს
 ცისფერი დნებრის ტალღებს.
 ისევე მღელვებს ნაბრძოლი —
 ხიდეები მძლავრნი და დიდები,
 გადაიქროლა გრიალით
 მძლავრმა არმიამ დიდებით...
 არ დავიწყნიათ ღელეებს
 განცდა დაღწეულ ხიდეების.

III

ვაკონში სხედან დელეგატები,
 საამო განცდები ერთვით,
 მოვერცხლილ ქამარხანჯლიანს
 უხდება ნაბადი თეთრი.
 აფრენილ არწივის ქროლა აქვთ
 ქართველებს მგზნებარე ხმაში,

კავკასიონის ჭალარა
 უხდება დელეგატს თმაში.
 სადღაც ცის ნისლავეს ჩამტყული
 ციმბირს გაუვალ ვზახე,
 ხუთი ღამეა, გზას კვალავს,
 ფიფქი აცვივა თმაზე.
 მოსკოვისაკენ იჩქარის,
 ცინბირელს ბეწვი მოსავს
 და მოუთმენლად განიცდის
 დელეგატებთან მოსვლას.
 ორთქლმავლის კვანძი ფრიალებს,
 ღრჭიალებს ბორბლები ძველი,
 დგას ჯარისკაცი მამაცი,
 ხეენი საწმობლოს მცველი,
 უბრად ეწევა მახორკას
 და ხალხს შეჰყურებს გზნებით.
 ნკერდნე უბრწყინავს აღისფრად
 წითელი ორდენები.
 ქალმა სიმღერა დაიწყო,
 ველანი აყენენ უცებ,
 ბგლორუსელთა რჩეულ ქალს
 გული საამოდ უცემს.
 ღადი სიმღერა მალღდება
 და ბრძოლის ჰანგებს იკრებს,
 მღელვარე განცდით აჟღერებს
 ხალხის საოცარ ფიქრებს.
 ჩამოიტოვეს როსტოვი,
 გზაზე დაურჩათ გომელიც,
 და დელეგატებს მოსკოვი
 ყოველი მხრიდან მოეღის.
 დელეგატები დელავენ,
 დარბაზი ივსება ხალხით.
 აქ თარიღდება მარადის
 ერთა სიმტკიცე ახლის.
 ერთა კავშირმა ურღვევმა,
 ხალხებს რომ ერთად ეხარათ,
 ერთ დიდ ოჯახად აქცია
 ჩვენი საბჭოთა ქვეყანა.

თარგმნა ნანა გვარამია.

კავშირი გულთა შორის

ბესარიონ ბელინსკი ამბობდა: „სოცარი ამბავია! — კავკასია თითქოს მოწოდებულნი ყოფილა გამხდარიყო პოეტური ტალანტების აკება, მათი მუხების შთამაგონებლად და გამზარდელად, მათ პოეტურ სამსობლად“. პუტკისის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის და რუსული მხატვრული აზროვნების სხვა წარმომადგენლების ნაწარმოებებმა, შექმნილმა ქართულ მასალაზე, რუსულ ლიტერატურაში შეიტანეს ახალი ფერები, ახალი თემატიკა, ახალი მშვენიერი ნაკადი.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ მაქსიმ გორკის სიტყვები: „მხურვალედ მიყვარს ეს მშვენიერი ქვეყანა, გრანდიოზული სილამაზისა და ძლიერების განსახიერება, მისი დათოვლილი მთები და ხეობანი, ამღერებულ ჩქარ მდინარეთა ხმაურით სავსენი და მისი ლამაზი ამაყი შეილები“, საქართველოსადმი მ. გორკის სიყვარული შთაგონებულია ჩვენი ხალხის გვირგვინი ისტორიით, საკაცობრიო კულტურის ნიმუშებით, ახალი ცხოვრების მშენებლობაში გამოვლენილი მასობრივი გმირობით.

ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხების ძმობის განმტკიცებაში საბჭოთა ეპოქის უნიკერესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში აისახა რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. საკმარისია ითქვას, რომ ბევრი ლექსი, რომელიც საქართველოს ან ქართველ მკონსნებს მიუძღვნა პოეტმა მკითხველზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს. მაიაკოვსკისათვის საქართველო შეროვ სამშობლო იყო. გავიხსენოთ „ვლადიკავკაზი-თბილისი“.

გორკისა და მაიაკოვსკის შემოქმედების შესანიშნავი ტრადიციები თანამედროვე რუსი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაში კიდევ უფრო გამდიდრდა და გამდიდრდა 20-იანი, მეტადრე 30-იანი წლებიდან მოყოლებული; ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლების ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, ნ. ზაბოლოცისა და სხვათა შემოქმედებაში ფართოდ და თანმიმდევრულად აისახა ახალი საქართველოს პოეტური სახე.

გასასწავლებელი უნდა აღინიშნოს ნიკოლოზ ტიხონოვის ღვაწლი. მან ბევრი გაავსოა ქართული ლექსის მსოფლიო ასპარეზზე გასატანად. ნ. ტიხონოვისათვის საქართველო პოეტური შთაგონების საგანს, ხოლო ქართველ ხალხთან მეგობრობა რუსი კაცის მოქალაქეობრივი დიხსების ახალ დადასტურებას წარმოადგენდა. ამ სულსიკეთებით არის გამსჭვალული ნ. ტიხონოვის ყოველი ლექსი თუ სიტყვა, რომელიც საქართველოს ეძღვნება ან ქართველი ხალხის მისამართით წარმოუთქვამს, ერთგან ნ. ტიხონოვი ამბობს: „არის ქვეყნები, რომლებსაც გასაკუთრებელი მნიშვნელობა აქვთ სხვა ქვეყნებისათვის. მათი ბუნება, მათი კულტურა განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევს არა მხოლოდ მტოდნეთა შორის, ისინი გველენს ახდენენ მხატვრებზე, მწერლებსა და მეცნიერებზე. ისინი იზიდავენ ათასობით მოგზაურს. ვერობის ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა, რომელსაც ვერაპული ცნობიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ჩემი აზრით, არის იტალია. ვერობელი პოეტები, გრიტიკოსები — ყველანი ყოფილან იტალიაში, ყველას მიუძღვნია მისთვის თავისი კვირის ნაწილი. რუსი პოეტებისათვის ჩვენს იტალიად უმეგვლად გახდა საქართველო... მე უკვე არ ვლაპარაკობ ჩვენი ხალხის ისტორიულ კავშირზე; არ დავასახელებ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთა ბედი მტკიცედ არის დაკავშირებული რუსთა სახელმწიფოს ისტორიასთან. მე მინდა ვილაპარაკო

პოეტებზე. რუსი პოეტები ყოველთვის ღრმად გრძნობდნენ ქართული პოეზიის „ლირიკულ“ მანძინდღვრობასა და „მარტოებას“. საქართველოში ნ. ტიხონოვის „ლირიკული“ საუკეთესო ნაშრომები თანამედროვე რუსული პოეზიის ნამდვილი მარგალიტებია: „ლექსეისი კასეთზე“, „ქართული ვახუშტი“, „ლექსები თბილისზე“, „ცისარტყელის ქრონიკა-რაზმოში“, „მთები“ და სხვ. ლექსში „მე თბილისს ვაქებ“, რომლის თარგმანი ეკუთვნის გ. სალუქაძეს, სიტყვობს ტიხონოვი: „რაც ხალხის სულიერი ერთობის იმ საღივ სიმბეჭდს გნებია, რომელთა კეთილშობილი აღფრთობა თითოეული პატიოსანი კაცის უმოკველესი მოვალეობაა. „მსურს თბილისელებში გათქვეფა სრულიად, ჩვენ რომ გვაქვს საერთო გზა-კვალი, საუყვარს სასიუხის მოხმენა მჭყურია, რომ გულში ამენთოს ცხასკვლავი“; „იტყვის პოეტი და კვლავ ბეგრჯერ მიუბრუნდება შეძღვევ ამავე თემას, ხსნალი კვლავითა და ახალი სიღრმით, რად ღირს ამ თვალსაზრისით თუნდაც „ცისარტყელის საგულამოში“ (მთარგმნელი ვი მარგველაშვილი); „ცისარტყელა, როგორც ბუნების უღმრთესი მოვლენა, თვალს ატკობს და გახწყობილებას აკეთილშობილებს, მგარამ ისტორიაციონალისტი პოეტისათვის ციდან საწვიმარი ღრუბლების გადაკრეფისა და „ცისარტყელას გადასვლის შემდეგ“ „შლება ნამდვილი საოცრება და ნამდვილი აღტაცების ციხისალი ხატი — ესაა ქართველი კაცის დალოცვილი მარჯვენით დამშვეფაბული ქართული მიწა: „ეღვაც, უკვე დამეხილი, გასცდა გორს და იქ დამიწდა, აფსდგა გუფმკერდგადაღვლილი ზოხბისცერა დეღამიწა. იღგა სვეტი შუქცვარული, ცხოველი და უოვლად წმინდა — ჩვენი დიდი სიყვარულის, ჩვენი ძმობის გზად და ზღადა“.

ქართული ლექსისა და ქართველი ხალხის დიდ მეგობართა პლუადის ამშვენებს სახელა ბორის პასტერნაკისა, ნ. ტიხონოვი, მისთვის დამახასიათებელი სიღრმეითა და ობიექტურობით, წერდა: „ბორის პასტერნაკისათვის საქართველო შემოქმედებითი შემობრუნების წერტილად გადაიქცა. საქართველომ და ქართულმა პოეზიამ უდიდესი სტიმული შეუქმნეს პასტერნაკს“. პასტერნაკმა მადლიერებით გადაუხადა ეს ამავე თავის საუკრულ საქართველოს, გადაუხადა ქართული პოეზიის შედეგების თარგმანებით თუ ორიგინალური ქმნილებებით. პოემა „ტალღები“ რუსი პოეტის ფართო ინტერესების, თბილი გულისა და მაღალი ნიჭიერების, მაღლით აბის აღბეჭდული წიფელი გრძნობებით უმდგის ბ. პასტერნაკი საქართველოს: „შენ ხარ ქვეყანა, სადაც არ ზურღლად არ მიბრუნებენ ნიჭსა და ვარჯას, ვმდიდრდები, რადგან არავის ეჭურდავ, ჩემია — რასაც ვაცემ და ვხარჯავ, სადაც სიარულს მუდამ ასეთი ახლავს ციხე არნახულ წესთა და ჩანჯიც ბავშვის სიკასკასეთი მენაურება მომავლის ბეჭსთან“. ბ. პასტერნაკის წარმოდგენაში ქართველი ამადლებულს, რომანტიკულს, მშვენიერს განასახიერებს.

ამ ხალხის ღირსებებს ჩამოთვლით პოეტი არ ცდილობს მკითხველის გადაღლას, მაგრამ ის რაც ზოგადად ადამიანურ კულტურას დაამშვენებს, მისი აზრით, ეს არის ქართველი კაცის ოპტიმიზმით გაიცისკროვნებული მთლიანი ხასიათი: „ღობემონგრეულ ქოხანებს შევლამავებს ოცნებით, გასაქირს თავს არ მოგახვევს, ლხინში ფიფიონვე მოგძებნის. გასწვდება იმერამიერს ენამვე სიტყვაწრფელობით და დასქექს მრავალყამიერს, შემკობილს სადღევარქელით“.

„მგზავრის ჩანაწერებისა“ და „მხატვრის“ რკალში მოქცეულ ლექსებში პოეტი გვიხატავს პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, თამარ აბაქელიას, გიორგი ლეონიძისა და სხვათა პორტრეტებს.

პაოლო იაშვილის „კეთილ გენიას“ უმაღლის რუსი პოეტი უცხო სამყაროს ხილვის სიხარულს. ტიციან ტაბიძე მას ხილავს ბალზაქისათვის დამახასიათებელი სიღრმეითა და ნიჭიერებით: „არც უკვდავია, არც მთის ოღენა, ყმანვილკაცივით ფიცხი ხანდახან, მაინც ისეთი, როგორც როდენმა ერთხელ ბალზაქი მოაქანდაკა“. თამარ აბაქელიას პასტერნაკისეულ პორტრეტში კი იკითხება ქართველი ქალის უდიდესი ეროვნული გზნება და სიღარბისლე. თამარ აბაქელიამ „მშობლიური მიწის მა-



დღი და სუნთქვა შობებრა სიტყვის გრძნეულს და მეთყველს* არა დიდებულნი არა სამღვილ უკვდავებს.

3. პასტერნაის ლექსებში უხვად მოიპოვება საქართველოს ცალკეულ პოეტურ ვებს ოსტატურად შესრულებული პოეტური პეიზაჟები. მკითხველს თვალს მოკრის პოეტური სურათები „აბათუმის დილისა“ და „დიდებული ნაპირი ქობულეთისა“, „ო, ამ ნაპირის უნაპირობამ დანაპირები გამაფსკცევა, თითქოს ამითქვა ეს პირობა თვალების ბრილით გაშლილმა შეცაშ“. — ნათქვამია „ტალღებში“.

სულიერი აღზევების, ვაჯანსაღების, პირველყოფილი სილამაზის გაცდის, ჰიკეთობა და ბედნიერების გრძობა ეუფლება ნიკოლოზ ზაბოლოცის ლექსების ლირიკულ გმირს. ლექსში „ღამე დანაპირთან“ (მთარგმნელი გ. შარგველაშვილი), ეს სულიერად გაჭრება წარმოსახულია ზაბოლოცისათვის დამახასიათებელი უშუალოდ. იმის მსაქმრთველ მოღვაწეთა ეროვნული ხასიათების საუკეთესო პორტრეტებს გვიხატავენ პეტლესენტროლსკი ლექსში „თანაზრ აბაელო“, მიხეილ დუდინი „მადნაფიცების აღი-საყენებში“, მიხეილ ლუკინია „ქართველ გმირებში“, ალექსანდრე მეჟიროვი „გალაქტიონისა თარგმანზე შინაწერში“ და სხვ. ეს ლექსები საგანგებოდ მიაქცევენ მკითხველს ყველაწლებან ქართული ენის პოეტური ბუნებისა და სილამაზისადმი.


აქვე ტიხონოვის, კ. სიმონოვის, მ. პასტერნაის, ნ. ზაბოლოცის შესანიშნავ ტრადიციულს აგრძელებენ და ამჟღიერებენ ვეგენი ვეტუშენკო, ბელა ახმადულისა, ვლადიმერ სოლჟიჯინი, ანდრეი ვოზნესენსკი და სხვები.

ქვეყნი ვეტუშენკოს შენოქმედება მდიდარია ინტერნაციონალისტური იდეებით. მისი ქართული შოტეები გ. ვეტუშენკოს პოეზიის მძლავრი ნაკადია. ბერი ლექსი მიუძღვნის პოეტს ამ თემისათვის. მკითხველს იტაცებს მისი გულახდილი დილოგი ქართულ გლვხთან თუ ქართველ პოეტთან. „და ჩემი მშა გლვხი ქართველი, და ქართვილ პოეტს მშაღ შევეციე“ — აცხადებს და შემდეგ: „ვიცი, რუსად რომ არ ვშობა-ლიყავ ქართველკაცობას ვირწედი ქვეყნად“.

როცა ვეგენი ვეტუშენკოს, ანდრეი ვოზნესენსკის, ბელა ახმადულისასა და სხვა გამომწილი რუსი პოეტების შემოქმედებას ვეცნობით, გვაგონდება სსრ კავშირის მწერ-რალთა კავშირის გამგეობის მღვინის ი. სუროცევის მიერ 1975 წელს საქართველოში საბჭოთა პოეზიის დღესასწაულზე ნათქვამი: „ახლა, განვითარებული სოციალიზმის ეტა-პზე, განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული კანონ-ზომიერებანი: ყველა სწავლობს ყველასაგან, ყველა დაკავშირებულია ყველასთან, ყვე-ლა მშის იმ ხაერთო სიმდიდრეს, რომელიც ჩვენს საერთო, მრავალეროვან კულტუ-რას წარმოადგენს“.

ქართული თემისადმი რუსი პოეტების დამოკიდებულებაში იკითხება ბუნებრივი, პირადული ინტინით გამოზარი სულისკვეთება, მიმართული ეროვნული კულტურების ურთიერთ გამდიდრებისა და გაძლიერებისათვის.

ამ იდეას კარგად გამოხატავს საყოველთაოდ ცნობილი მწერლის კონსტანტინე სი-მონოვის სიტყვები: „მადლობა ქვეყანას, რომელმაც პოეტებს ამდენი მშვენიერი ლექსი დააწერინა. მადლობა ქართველ მეგობრებს, საკუთარი პოეზიის სიყვარულიც რომ იცი-ან და რუსულსიცა“.



შთაბრუნების წყარო

ამ წერილში ვისაუბრებთ ფუნჯისა და საჭრეთლის იმ ოსტატებზე, რომელთა შე-
მოქმედებისათვის საქართველო, კერძოდ, აჭარა შთაბრუნების წყარო გახდა.

1851 წელს ახალგაზრდა ხელოვანმა ლევ ლაგორიომ დახატა ბათუმის ხედები. ისინი შესრულებულია აკვარელთ, ღია ტონებში, ზოგიერთი მათგანი ლენინგრადის რუსულ სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ერთ სურათზე მხატვარს საკუთარი ხელით წაუწერია: „ბათუმი, 1851 წელი, 4 აგვისტო“. იგი მას ბათუმის მთაზე დაუხატავს. ჩვენი ქალაქი სოლიეთაა შეჭრილი ზღვასი. ნავსაყუდელი პატარა მოჩახს, ახლანდელი გორკის ქუჩის ბოლო რაიონი კი წყლითაა დაფარული. რეიდზე გემები დგანან. მეორე სურათი ზღვის მხრიდან ჩაუხატავს. აქაც აღბეჭდილია იმ დროისთვის საკმაოდ დიდი გემები. საგულისხმოა ისიც, რომ სურათზე ცალკეა გამოსახული საზღვაო „შუქურა“. 1878 წლის იანვარში დამით ბათუმის რეიდზე მყოფმა რუსეთის ხომალდმა „კოსტანტინმა“, რომელსაც მომავალი ადმირალი სტეფანე მაკაროვი მეთაურობდა, მსოფლიოში პირველად ახლად გამოგონებული ტორპედოებით ჩასძირა თურქეთის საგუშაგო გემი. ეს მომენტი ყველაზე ადრე ლაგორიოს აღუბეჭდავს თავის ტილოზე. სხვათა შორის, პროფესორმა ლაგორიომ ამ თემაზე საფოსტო ღია ბარათებიც შექმნა.

გლადისლავ სტახოვსკი გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მხატ-
ვარია. იგი საქართველოში დაიბადა. თავიდანვე იტაცებდა ზღვა, მისი სანაპირო. ამი-
ტომაც სწირად ჩამოდოდა აჭარაში და ფუნჯით ტილოებზე გადაჰქონდა ზღვის განუ-
მეორებელი სილამაზე, ბუნების მომხიბლელი ნედები.

სურათები „დილა ციხისძირში“, „საბაეო ბათუმში“, „ბათუმის ნავსადგური მე-19
საუკუნის 70-იან წლებში“ და სხვ. მხატვარს თბილისში გამართულ პირველ პერსო-
ნალურ გამოფენაზე წარუდგენია. ჩვენი მხარის სინამდვილიდან უნდა იყოს აღებული.
თემები სურათებისათვის „ქარიშხლის შემდეგ“, „სალამო ზღვის პირას“, „კონტრბან-
დისტები“ და „მარცხი ნავმისადგომთან“, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევენ.

გ. სტახოვსკის ყველა ნამუშევარი მიკვლეული არაა. აჭარისადმი მიძღვნილი სურ-
ათებიდან ჩვენ მხოლოდ ორს მივაგენით. მათი რეპროდუქცია მოთავსებულია ისტო-
რიკოს ევგენი ვეიდენბაუმის წიგნში „კავკასიის გზამკვლევი“, რომელიც 1888 წელს
გამოიცა თბილისში. ესაა გრაფიურა „ბათუმი“ და ფრაგმენტი „აჭარელის ტიპი“. მე-
სამე სურათი „ბათუმის ნავსადგური მე-19 საუკუნის 70-იან წლებში“ კი აჭარის სახე-
ლმწიფო მუზეუმში ინახება.

მხატვარი ალექსანდრე ბოგოლიუბოვი დიდი რუსი მწერლის ნ. რადინსკის
შვილიშვილია. ფუნჯის ოსტატმა მხატვრული ტილოები აჭარასაც მიუძღვნა. ერთ მათ-
განზე აღბეჭდილია რუსი მებრძოლების მიერ თურქეთის სამხედრო ხომალდის ჩაძი-
რვა ბათუმის რეიდზე.

მხატვარმა ბორის ფოგელმა ერთ-ერთმა პირველმა მასშტაბურად ასახა ბათუ-
მის ზღვისპირა ხედები. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში დღესაც გამოფე-
ნილია მისი მხატვრული ტილოები „ბათუმის ნავსადგური“, „ბათუმი 1870 წლამდე“,
„ბათუმის ნავმისადგომი მე-18 საუკუნეში“ და სხვა.

1899 წლის ზაფხულში მწერალ ა. ყირკევიჩთან ერთად ბათუმს ეწვია დიდი რუსი
მხატვარი ილია რეპინი. იგი ბორჯომიდან ჩამოვიდა და გზა ნოვოროსიისკისაკენ განა-

გრძო. მისი მიზანი იყო შეესწავლა მთიანი ლანდშაფტი. ეს სკირდებოდა სურათისა
ვის „ცდუნეა“, რომელსაც მხატვარი მაშინ კმნადა. ამ მოვზაურობის დროს რამისა
სხვადასხვა ხასიათის ბევრი ჩანახატი გააკეთა, მათი ნაწილი ტრეტიაკოვის ვაჟუნებში
ამ რამდენიმე წლის წინათ შეიძინა.

მოსკოვი გამოშვალ ჟურნალ „ნოვოე ვრემის“ 1915 წლის 25 აპრილის ნომრის
მერვე გვერდი დამობილი აქვს ოფიცერ ა. პრეტელავსკის ჩანახატს, „რუსე-
თის ერთგულ აჭარელ ბეგს თავის ზვილებთან ერთად ჭოროხის შტოზე ურემებით გა-
დაპყავს ოუსი ჯარისკაცები თურქეთის პოზიციებზე გასაგზავნად“.

სურათზე მოჩანს ოთხი ურემი, რომლებშიც კამეჩებია შებმული. თითოეულ
ურემზე ხუთი-ექვსი ჯარისკაცია. ფონს გასული მებრძოლები იკრიბებიან, სხვები
ველოდებიან ურემებს. ნახატი გამოირჩევა მკაფიო ფერებითა და ისტორიული მნიშვნე-
ლობა აქვს. ბეგი გვარად ჯაფარიძე ყოფილა.

1974 წელს აჭარის სახელმწიფო მუზეუმს მოსკოვის რევინსტრუქციის ისტორი-
ის მუზეუმის დირექტორმა ლ. ისტრემსკომ საჩუქრად გადასცა მხატვარ ნ. გრიგო-
რევიჩის აკურულით შესრულებული ნამუშევრები, რომლებიც ასახვენ 1914 წლის
ბათუმის ყოფას. სურათებზე გამოსახულია ნავსადგური, ძველი საყავე, ბაზარი, ნავში
დოქების დატვირთვა, ქალაქის ერთ-ერთი ხედი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 20-იან წლებში აჭარაში არსებობდა მხატვართა საზოგადოება
და ხშირად გამოფენები ეწყობოდა. 1917 წელს ბათუმის საქალაქო საბჭოს გამგე-
ობის დარბაზში გაიმართა მხატვრების დიმიტრი ბახომოვისა და სხვათა ნამუშე-
ვრების გამოფენა ამ ნამუშევრების ნაწილი დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში,
მათ შორის ახალშენისა და ორთაბათუმის გზის ხედები.

ბათუმში დაიბადა და ახალგაზრდობის წლები გაატარა ეროვნებით პოლონელმა
მხატვარმა ზიგმუნდ ვალიშევსკიმ. 1957 წელს თბილისში გაიმართა ვალიშევსკის
იმ ნაწარმოებთა გამოფენა, რომლებიც მან თბილისსა და ბათუმში შექმნა.

1922 წელს აჭარაში ჩამოვიდა ცნობილი საბჭოთა სკულპტორი, ეროვნებით შორო-
დველი სტეფანე ვრზია (სეფედოვი). აქ მან შექმნა დიდი ლენინის ბიუსტი.
იგი ხელოვანმა თეთრი მარმარილოსაგან გამოკეთა, ახლა ეს ბიუსტი აჭარის სახელმწი-
ფო მუზეუმში ინახება.

მწერალ კონსტანტინე პულსტოვსკის ცნობით 1922 წლის ბოლოს ბათუმში ცხოვ-
რობდნენ ცნობილი მხატვრები, მათ შორის ისაყ ლევიტანი, მავრამ იგი ვერაფერს
ამბობს იმაზე. შექმნეს თუ არა მათ აქ ტილოები.

აჭარაში საზეითი ხელოვნების განვითარებისათვის ბევრი გააკეთა ცნობილმა მხატ-
ვარმა ილიადარ ზაგოვსკინმა. 1924 წელს ი. ზაგოვსკინი აჭარის მხატვართა ორგა-
ნიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს. მის ტილოებზე აღბეჭდილია აჭარის სოფლის მშრო-
მელთა საქმიანობა, კერძოდ, ჩაისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა, სიმინდის აღება
და სხვა.

ამავე პერიოდში ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა მხატვარი იაკობ სოკოლოვი. აჭარის
თემანე მან ბევრი ფერწერული ტილო შექმნა, რომელთა უმრავლესობა გაბნეულია.
ისინი მნახველებში დიდ ინტერესს იწვევენ. ი. სოკოლოვმა ბათუმში სამხატვრო სტუ-
დია გახსნა და არაერთ ახალგაზრდას შესწავლა ხატვა.

ბათუმში მოღვაწეობდა აგრეთვე ცნობილი სკულპტორი ალექსანდრე ლავინსკია.
მან კერ კიდევ ოცდაათიან წლებში შექმნა ვ. ი. ლენინის ძველი, რომელიც 1955 წელს
მდე იდგა ლენინის სახელობის მოედანზე. ახლა აქ აღმართული მონუმენტი ამ ნამუ-
შევრის ბრინჯაოს ასლია.

1977 წლის შემოდგომაზე მოსკოვის მხატვართა სახლში ხელოვნებათმცოდნე ოლ-
ღა პროიტენბერგის ინიციატივით მოეწყო გამოფენა „30-იანი წლების ხელოვნება“.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა ხელოვნების განყოფილების გამგის ლა დოლაბერიძის ყურადღება მიიქცია მცირე ზომის სულოვან რეპროდუქციას აწერია: ა. კუზნეცოვა — „ქართული სტუდენტის პორტრეტი“ (1926 წელს) — სილი იყო მხატვრის ტოროე შესანიშნავი ტილო „შუქრი ძალით“, რომელიც მხატვარის სახელმწიფო გალერეის საკუთრებაა.

ლა დოლაბერიძემ დაადგინა, რომ სურათზე მახინჯაურელი მურად ჯინჟარაძე აღზრდილი, ხოლო მხატვარი ანა კუზნეცოვა მისი მეუღლეა. 1926 წელს მახინჯაურელი ქაბუკი მოსკოვის აღმოსავლეთის შრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტმა გახდა. ისინი შეუდგნენ. სწორედ მაშინ არის შესრულებული მურადის პორტრეტი, რომელიც თავისი სტილით ახლოა 32-იანი წლების საბჭოთა რეალისტური პორტრეტის ტრადიციებთან. კომპოზიცია სადა და ლაკონურია.

ამჟამად ეს სურათი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაა. იმედია, ა. კუზნეცოვას მხატვრულ მემკვიდრეობაში კიდევ აღმოჩნდება ქართულ თემატიკაზე შექმნილი ტილოები, რომლებიც მომავალში გვერდს დაუშვებენ ამ პორტრეტს. აქარის სახელმწიფო მუზეუმის მნახველებს ხიბლავს ტილოები „ქალის მოტაცება“, „მშობიარე ქალის მეურნალობა ძველად“, „ბათუმი 1880-1885 წლებში“, „ისრაფილ ჯინჟარაძე“, „ბათუმის სანაპირო“, „მანდარინის კრეფა“, ისტატურად შესრულებული ნატურმორტები. მათი ავტორი ნინა პელოვიცევა.

სურათის „მენშევიკების გაქცევა ბათუმიდან“ ავტორი ივანე ეფრემოვიცა. მან დასაჯა აგრეთვე ხელოს, ქედისა და ს. აქარისწყლის ხედები.

ჩვენს მხარეს არაერთი სურათი უძღვნა მხატვარმა მიხეილ ჩიგაროვიცა. მათგან აღსანიშნავია „ტანკერ „სვეტის“ აფეთქება“, „კინტრიშის ხიდის აფეთქება“ და სხვა. მ. ჩიგაროვიცა შექმნა აგრეთვე ფერწერული ტილოები „სხალთის ტაძარი“, „ფურტის თაღოვანი ხიდი“, ხიხანისა და ციხისძირის ციხე-სიმაგრეების ხედები, რომლებიც აქარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ჩვენი კუთხის დიდი მგობარი და მეხოტბეა ვალერიან ილიუშინი, რომელსაც ერთ-ერთ პირველს მიეკუთვნა აქარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. იგი დაიბადა 1888 წელს ბენჯაში. 1907-1911 წლებში მასწავლებლობდა ბათუმის გიმნაზიაში, შემდეგ ცოდნის გასაღრმავებლად იტალიაში გაემგზავრა, საიდანაც 1912 წელს ისევ ჩვენს ქალაქში დაბრუნდა. 1935-1938 წლებში იყო ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი. მან აღზარდა ბევრი მხატვარი, მათ შორის თ. აბაყელი, ნ. იაკოვენკო, ა. ფალიბოვი, ნ. ხალვაში, ა. აცამბა, მ. ვარშანიძე და სხვები.

აქარის სანახაობით დაწესებულებებს დღესაც ამშვენებს მისი მხატვრული ტილოები, რომლებიც ჩვენი მხარის დაუვიწყარ ისტორიულ მოვლენებს ასახავს. ესენია 1942-1957 წლებში შექმნილი სურათები „რუსეთის ჯარების მოსოვლა ბათუმში 1878 წელს“, „აქარის მოსახლეობის შეხვედრა მე-11 არმიასთან“. მნახველებს ხიბლავს ვ. ილიუშინის სხვა ტილოებიც, კერძოდ, „შემოდგომა“, „სოფელი ღორჯომი“, „აქართული ოჯახი“, სხალთის ტაძრის, ხელოს, ქედის, მახინჯაურის, გოდერძის უღელტეხილის, ციხისძირის, ბეშუმის, დიდაქარის, ცხმორისის, ჩაქვის, აგრეთვე კოვენიის, მანქანათსაშენი ქარხნებისა და სხვათა ხედები, ისტორიული პირების შ. ხიმშიაშვილის, მ. აბაშიძის, მუსიკოს ი. ქურხულის, საკოლმეურნეო წყობილების ვეტერანების სურვი და ახმედ ადაძეების, ალი ვანიძის; ეუბ ნაკაშიძის, შუქრი კეკელიძისა და სხვათა პორტრეტები. მსტოვანმა შემოქმედმა ჩვენს მხარეს სულ სამასამდე ნამუშევარი უძღვნა, რომელთა დიდი ნაწილი აქარის სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილებაა.

ტრეტიაკოვის გალერეის სწავლულმა მდივანმა ვ. ვოლოდარსკიმ და საბჭოთა ხელოვნების განყოფილების მეცნიერმა მუშაკმა ო. ზაბციკაიამ დაგვიდასტურეს, რომ მათთან გრაფიკის განყოფილებაში ინახება მხატვრის პროფესორ ივანტი ნიკინსკის

მშენებელი ოფორტი „ასნეფტი“. ესაა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. სურათის ერთ მხარეზე სომალეები და თვითმფრინავები მოსჩანს. მეორე მხარეზე — სახელმწიფო მატარებელი და ტრაქტორი, შუაში აღმართულია ქარხნის მთავარი დანადგარები. წინა პლანზე წარმოდგენილია მემონტაჟე და სხვა სპეციალობის მუშები შრომის პარკებში მოსჩანს ე. ი. ლენინის პორტრეტი.



ოფორტი „ასნეფტი“, რომელიც ი. ნივინსკიმ 1930 წელს ბათუმში შექმნა, ასალო, მჭევრად ეპოქის ყველა დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს.

მრავალმხრივ განსწავლული ნივინსკი საქართველოში პირველად 1923 წელს ჩამოვიდა და შემდეგაც მრავალჯერ ვესტუმრებია. საქართველოს მან არაერთი ნამუშევარი უძღვნა. 1930 წელს იგი ეწვია ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთსაც, სადაც მაინც აქარისწყლის ჰიდროელექტროსადგურს აშენებდნენ და ტილოზე მშენებლები აღბეჭდა.

აკადემიკოსი ევგენი ლანსკერე ცნობილი საბჭოთა ფერმწერი, გრაფიკოსი და თეატრალური მხატვარია. მას მინიჭებული ჰქონდა რუსეთისა და საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება.

1920 წელს ე. ლანსკერე ეწვია საქართველოს და 14 წელი დაჰყო აქ. ამ პერიოდში თვალსაჩინო ცვალი დატოვა მის შემოქმედებაში. მხატვარმა შექმნა მრავალი ტილო, მხატვრულად გააფორმა ათობით წიგნი, ალბომი და სხვა. ამასთან იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის პირველი პროფესორი.

1921 წელს ე. ლანსკერე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა აქარაში მიავლანა. მას დავალებული ჰქონდა ეთნოგრაფიული ხასიათის ტილოების შექმნა (კოსტუმები, არქიტექტურა, აჭარელთა ტიპები). მაშინ მას შეუქმნია სურათი „ახალგაზრდა აჭარელი“, (აკვარელი), რომელიც ახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

მეორე ნახტია აჭარელის პორტრეტი. ეს უკვე ტეპერაა და მხატვრის აღრეულ პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. ამავე პერიოდში აგრეთვე სურათები „ბათუმის ხედი“, „მწვანე კონცხი ბათუმთან“, „ბალმებს ქვეშ“, „აჭარული სახლის შიგნით ხედი“ და სხვა.

1934 წელს მხატვარს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საპარადო კიბის კვანძების დასამშენებლად შეუქმნია ორი დიდი ტილო, მათ შორის „1901 წლის ბათუმის დემონსტრაცია“, იგი ავტორია აგრეთვე სურათისა „მწვანე კონცხი“. ესკიზზე „ბათუმის მუშათა დემონსტრაცია 1902 წელს“ ვხედავთ აღმოდებულ გემს ზღვაში, ხოლო ნაბირზე დგას რევოლუციონერი რევოლუციონერით ხელში, რომლის ფეხებთან დაცარიელებული ვაზნები ყრია.

ამ მოვლენას მხატვარმა 1930 წელს კიდევ ერთი ტილო უძღვნა — „ბათუმელი მუშების გამოსვლა 1902 წელს“. მასზე მოსჩანან გაფიცულნი და მათი ხელმძღვანელები, აგრეთვე ქართულ ენაზე დაწერილი პროკლამაციები, რომლებიც კარგად იკითხება. ამ სურათის ილუსტრაცია ამშვენებს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემულ სექტანიან წიგნს „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება“. აქვე დავძენთ, რომ ხელოვნების დამახასიათებელი მოღვაწე დ. იმნაიშვილი ე. ლანსკერეს მოწაფეა.

საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სომხეთის სახალხო მხატვარი დიმიტრი ნალბანდიანი თბილისში დაიბადა, აქვე დაამთავრა სამხატვრო აკადემია.

1969 წლის აპრილში ამ აკადემიაში მოეწყო ხელოვნის 40 წლის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზეც დ. ნალბანდიანმა სამასამდე ნაწარმოები წარმოადგინა, მათ შორის იყო აჭარისადმი მიძღვნილი ტილოები „ბათუმის ნავსადგური“, „შავი ზღვის მღელვარება“, „აჭარელის პორტრეტი“, „ბათუმი დემონსტრაციის წინ“, „აჭარლები“ და სხვა.

დ. ნალბანდიანის მხატვრული ტილოს რეპროდუქცია, რომელზეც ასახულია ბათუ-

ნის იატაკქვეშეთის სტამბა, მოთავსებულია დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემის მეოთხე ტომში, აქვე 312 გვერდზე არის რეპროდუქცია მხატვარ ვ. მალკოვიცის სურათისა „1902 წლის 9 მარტის ბათუმის დემონსტრაცია“. ამავე მოვლევებს ასახავს მხატვარი ვ. მალკოვიც, რომლის რეპროდუქცია დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემის მე-16 ტომშია დაბეჭდილი.

მოსკოველი მხატვარი როსტისლავ ბარტო ბათუმის ხშირი სტუმარია. მან ჯერ კიდევ 1929 წელს შექმნა სურათები „მოხუცი აჭარელი“ და „ჩაის კრეფა“, რომლებიც ახლა ტრეტიაკოვის გალერეის საკუთრებაა.

1966 წელს ბარტომ დახატა აკადემიკოს ქ. ბახტაძის პორტრეტი, სურათები „ჩაის პლანტაციები ისევნებს“, „მზის უკანასკნელი სხივები ჩაის პლანტაციაში“ და სხვა. ავტორმა ეს ნამუშევრები წარადგინა გამოფენაზე „მოსკოველი მხატვრები — ოქტომბრის 50 წლისთავს“.

რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ივანე ტიტოვი, რომელიც სამხედრო ომის დაწყებამდე ბათუმში მუშაობდა, ცნობილი პეიზაჟისტი და მარინისტი მხატვარია. იგი გატაცებულია ჩვენი ბუნების სილამაზით, აჭარაში ცხოვრების დროს ტიტოვმა ბევრი ტილო შექმნა, ისინი „ბათუმის სერიითა“ ცნობილი. ტილოების ეს ციკლი ხელოვანმა 1966 წლის მაისში მოსკოვის მხატვართა კავშირის სახლში გამართულ პერსონალურ გამოფენაზე წარმოადგინა.

სახალხო კომისარიატთა საბჭოს დავალებით მოქანდაკე იულია კუჩნს შექმნა ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მუშაობის ამსახველი ცალკეული ბარელიეფები, აგრეთვე მეურნეობის ძველი დამკვირვებელი მუშის შემდეგ ცინარაძის ბიუსტი, რომელიც აჭარის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.

1936 წლის დამლევს გამოფენის „ინდუსტრია სოციალიზმს“ კომიტეტის დავალებით აჭარის ეწვია სკულპტორი მარია სტოლნიკოვა. მომდევნო წლის დასაწყისში იგი უკვე ამთავრებდა აწუხის მშენებლობის მეგეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელის, ორდენოსან ახმედ შერვაშიძის, აგრეთვე მეფორამეტე საშუალო სკოლის 13 წლის მოცეკვავის ენვერ ხაბაძის ბიუსტებს. ამავე დროს სკულპტორი მუშაობდა გონიოელი მწყემსის ბიუსტზე და მშენებარე სახელმწიფო თეატრის სკულპტურულ გაფორმებაზე. გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეძერწა აგრეთვე ხაბაძის მთელი ფიგურა ცეკვის მომენტში. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება მისი სკულპტურული ნამუშევრები, მათ შორის ე. ხაბაძისა და ა. შერვაშიძის ბიუსტები, ბარელიეფი „აჭარელთა ტიპები“.

აჭარას არაერთი ფერწერული ტილო უძღვნა მხატვარმა ა. შევჩენკომ, მისი ზოგიერთი ნამუშევარი, მათ შორის „აჭარა“, „მეთევზეთა ნავმისადგომი“, „აღმოსავლური მოტივი“, „მოსავლის აღება აჭარაში“ და სხვა წარმოადგინეს გამოფენაზე „ძველი საბჭოთა მხატვრები კავკასიასა და შუა აზიის შესახებ“, რომელიც 1971 წლის იანვარში გაიხსნა მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში. აქვე გამოფენილი იყო ლ. ბრუნის აკვარელები, რომელზეც ასახულია ბათუმი და მისი შემოგარენი.

1937 წელს გამოიქვემოდა „დეტსკაია ლიტერატურამ“ მკითხველებს მიაწოდა წიგნი „ი. სტალინი და ხაშიმი“. მასში დაბეჭდილია რეპროდუქცია მხატვარ პ. ბუსირევის სურათის „ამხ. ი. სტალინი ხელმძღვანელობს აჭარელთა წრეს ბათუმში 1901 წელს“. ს. კირაკოზოვის კი ეკუთვნის სურათი „ამხ. სტალინი და ხაშიმი 1902 წელს“.

30-იან წლებში გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ დროდადრო აქვეყნებდა აჭარისადმი მიძღვნილ ჩანახატებს. მათი ავტორი მხატვარი ვ. კროტკოვია, ასე, მაგალითად, 1934 წლის 14 აგვისტოს გაზეთმა სათაურით „ყვავილეებისა და პალმების ხეივანების ქალაქი“ დაბეჭდა მხატვრის რამდენიმე ჩანახატი ბათუმზე. სხვა ნომრებში კი გამოაქვეყნა „აჭარის კურორტები“, „პიღროლექტროსადგური აჭარისწყალზე“, „აჭარელ ქალთა კლუბი ბათუმში“, ამ კლუბის გამგის ზეჩეი შამილაძისა და აწუხის მოწინავე გვირაბმუნის ახმედ

შერვაშიძის პორტრეტები. კროტკოვმა 1936 წელს შექმნა ტილო „ამხ. ვოროშილოვი აკოაში“ და წაირთოა დგინა საქართველოს მხატვართა გამოფენაზე, რომელიც 1939 წლის ივლისში ბათუმში შედგა.

ათასკვის მესახელოთა მუზეუმში დაცულია მხატვრების მ. მალეცკისა და ა. სოლოგუბის ერთობლივი ხატუშეგარი „მესახლევე ტიმოთე ლიუშკინის სურათზე შოიას აქარის თოვლიანი შთა, მესახლევეები, რომელთაც დაპატივებული ბანდიტები მოჰყავთ.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვი ბევრჯერ ყოფილა ბათუმში. მას ჯერ კიდევ 1938 წელს დაუხატავს „ბათუმის ატრაქციონი“ და სხვა სურათები. აქარა ტილოზე ასახა საქართველოში მცხოვრებმა სომეხმა მხატვარმა ალბერტ დილბერიანმა აც. 1963 წელს ქობულეთში დასვენებისას მან დახატა სურათები „პლაჟი“, „ბოტანიკური ბაღი“, „ქობულეთის ეზო“ და სხვა. აქარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში ინახება მისი ორი სურათი „მზის ჩასვლა ზღვაზე“ და „ნატურმორტი“.

აქარის დამსახურებულმა მხატვარმა გრაჩ სეჩენიანმა აც ჩვენი რესპუბლიკის თემაზე სამასამდე სურათი შექმნა. „ქალიშვილი აქარულ კაბაში“, მახუნცეთელი კოლმეურნის პორტრეტი“, „ყენახი ქედში“, „თამბაქოს შრომა დოლოვანში“, „აქარელი კოლმეურნის ეზო“ და სხვა. ზეზე მან გამოკვეთა ი. ჯინჟარაძისა და სხვა ცნობილ ადამიანთა სახეები.


მხატვარი გ. იუსტინსკაია ადრე ბათუმში ცხოვრობდა, აქარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება გ. იუსტინსკაიას ლინოგრაფიურები „აქარა ხარაზთებში“, „ნავსადგური“, „რკინიგზის დეპო“ და სხვა.

აქვე დაცულია აგრეთვე ლ. როგალევიჩის „შერიდ ხიმშიაშვილის პორტრეტი“, გ. ვაღბოლსკის „ბათუმელ პიონერთა შეხვედრა გ. ტაბიძესთან 1966 წელს“, თ. გრომოვის „ბათუმის ციხიდან პოლიტპატიმართა განთავისუფლება წითელარმიელების მიერ 1921 წელს“, „ასფალტის პირველი ქარხანა ბათუმში“, ა. ლარიონენკოს „ი. ჯინჟარაძის პორტრეტი“, ვ. ბოროდაის, ა. სტრანილინის აქარელთა „ტიპები, ყოფა“, ვ. ჩეხმეჯიანის „ი. ჯინჟარაძის ბიუსტი“, ვ. დივუროვას „ჩაის კრეფა“, ვლ. რუდის „სეინერები რეიდზე“, ვ. იაკოვენკოს „ელექტრომექანიკური ქარხნისა და ჩაის პლანტაციების ხედები“, ა. გორსკის „მწვანე კონცხის ხედები“, ვ. ფედოროვიჩის „ჩაქვის ჩაის ფაბრიკა“, ვლ. სელეზნიოვის, ს. პუტინის, ა. მაგიდსონის, ა. პოგოდინის, ალ. ეფტეევის, გ. ხალათოვის, ა. აირაპეტოვის, ა. შვერლინგის, ა. ვისნერის, ი. სავიციის, მ. ვგოროვისა და სხვათა აქარისადმი მიძღვნილი ნამუშევრები. მნახველებს იზიდავს ი. ჭავჭავაძის ბათუმის სახელმწიფო თეატრის დარბაზისა და ფოიეს მოჩატულობა. იგი მხატვარ ბ. ბენოს ნამუშევარია.

ზოგიერთი თანამედროვე საბჭოთა მხატვარი აქარის თემას მიმართავს ისეთი სურათების შექმნისას. რომლებიც საფოსტო კონვერტების, ღია ბარათების, მარკების, ალბომების, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გასაფორმებლად და გათვალისწინებული. მაგალითად ბ. პარმეევმა და ე. ბროდსკიმ კონვერტზე ასახეს მწვანე კონცხის სანატორიუმი „აქარა“ და ციხისძირის დასასვენებელი სახლი „ნაუკა“, ი. კოსორუკოვმა — აქარის პეიზაჟი ღია საფოსტო ბარათისათვის, რომელიც აქარის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, ხოლო მხატვარმა ვ. ანისკინმა მარკაზე გამოსახა ცეკვა „ხორუმი“, ა. დენისოვმა კი ბათუმის საზღვაო ვაგზალი.



აქარა მოძობების დღეებში



თავისებური ბირობები შეიქმნა საქართველოში და, კერძოდ, აქარაში თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

მშრომლები დიდი აღფრთოვანებით შეხედნენ ცნობას ცარიზმის დამხობის შესახებ. როგორც ბათუმში, ისე მთელს აქარაში ტარდებოდა ხალხმრავალი მიტინგები და კრებები.

მაგრამ მშრომლებს ჯერ კიდევ რთული და ძნელი გზა ჰქონდათ გასავლელი სრული თავისუფლების მოსაპოვებლად.

როგორც თბილისში, ისე ბათუმშიც მენშევიკებმა და ესერებმა ბურჟუაზიული შეთანხმებით 6 მარტს შექმნეს ცალ-ცალკე მუშათა დეპუტატების საბჭო და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. მათ ყოველ ღონეს მიმართეს, რათა არ დაეშვათ საბჭოში ბოლშევიკები. ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს 20-ზე მეტი წევრიდან მხოლოდ ორმა იყო ბოლშევიკი.¹

გამომდინარე ვ. ი. ლენინის მითითებებიდან, არავითარი მხარდაქერა ახალ მთავრობას... პროლეტარიატის შეიარაღება — ერთადერთი გარანტიაა... არავითარი დახმობა სხვა პარტიებთან“² აქარის ბოლშევიკებმა აქტიური მუშაობა გაშალეს მთებში, ჯარისკაცებსა და მატროსებში, მშრომელ გლეხობაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის. ისინი სათავეთი ჩაუდგნენ მშრომელთა ბრძოლას მათი ნამდვილი განთავისუფლებისათვის. მშრომლები სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ, რომ არც მენშევიკურ-ესერული საბჭო, არც დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ორგანო არ იყვნენ მათი ინტერესების დამოშანტველი, საბოლოოდ დარწმუნდნენ მათი დაპირებების სიერეში.

როგორც მთელს ქვეყანაში, ისე აქარაშიც მშრომელთა მდგომარეობა რაც დრო გადიოდა უფრო მეტად აუტანელი ხდებოდა. შემოდგომისათვის უკიდურესად გამწვავდა და სურსათის კრიზისი. კავკასიის ფრონტის ჯარისკაცები ერთ-ერთ წერილში წერდნენ, რომ მოახლოებულია ის ვადამწყვეტი საათი, როდესაც იარაღით ხელში აღსდგებიან მხაგერელების წინააღმდეგ, „მუშებისა და გლეხების შემდგომი ბედისათვის, ნათელი მომავლისათვის, პურისათვის, შრომის ადამიანური უფლებებისათვის, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის“.³

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებში ბათუმის ოლქში მუშათა საგაფიცო ბრძოლა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შედის უმაღლეს დანა-

ფი. ნახევრად მშვიერი მუშები უკვე ითხოვდნენ არა მარტო თავისი ეკონომიკური მოთხოვნების დამაყოფილებას, არამედ სულ უფრო გადამწყვეტად აყენებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებს — არსებული წყობილების გაუქმებას, ხელისუფლების გასაცემას მშრომელი ხალხისადმი. ადგილობრივი ხელისუფალნი იძულებული გახდნენ, ეღიპრებოდნენ, რომ ბათუმში „ინგრევა სახელმწიფო ხელისუფლებით“⁴ პროლეტარიატის მხარდახარი არსებული წყობილების წინააღმდეგ იბრძოდა აპარის გლეხობა. ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეებში ჩაქვის 12 სოფლის მშრომელმა გლეხობამ უარი განაცხადა გადაეხადა ყოველგვარი გადასახადი და ერჩინა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.⁵

ასე თანდათანობით, სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მთელი ქვეყანა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც ახალი ერა დიწყო კაცობრიობის ისტორიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აპარის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებში უკვე ინფორმირებული იყო პეტროგრადში შეიარაღებული აჯანყების მზადების შესახებ. შეიქმნა აჯანყების მომწყობი კომისია ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. 1917 წ. 25 ოქტომბერს, დილით, შესდგა აჯანყების მომწყობი კომისიის სხდომა 221-ე პოლკის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პეტროგრადში აჯანყების დაწყებისთანავე ბათუმის მუქებისა და აპარაში განლაგებული ჯარის ნაწილების, მშრომელების ერთსულოვანი თანაგრძნობისა და მხარდაჭერის შესახებ.⁶ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ აპარაში რადიოდებუა რევოლუციური პეტროგრადიდან იმავე დღესვე იქნა მიღებული. მასში მითითებული იყო, რომ ახალი მთავრობის პროგრამა არის დემოკრატიული შავი, მემამულეთა მიწების გადაცემა გლეხებისათვის, მთელი ძალაუფლებისა — საბჭოებისათვის.

1917 წ. 26 ოქტომბერს ქ. ბათუმში მოწვეულ იქნა აპარის ბოლშევიკური ორგანიზაციის საერთო კრება თანამგრძნობთა თანდასწრებით. ერთხანად მიღებულ მისასალმებელ რეზოლუციაში აღინიშნა, რომ ბათუმის ბოლშევიკები გამოხატავენ თანაგრძნობასა და აღტაცებას, მხარს უჭერენ საბჭოების ხელისუფლების პროგრამას.⁷

მუშებზე, ჯარისკაცებზე, მატროსებზე, აპარის მთელი მშრომელი მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა პროლეტარულ რევოლუციას. ბათუმში განლაგებული მრავალათასიანი სათადარიგო პოლკის ჯარისკაცებმა და რამოდენიმე გემის მატროსებმა გამოთქვეს სურვილი წასულიყვნენ პეტროგრადში და მიეღოთ მონაწილეობა ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად. ქ. ბათუმის მშრომელთა საერთო კრების რეზოლუციაში ვკითხულობთ: „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია გადაარჩინოს ქვეყანა ეკონომიური კატასტროფისაგან, მისცეს პური დამშუფლთ და მშვიდობა — არმიასა და ქვეყანას“.⁸

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მთლიანად ამიერკავკასიაში, ისე აპარაში, რიგი მიზეზების გამო, არ მომზადდა ყველა პირობა შეიარაღებული აჯანყების წარმატებით განხორციელებისათვის. აპარის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, მიუხედავად დიდი წარმატებებისა, მენშევიკებისა და ესერების გამყიდველური პოლიტიკის შედეგად, იმ დროისათვის ვერ მიაღწია გავრცელებინა თავისი გავლენა მუშათა და კავკასიის ფრონტის მეორე ხაზის ჯარისკაცების, აგრეთვე მატროსების დიდ უმრავლესობაზე.

1917 წ. ნოემბრის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა და წერილობრივად უნაპირებმა პარტიებმა, რომლებსაც თავის მხრივ აქეზებდნენ ანტანტისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, გადაწყვიტეს, არ მცნოთ საბჭოთა რუსეთი, მოეწყვიტათ მისგან ამიერკავკასია. ამიერკავკასიის განსაკუ-

თრებული კომიტეტის ნაცელად, რომელმაც დროებითი მთავრობის დამხობის შედეგად დაიარაგა თავისი რწმუნებულება, შეიქმნა სამხარეო ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანო — ამიერკავკასიის კომისარიატი ქართველი მენშევიკების, აზერბაიჯანელი მუსავატელების, სომეხი დაშნაკებისა და მემარჯვენე ესერების წარმომადგენლებს შორის. 1918 წ. თებერვალში შექმნილი ამიერკავკასიის სეიმის მიერ 22 აპრილს გამოცხადებულმა ამიერკავკასიის „დამოუკიდებელმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ“ იარსება მხოლოდ 35 დღე. ის ამიერკავკასიის კომისარიატთან და სეიმთან ერთად დაიშალა. მის ნაცელად შეიქმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბურჟუაზიული რესპუბლიკები, მენშევიკების; დაშნაკებისა და მუსავატელების კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური მთავრობებით. 1918 წ. 26 მაისს საქართველო გამოცხადებულ იქნა „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად, მაგრამ ფაქტიურად მისი ბატონ-პატრონი ჯერ გერმანელი, შემდეგ ანტანტის იმპერიალისტები იყვნენ.

მენშევიკური პარტიის ბათუმის კომიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღეებში თავის სხდომაზე ღებულობს რეზოლუციას: „საბჭოების ხელში ხელისუფლების გადასვლა მიგვაჩინა ნაადრევად!“ 1917 წ. 27 ოქტომბერს ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საგანგებო სხდომაზე მენშევიკებმა და ესერებმა განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგი არიან საბჭოებისათვის ხელისუფლების გადაცემისა. როგორც თბილისში, ისე ბათუმშიც საბჭოებში ძირითადად მოკალათებული იყვნენ მენშევიკები და ესერები. ბოლშევიკებმა გამოამჟღავნეს მენშევიკურ-ესერული ბათუმის საბჭოს ხელმძღვანელობის ანტიხალხური პოლიტიკა და მოითხოვეს ეცნოთ და მხარი დაეჭირათ საბჭოთა მთავრობისათვის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, მაგრამ საბჭოს წევრთა დიდმა უმრავლესობამ ბოლშევიკების წინააღმდეგა არ მიიღო.

ამიერკავკასიის სხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების მაგვარად აჭარაშიც აღნიშნული პარტიების წარმომადგენლებმა სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნეს ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი“.

ასეთი მდგომარეობა იყო აჭარაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ ხანებში, როდესაც ბოლშევიკები სთავეში ჩაუდგნენ აჭარის მშრომელთა ბრძოლას პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. იმ დროისათვის აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაცია ითვლიდა 700-მდე წევრს.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ტარდებოდა ხალხმრავალი მიტინგები და კრებები, სადაც მუშები, ჯარისკაცები, მშრომელი გლეხობა მკაცრად გმობდნენ საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის მოწყვეტას. 1917 წ. 3 დეკემბერს ბათუმის მშრომელთა მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „კრებას მიაჩნია, რომ ნამდვილ მუშურ-გლეხური ხელისუფლება არის სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება, რომელიც იბრძვის მშვიდობის, მიწისა და თავისუფლების ლოზუნგის განხორციელებისათვის. კრება მთლიან ნდობას უცხადებს ამ მთავრობას, არ ცნობს ამავე დროს ამიერკავკასიის კომისარიატს, რომელიც შექმნილია კოალიციის პრინციპით კერენსკის დამხობილი მთავრობის მსგავსად“.⁹

1917 წ. ნოემბრის მეორე ნახევარში ბოლშევიკებმა შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც ხელისუფლების კონტრრევოლუციურ ორგანოებთან პარალელურად ანხორციელებდა თავის ხელისუფლებას. ნოემბრის ბოლოს კი შეიქმნა ბოლშევიკური შეიარაღებული რაზმი.

1917 წ. დეკემბრის შუა რიცხვებისათვის აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების რეალური პირობები შეიქმნა. მენშევიკებმა ბათუმიდან მთლიანად გაიყვანეს რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები, საქართველოს მენშევიკური მთავრობის



ჯარები ყაჩაღურად დაესხნენ თავს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მენეჯერებს, ოთხელთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერდა ბოლშევიკებს, ბევრი კი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო, დაშალეს ბოლშევიკური წითელი გვარდია, დაარბიეს მთელი ქალაქი, მთელი ბოლშევიკური ორგანიზაცია. მენშევიკებმა მთლიანად ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და დააყარეს კონტრრევოლუციური დიქტატურა, რომელიც ეყრდნობოდა სამხედრო ძალას.

1918 წლის 1 აპრილიდან 1920 წლის 7 ივლისამდე აჭარაში ბატონობდნენ ჯერ თურქი, შემდეგ კი ანტანტის იმპერიალისტები. ბათუმის პროლეტარიატმა, აჭარის მშრომელებმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერეს უცხოელი ინტერვენტებისა და სოციალისტური რევოლუციის შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლის მატიაწევი.

1920 წ. 17 ივნისს, აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაციის სამხედრო-საბრძოლო კომიტეტის ხელმძღვანელობით აფეთქებულ იქნა საწვავი მასალით და იარაღით დატვირთული ტანკერი „სვეტა“, რომლის ტვირთაწმეობა 2 ათას ტონაზე მეტი იყო. განადგურდა დიდძალი სამხედრო აღჭურვილობა, ტანსაცმელი, საბრძოლო ვაზნები, ყუმბარები, რომლებსაც მხოლოდნაღვ ვლოდა თეთრგვარდიელ გენერალ დრაცენკოს რაზმი, თხევად საწვავს კი გენერალ ვიანგელის არმია.

ამის შემდეგ ინგლისელმა ინტერვენტებმა გადაწყვიტეს საბოლოოდ დაეტოვებინათ აჭარა და ბათუმში მენშევიკური მთავრობის ჯარი შემოეშვათ...

ბათუმის პროლეტარიატს, აჭარის მშრომელებს, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გადაწყვეტილი ჰქონდათ ინტერვენტების წასვლის დღეს ძალაუფლება აეღოთ თავიანთ ხელში და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი 1920 წ. 30 აპრილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „ბათუმიდან ინგლისელები მიდიან და ქალაქი უნდა გადასცენ მენშევიკებს. მაგრამ ბათუმის პროლეტარიატი არ დაუშვებს გადაცემას და ხელში ჩაიგდებს ხელისუფლებას. ამისათვის მათ საკმარისად აქვთ საშუალება. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. მაგრამ თუ თავის დროზე ჩვენი ნაწილები არ დაიკავებენ სოხუმსა და ფოთს, ის დიდხანს ვერ გაძლებს. საჩქაროდ აცნობეთ ამის შესახებ შავი ზღვის წითელი რაზმის სარდლობას“.¹⁰

აუტანელი სიღარიბე და სიღატაკე სუფევდა აჭარაში მენშევიკების ბატონობის დროს. ფაბრიკა-ქარხნები კვლავ კაპიტალისტებს, ხოლო მიწა ბეგებს დარჩათ.

საქართველოს მშრომელები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სასტიკ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკური ანტიხალხური რეჟიმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით, მშრომელი ხალხის გამარჯვებით დამთავრდა.

მშრად ჩავლენივძილი.
ლოცნტი.

შენიშვნები:

1. აჭარის ცსა, ფ. ი-67, აღწ. 1, ს. 13, ფ. 49.
2. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 387.
3. ვახ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 152, 1917 წ., 19 სექტემბერი.
4. აჭარის ცსა, ფ. ი-10, აღწ. 1, ს. 65.
5. საქ. რევოლუციის სახ. მუზეუმი, ფ. 4, ს. 126, ფ. 5.
6. ვახ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 188, 1917 წ. 1 ნოემბერი.
7. ვახ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 184, 1917 წ. 27 ოქტომბერი.
8. ვახ. „კავკასსკი რაბოჩი“, № 194, 1917 წ., 8 ნოემბერი.
9. ვახ. „ბურვეესტნიკი“, № 7. 1917 წ., 11 დეკემბერი.
10. სკვბ ცკ მ-ლ ინსტიტუტის ცსა, ფ. 17. აღწ. 6. ს. 95, ფურც. 66.

აზრიალდა

წითელი

დროშა



1921 წ. 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარებით, მეთეთომეტე წითელი არმიის უშუალო მონაწილეობით დაამხეს მენშევიკური რეჟიმი და საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა. მენშევიკთა ლიდერებმა თავს გაქცევით უშველეს და თავმესაფრად ქ. ბათუმში აირჩიეს, მაგრამ თავიანთ უსუსურობაში რომ დარწმუნდნენ, მენშევიკებმა დასტოვეს უკანასკნელი თავშესაფარი და 17 მარტს, ღამით, იტალიის გემით საზღვარგარეთ გაიძარსნენ.

იმავე დღეს პატიმრობას თავი დააღწიეს პოლიტიკურმა ტუსაღებმა, როგორც ქუთაისის ციხიდან გადმოყვანილებმა, ასევე ადგილობრივმა კომუნისტებმა, რომლებმაც იმავე საღამოს შექმნეს დროებითი რევოლუციური კომიტეტი სერგო ქვეთარაძის მეთაურობით. 18 მარტს წითელი არმიის ნაწილები დ. ქობას მეთაურობით ქ. ბათუმში ჩავიდნენ. რევკომმა აქარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. რევკომი იყო უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო. მისი უპირველესი ამოცანა იყო რევოლუციური წესრიგის დაცვა ქ. ბათუმსა და ბათუმის ოლქში. რევკომის გვერდით მოქმედებდა თურქეთის შთავრობის წარმომადგენელი ქაზიმ ბეი, რომელმაც ძალით დაიკავა სტრატეგიული პუნქტები და სახელდახელოდ შედგენილი რაზმებით ცდილობდა ხელი შეეშალა ქ. ბათუმში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლისათვის. მაგრამ მე-11 არმიის ნაწილებმა გასტეხეს მისი წინააღმდეგობა და ამ წლის 25 ივნისის დეკრეტით ი. ზილოტოვს გადაეცა სამახსოვრო ხმალი წარწყვრილ!

შემდგომში აღნიშნული პოლკი დაეხმარა ბათუმის რევკომს ქაზიმ ბეის ავანტიურის ლიკვიდაციაში, რომელიც ცდილობდა შეიარაღებული რაზმებით დაეპყრო ბათუმი.

მე-11 არმიის ნაწილების და ადგილობრივ მცხოვრებთა ენერგიული მოქმედების შედეგად მარტის ბოლოსათვის ქემალისტებმა დატოვეს ბათუმი, მაგრამ მოასწრეს შეექმნათ ჯაშუშობის ფართო ქსელი, რომლის მთავარი დანიშნულება იყო გადაებირებინათ მშრომელთა მასები და აემხედრებინათ ისინი საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. ამ განხრახვას განხორციელება არ ეწერა. რევკომის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა.

რევკომი შეუდგა გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებას. მისი უპირველესი ამოცანა იყო მოპოვებული გამარჯვების განმტკიცება, რევოლუციური წესრიგის დამყარება, მოსახლეობის მომარაგება პროდუქტებით, სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნა, რაიონებსა და თემებში რევკომების მოწყობა, მენშევიკების მიერ დატოვებული დანგრეული მეურნეობის და ქონების აღრიცხვა-პატრონობა, ძველი გადმონაშთების ლიკვიდაცია, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების არჩევნების ჩატარება.

რევკომის პარალელურად მოქმედებდა მეკლისი, რომელსაც ანტიხალხური საქმიან

ნობის გამო „შევი შევალის“ უწოდეს. მშრომლები მოითხოვდნენ მის დაშლას და ხალხის არჩევას.

7 ნოემბერს ბათუმში გაიხსნა გლეხთა პირველი ყრილობა, მან მეჯლისი დაშლილად გამოაცხადა და აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი („წითელი მეჯლისი“) ყრილობამ ჯ. ი. ლენინს გაუგზავნა გულთბილი მისალმება.

წითელი მეჯლისის შექმნამდე, 1921 წ. 16 ივლისს, საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოწყობის შესახებ. მისი შინაარსი ასეთი იყო:

მოეწყოს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, როგორც ნაწილი საქართველოს სს რესპუბლიკისა, იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც აჭარას ეჭირა, ცენტრით ქ. ბათუმი.

აჭარის ასსრ გამგებლობის ორგანოებად მიჩნეულ იქნა: სახალხო კომისართა საბჭო, მეჯლისი და ადგილობრივი საბჭოები, რომელთა არჩევნები უნდა ჩატარებულიყო საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე. დეკრეტი ითვალისწინებდა შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ვანათლების, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, მწიფომომკმედების, ფინანსთა, სასურსათო. შრომის სახალხო კომისარიატების, სახალხო მეურნეობის საბჭოს გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის შექმნას, რომლებიც შესაბამისად დაექვემდებარებოდა საქართველოს სსრ ორგანოებს.

აჭარის ასსრ მეჯლისის, სახალხო კომისართა საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების საქმის წარმოება უნდა წარმართულიყო მშობლიურ ენაზე. აჭარის ასსრ საზღვრები საბოლოოდ უნდა დაედგინა აჭარის და აჭარის მომიჯნავე მაზრების წარმომადგენლები-საგან შემდგარ შერეულ კომისიას, საქართველოს სსრ მთავრობის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით.²

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე გახდა შესაძლებელი ავტონომიის საკითხის რეალურად გადაჭრა.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ აჭარის მშრომლებს შემდეგი შინაარსის მისალმება გაუგზავნა:

„ძმებო და ახმანაებო! აჭარის მუშებო და გლეხებო!

ბოლო მოედო თქვენს ტანჯვა-წამებას! თქვენ განთავისუფლდით ხართ. თქვენი მშვენიერი მხარე ამ ხნის განმავლობაში არა ერთჯერ იყო აიხრებული და აწიკნებული. თქვენ დაგვიინდინა, როგორც ინგლისის, საბურჯეთისა და აჭარის იმპერიალისტები, ისე მენშევიკი შომაღდანი, შეურაცხყოფდნენ თქვენს ადათებს, ჩვეულებებს, სარწმუნოებას. ამიერიდან ასეთ დაცინვას ბოლო მოედო. ამ საზეიმო და დიდნიშნული დღიდან წითელ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა მთავრობა ყველა ქვეყნის მუშების წინაშე საჯაროდ აიხადებს: დღიდან აჭარა სრულიად თავისუფალი და სრულიად ხელშეუხებელი იქნება. მას მიენიჭება ავტონომიური მმართველობა საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე — იაუმარჯოს აჭარის მუშებსა და გლეხებს! გაუმარჯოს ავტონომიურ საბჭოთა აჭარას!“³

ანალოგიური მისალმება გაუგზავნა აჭარის რევკომს, მისალმება გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ 1921 წლის 23 მარტის ნომერში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინეს ის ხვედრი, რაც აჭარას თურქთა სამასწლოვანმა ბატონობამ არგუნა, რის შედეგადაც დაცევა მისი ეკონომიკა და კულტურა. გამოიხატა ყველაზე რეალური საშუალება ავტონომიის საბოლოო უზრუნველყოფდა ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩეულობის დაქარაბებით დეკვიდაციას. აჭარისათვის ავტონომიის მინიჭება განპირობდა ააბოთე ედროინდელმა საშინაო და საგარეო პირობებმა. ამგვარად, აჭარის ასსრ შეიქმნა არა ერთჯერულ ნა-

დაგზე, როგორც სხვა ავტონომიური რესპუბლიკები, არამედ ისტორიულად ავტონომიური პოლიტიკური პირობების გამო.

სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად აჭარის ასსრ მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიიღწია თვალსაჩინო წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

61 წელი ისტორიისათვის თითქმის უმნიშვნელო მონაკვეთია. მაგრამ ამ ხნის მანძილზე აჭარამ განვლო საუკუნის სადარი გზა. ძირფესვიანად იცვალა სახე და უკიდურესად ჩამორჩენილი მხარიდან მოწინავე, ავტონომიურ რესპუბლიკად იქცა.

დღეს აჭარის მრეწველობა ქვეყანას აძლევს ნავთობპროდუქტებს, სხვადასხვა სახის კატარღებს, ელექტროტექნიკურ ნაწარმს, კვების მრეწველობისათვის საჭირო 80-მდე სხვადასხვა სახის მანქანებსა და ტექნოლოგიურ მოწყობილობას, ციტრუსოვანთა და ხილის კონსერვებს, ფეხსაცმელს, სამკერვალო ნაწარმს და სახალხო მოწოდების სხვა საქონელს. აჭარის სამრეწველო პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში. განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოს საზღვაო კიშკრის — ბათუმის სავაჭრო საზღვაო ნავსადგურის როლი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნის შემდეგ.

სასახელოდ შრომობენ სოფლის მეურნეობის მუშაკები — მეჩაიეები და მეცხირე-საქონლეები, მეცხოველეები და მეთამბაქოეები.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

თვალსაჩინო ძვრებია განათლების და კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკა დაიფარა სახალხო განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების ფართო ქსელით.

სახალხო მეურნეობის და კულტურის დარგში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის აჭარის ასსრ დაჯილდოებულია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით. საკავშირო გარდამავალი დროებით სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი შედეგებისათვის.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ხორცშესხმის შედეგად საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში აჭარა ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს კომუნისტურ მშენებლობაში.

კარლო დოლიძე,

დოცენტი

შენიშვნები:

1. აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი. ფ. რ.-1, აღწ. 1, საქმე 30/1. ფურც. 52.
2. „მოამბე“, № 12, 1921, წ. გვ. 2-3.
3. „კომუნისტი“, 1921 წ. 23 მარტი.



სამოდ ბასსნილი გული



არ შევუდგები იმის ჩამოფლას, რითაც ჩემი მხარე საქართველოსთანაა დაკავშირებული. ან კი რომელ ერთს ვიტყვოდი: ენგურპების მშენებლობაზე ჩვენი და ქართველი სპეციალისტების თანამშრომლობას, სპეციალურად ქართველი ნავთობმომპოვებლებისათვის პერმში დამზადებულ მანქანებს, თუ სხვა ამგვარ ურთიერთობას, რომელზეც ცალკე მოთხრობა ან რომანი დაიწერებოდა.

არა, მე უბრალოდ მინდა ვიამბოთ ჩემს საქართველოზე. იმ საქართველოზე, ქვეყნის სხვა კუთხეში მცხოვრებს ბავშვობიდან რომ შემიყვარდა, საქართველოზე, სადაც ახლა უამრავი მეგობარი მყავს.

...სკოლაში ერთი მასწავლებელი გვყავდა — ვლადიმერ ივანეს ძე სისოევი. ჩეხოვის გმირს მავონებდა: დაბალი იყო, ხმელ-ხმელი, ხელში განუყრელად ეჭირა ქოლგა-ქუჩაში ახტაჩანები იკვებდნენ, ელაბუტებოდნენ.

მაგრამ კლასში რომ შემოდგამდა ფეხს, გავირინდებოდით, ვიცოდით, ახლა იგი შეუდგებოდა სასწაულების მოვლინებას, აგვიყოლებდა, ხელში აგვიყვანდა და უხილავი გზებით შემოგვატარებდა ჩვენს უკიდვანო მიწას. აქამდე ყურში ჩამსმის მისი აღღვებული ხმა, აქამდე თვალწინ მიდგას მისი გაბრწყინებული თვალები.

თბილისში დაიბადა. რევოლუციამდე გეოგრაფიას ასწავლიდა თბილისის ერთ სა-უკეთესო ვაჟთა გიმნაზიაში. უსაზღვროდ უყვარდა საქართველო ამ რუს კაცს. იცოდა ქართველი და რუსი პოეტების საქართველოს სადიდებლად დაწერილი უამრავი ლექსი, გვიითხავდა პუშკინს, ლერმონტოვს, შოთა რუსთაველს, ვაჟა-ფშაველას. დაუვიწყარი იყო ეს გაკვეთილები. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს მოგვევლო დარიალის კიწრობები, მტკვრისა და ზღვის ნაპირები.

ერთი ეს გაკვეთილი ომმა შეგვაწყვეტინა. გუშინდელმა ბიჭებმა ჯარისკაცის ფარავა ჩაიცვეს, გაუახოტრილ თავებზე „პილოტები“ წამოისკუბეს. სადგურებში მოუთმენლად ფშინავდნენ ორთქლმავლები, ნიშანს ელოდნენ, ერთი სული ჰქონდათ, დასავლეთისაკენ გაექანებიათ წითელი, ორღერძიანი ვაგონების გრძელი რიგი — დასავლეთისაკენ, მტრის შესახველად.

...ადმოსავლეთისაკენ კი ეშელონები უფრო ნელა მოდიოდნენ. ღია ქრილობასავით მოჩანდა ვაგონის ძარაზე წითელი ჯვრები. სადღა იყო სიმღერა და ოხუნჯობა. გახოტრილ თავებზე ბინტი შემოეხვიათ.

ბორბლების ტაკი-ტუკი ისმოდა მხოლოდ...

— საით მივყავართ? — კვნესით იკითხა ზედა საწოლზე ჯარისკაცმა. ვაგონში სა-

შინლად ცხელოდა. იოდისა და ოჯლის სუნი ერთმანეთში არეულიყო. ერთ კუთხეში დაჭრილი გმინავდა:

— მიშველეთ! (ამ სიტყვას ჩემთვის გაუგებარ ენაზე ამბობდა).

დაჭრილს თავს დასტრიალებდა მედიცინის და. დაუყვავებდა და დაჭრილს უკლებდა.

— მოითმინე, ძვირფასო, გაუძელი როგორმე...

მაგრამ ჭარისკაცს მისი არ ესმოდა. სასოწარკვეთით გმინავდა და, ნახევრადუცოვნო, ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— მიშველეთ!

— მართლაც საით მივყავართ? — იდაყვზე წამოვიწიე და ფანჯარაში გავიხედე. ბუჩქნარით დაფარულ გორაკებს ჩქეთ ცამდე აწვილილი მთები მოჩანდა. აღმათ, საქართველოში მივდივართ-მეთქი, გავიფიქრე.

თორიდე საათის შემდეგ მატარებელი მართლაც თბილისის სადგურში გაჩერდა. ბაქანზე საკაცებით გველოდებოდნენ. ვაგზლის შესასვლელთან ასობით შეებებიანი ქალი ირეოდა. საკაცე რომ მიუახლოვდებოდა, სახეში ჩახედავდნენ ჭარისკაცს, თავისიანებს ეძებდნენ. როგორც ჩანს, ბევრი შვლილი დაუქარავებს საქართველოს ამ ომში. რაკი უკლარა თავი შავი თავსაფრით დაუფარავთ.

უცებ ვაგზლისპირა მოედანზე გახარებული ქალის კვილი გაისმა.

— ბიჭო!

ერთი დედა ელირსა შეილის დახახვას. მე ვხედავდი, როგორ მიიჭრა იგი საკაცესთან. მისი ბიჭუნა რომ იწვა, მესმოდა როგორ ეცდებოდნენ რაღაცას ქართულად. მეორე დღეს ისევ ენახეთ ეს შეებებიანი ქალები. ამჯერად ჰოსპიტალში. იქნებ სხვები იყვნენ, რა ვიცი?! ომის დროს ჭარისკაცის დედები ერთმანეთს გვიანან. შემოიხედავდნენ პალატის ფანჯრებში და თხილს, ეაშუს ან სხვა რაიმეს გადმოგვიცემდნენ. ჩვენს მაგიდაზე პატარ-პატარა მზევებით ბრწყინავდნენ მანდარინები.

მას შემდეგ ბევრჯერ ვყოფილვარ საქართველოში. მაგნიტივით მიზიდავს მიწა, რომელზეც მეორედ დავიბადე, სიცოცხლეს დაეუბრუნდი მიმივე ჭრილობების შემდეგ. მიზიდავს მიწა, რომელმაც ახალი მეგობრები შემძინა.

...ერთხელ შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატთან, პოეტ ფრიდონ ზალვაშთან ერთად ბათუმის პლაჟზე ვიჯექი. ჩვენს მახლობლად ბავშვები ჭყუშპალობდნენ, ყიფინით შერბოდნენ გადმოგორებულ ტალღებში. მერე ასეთი თამაში მოიგონეს: რომელიმე ერთს თავს ზევით ასწევდნენ და ზღვაში გადაადგებდნენ.

უცებ ტანში ყრუანტელმა დამიარა.

— მიშველეთ! — იყვირა ბიჭმა, იყვირა მხიარულად, გასართობად. მე კი ორმოცდაერთი წელი წარმომიდგა თვალწინ. სანიტარული ვაგონი და ახალგაზრდა ჭარისკაცი ვედრება:

— მიშველეთ!

— რას ნიშნავს ეს სიტყვა? — ვკითხე ფრიდონს.

ამხსნა.

მრავალი წლის შემდეგ შევიტყვე მნიშვნელობა სიტყვისა, რომლითაც დაჭრილი ჭარისკაცი არადადიანურ ტკივილს გამოხატავდა. რამდენჯერ უთქვამს ეს სიტყვა ომის დროს. იმ სადამოს დაწვრე ლექსი — „მიშველეთ!“ იგი ჩემს მეგობარს პოეტ ფრიდონ ზალვაშს მივუძღვენი.

ბათუმში კიდევ მყავს ორი მეგობარი პოეტი — ჯემალ ქათამაძე და მამია ვარშანიძე. თვითონ ჯემალს არ ცმია ჭარისკაცის ფარავა, მაგრამ ომის ცეცხლი მასაც მისწვდა. უფროსი ძმა ოსმანი ფეხებმოკვეთილი დაბრუნდა ფრონტიდან. „პარულ მერესიეგს“ ეძახდნენ. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა მშობლიურ კოლ

შეურთებიაში. ჯემალმა ძმის გამორულ ბედს მიუძღვნა პოემა „სისხლიანი თოვლი“. ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

მამია ჩემი თანატოლია. იგი შეიძლება ყოფილიყო ჩემი თანაბოლკელი მაგრამ ბედმა სხვა რამ მოუშალა. სხვადასხვა ფრონტზე ვიბრძოდით, გზა კი ერთმანეთს ვერ ვიკავებდით — გამარჯვებისაკენ.

პოეზია საქართველოში დიდი ხანია უყვდავების, ხსოვნის სიმბოლოდაა გამოცხადებული. ამაში ბევრჯერ დავრწმუნებულვარ. ერთხელ ჩემმა ბათუმელმა მეგობრებმა ქალაქის კულტურის სახლში წამიყვანეს ლიტერატურის საღამოზე, რომელშიც თბილისელი პოეტების დიდი ჯგუფიც მონაწილეობდა.

ღარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ხალხი გასასვლელებსა და ფოიეშიც იდგა. ქართულად კითხულობდნენ ლექსებს. ღარბაზი თითქოს ლექსის გაგარქმელება ყოფილიყოს — ხან საოცრად გაიბრინდებოდა, ხან კი ტაშით იფეთქებდა. საყვარელ პოეტებს დიდხანს არ უშვებდნენ სტენიდან.

ჩემი რივიც შოვიდა. ასე არასდროს ავლევებულვარ. გამოგებენ? რომელი ლექსი წაგივითხოვ?

— მიღი, რისი გეშინია, წამჩურჩულა ვილაქამ ჩემი მეგობრებიდან.

ღა შე ვუამბე ხალხს შორეულ ორმოცდაერთ წელზე, შავ თავსაფრებზე, თბილისის პოსპიტალზე, სადაც ჩემმა ქართველმა ძმებმა და დებმა სიკვდილს გამოშტაცეს მეც და ბევრი ჩემი თანამებრძოლიც.

შე შევსცქეროდი ღარბაზს და ვხვდებოდი, რომ ესმოდათ ჩემი, გამოგეს, ხოლო როცა ლექსი „გავიქცევიდი სოკრმისაკენ“ წაგივითხე, დიდხანს ტაშს მიკრავდნენ.

სასტუმროში ენგელსის ქუჩით დავბრუნდი.

ენგელსის ქუჩაზე ერთ ღროს ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი რუსი პოეტი სერგეი ესენინი. აი, ის სახლიც, სადაც მან დაწერა საუკეთესო პოემა „ანა სნეგინა“ და პოლო გვერდზე მიაწერა: „იანვარი, 1925 წელი. ბათუმი“.

ამ სახლის ქვის კიბესთან შევჩერდი. უხმოდ დავაწყვეთ ყვავილების თაიგულები ესენინისველ სახლის კარის ზღურბლზე...

ნიკოლოზ დომოვიტოვი,

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.



საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა



დიდი სამამულე ომი საბჭოთა სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის უმძიმესი გამოცდა იყო. ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანებულმა ჩვენმა ხალხმა სასახელოდ ჩააბარა ეს გამოცდა, გაანადგურა შემოჭრილი მტერი და მსოფლიო იხსნა ფაშისტური საშინელებისაგან.

საბჭოთა არმიის გამბრძოლისა და ვაჟაკობის ბევრი დაუფიქსარი ფურცელია ჩაწერილი დიდი სამამულე ომის ისტორიაში და მათგან ერთ-ერთი უმთავრესია სტალინგრადის ბრძოლა. იგი მუდამ სიამაყით ემახსოვრება ჩვენს გმირ ხალხს, მის შეიარაღებულ ძალებს. სიტყვა სტალინგრადი ყველგან — ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთაც გაისმოდა და დღესაც გაისმის როგორც საბჭოთა ხალხის უბადლო მამაცობისა და ურყევი სიმტკიცის სიმბოლო.

1942 წლის 25 ივლისისათვის მტერს ნაერაუდვეი ჰქონდა სტალინგრადის აღება. ამ მიზნით დაიძრა ფაშისტთა 60 ქვეითი და მექანიზებული დივიზია, შვიდი ათასი ქვემეხი, ორი ათასი ტანკი, 1500-ზე მეტი თვითმფრინავი.

გმირმა საბჭოთა მეგრძობლებმა კარგად იცოდნენ, რომ დასთმო სტალინგრადი, ეს ნიშნავს მოწინააღმდეგეს დაუთმო ყველა უპირატესობა; შეინარჩუნო — ნიშნავდა ხელ-ფეხი შეუკრა მტერს, საფრთხე შეუქმნა მის კომუნიკაციებს.

სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სწორედ სტალინგრადში გადატყდა გერმანიის არმიის ხერხემალი. საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ მთელი მსოფლიო აალაპარაკა.

სტალინგრადის ეპოპეაში სასახელო ფურცლები ჩაწერეს საქართველოს წარგზავნილებმა — ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა, გენერლებმა. დივიზიებსა და ნაწილებს მამაცურად მეთაურობდნენ ნიჟიერი მხედართუფროსები პ. ჩანჩიბაძე, ნ. თავართქილაძე, ნ. კალაძე, ვ. ნანეთილი, შ. ჭანკოტაძე, ხ. ხარაზია, ვ. ჯახუა და სხვები. — არცერთი ნაბიჯი უკან, სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! — ხშირად გაისმოდა ამ შენაერთებსა და ნაწილებში მყოფი მამაცი მეთაურებისა და პოლიტმუშაკების გამამხნეველი შეძახილები. ისინი არაერთხელ იყვნენ მოხსენებული უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებებში.

ბათუმელმა დავით თავაძემ სტალინგრადიდან ბერლინამდე სახელოვანი ბრძოლის გზა განვლო და საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა. (დ. თავაძე შარშან გარდაიცვალა).

კომკავშირის ბათუმის რაიონული კომიტეტის ყოფილი მდივანი გაბრიელ უნგვაძე 1941 წლის სექტემბერში საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და სასწავლებლად მოსკოვში, სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს. 1942 წლის მაისში აკადემიიდან პირდაპირ სტალინგრადის ფრონტზე გაიგზავნა და ცალკეულ საარტილერიო დივიზიონის სამხედრო კომისრად დაინიშნა. მან ფრონტის ამ რთულ უბანზე გაიარა მოკლე, მაგრამ უაღ-

რესად ძნელი საომარი გზა და მისი ლამაზი სიცოცხლე 1942 წლის 11 სექტემბერს
სტალინგრადში დაიფრფლა.



ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკის ყოფილი დირექტორი, აწ განსვენებული ვალდისკა
რი ლეიტენანტი, ალექსანდრე გოგობერიძე — გულადი და უშეძარი მეფრთხილი
სტალინგრადის ბრძოლის სამღვილი გმირი იყო. მშობლიურ ქალაქს მთავრობის ჯილ-
დობით მკვრელდამშვენებული დაუბრუნდა.

ბ-2 გვარდიული არმიის სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ი. ჩუიკოვი,
რომელიც სტალინგრადშია დაკრძალული, იცნობდა მახინჯაურელ მაიორს მიხეილ ანა-
ნიძეს და მოხიალული იყო მისი მამაცობით. მიხეილის მკვრელ მთავრობის მადლი ჯი-
ლდობები და მათ შორის წითელი დროშის საბრძოლო ორდენი ამშვენებდა.

ვანის რაიონის მკვიდრი, პოლკოვნიკი მიხეილ დიასამიძე, რომელიც სამამულო
ომის დამთავრების შემდეგ ბათუმში მსახურობდა, ცნობილი იყო მთელ სტალინგრად-
ში, როგორც პოლკის მოწინავე მეთაური. უნარიანი ხელმძღვანელობისათვის მან უმა-
ღლესი მთავარსარდალის არაერთი მადლობა დაიმსახურა და 1942 წლის 22 დეკემბერს
საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. იგი ახლა კურსკში ცხოვრობს და საყო-
ველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. ჰყავს ხუთი შვილი, რომელ-
თაგან ორი სამხედროა, ერთი მათგანი — პოლკოვნიკი.

სტალინგრადში გმირულად დაიღუპა შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულის
მკვიდრი ჯემალ ზოსიძე. მასთან ერთად იბრძოდა და მშობლიურ კუთხეს ვალდისკი-
ლი დაუბრუნდა მისი თანასოფლელი ნური მიქელაძე.

მეშვიდე გვარდიულ საარტილერიო პოლკში, განსაკუთრებული მამაცობით თავი
გამოიჩინა გვარდიის სერჟანტმა გრიგოლ ჩხაიძემ, გრიგოლი დღეს გაზეთ „საბჭოთა
აჭარის“ გამომცემლობაში მუშაობს.

სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე ბათუმელი ალექსანდრე კილასონია სტალინ-
გრადში მკავშირეთა ბატალიონს მეთაურობდა. სამი მძიმე ჭრილობის შემდეგ იგი
კვლავ ფრონტს დაუბრუნდა და სტალინგრადთან გერმანელების სრულ განადგურება-
მდე იბრძოდა, გვარდიის კაპიტნის წოდება დაიმსახურა. ჯილდოებით მკვრელდამშვენე-
ბულმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში, შემდეგ
იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდა. ომგადახდილი ვეტერანი
მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა და კვლავ შრომით ფერხულში ჩაება. ომისა და შრო-
მის ვეტერანი ახლა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია და აქ-
ტიურად მონაწილეობს მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაში.

სტალინგრადში მამაცურად იბრძოდნენ და მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს
ქობულეთის რაიონის მშრომელთა წარგზავნილებმა — ყოფილმა სამხედრო კომისარმა,
გვარდიის პოდპოლკოვნიკმა დავით ძნელაძემ, მიხეილ ბაჟენაიშვილმა, დავით ტაყიძემ,
რეზო ბალაძემ, ვიქტორ მახარაძემ, რაჟდენ ჩიჩუამ, სულიმან გრძელიძემ და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა ე. ვუჩეტჩიმა და არქიტექტორმა ი. ბელო-
პოლსკიმ მამაის ყორღანზე ქვაში ამღვრებულ სიმფონია შექმნეს — იგი შთამბეჭდა-
ვად მოგვითხრობს სტალინგრადის ბრძოლის დაუფიქსარ დღეებზე, აღიღებს საბჭოთა
ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების უკვლავ გმირობას.

დღევანდელ ვოლკოვგრადში, დაღუპულ მებრძოლთა მოედნიდან ჩანს მშვენიერი
სანახაობა: ვოლგის გრძელი სანაპიროს გასწვრივ გმირთა საფლავებზე დიდების ძეგ-
ლებია აღმართული. ყორღანზე ხეივანში ქალაქის გმირ დამცველთა ობელისკებზე და-
მით წითელი ვარსკვლავები ანათებენ და გამარჯვების შუქს ჰტენენ მიდამოს.

იასონ ცერცვაძე,
გადამდგარი მაიორი.



თაობათა ასტაფატა

ბათუმის რევოლუციურ მოძრაობაში მუშებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლე-ახალგაზრდებიც. მათ სიორის იყო ბაილეთელი (ოზურგეთის მახარა) გლეხის შვილი მელენტი ზაქარიაძე.

ბათუმის რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ს. ყუფარაძე თავის მოგონებაში წერდა: „სახოვადობრივი ცხოვრების მოუწყესოიგებლობამ განათლების დარგშიც იჩინა თავი. იმ დროის რევოლუციური ისტორიის ფურცლებს ამშვენებს შემდეგი მოწაფეების გეარები: მელენტი ზაქარიაძე, პავლე გეგეაზა, ყადირ შერვაშიძე, ნიკო შველაძე, ვალერიან ჩიგოვიძე, სანა გოგიბერიძე, მკლიანი ვარდი, მარკოზოვი, ლაკირბაია კოსტიკა, გურალია და სხვ.“

სანა წელი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდია. 27 იანვარს დაიწყო მღელვარება ბათუმის ეკათა გიმნაზიაშიც. მელენტიმ ტყუილთ დაცხრილა მეფის სურათი. მისი ხელმძღვანელობით მოსწავლეები წითელი დროშებით გამოეფინნენ ქუჩებში და შეუერთდნენ მუშათა დემონსტრაციას. მელენტი სხვებთან ერთად დააპატიმრეს და მოათავსეს ბათუმის ციხეში.

აი, რას წერს ამის შესახებ ავადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი:

„ბათუმის გიმნაზიას დასავლეთის მხრიდან სატუსაღოს შენობა ებჯინებოდა, გიმნაზიის შენობის ზემო სართულიდან მოწაფეები ხშირად ეხედავდით დიდ ყრუ ვალავნით შემოზღუდულ სატუსაღოს ეზოში გამოსულ პატიმრებს, ჩვენ განსაკუთრებით გეიხაროდა პატიმარ ზაქარიაძის დანახვა, ის ჩვენი გმირი იყო. ზაქარიაძემ, მეხუთე კლასის მოწაფემ, 1905 წელს გიმნაზიის სააქტო დარბაზში ნიკოლოზ ხელმწიფის პორტრეტი ტყუილთ დაცხრილა“. (მ. დუმბაძე — „ნიკო ბერძენიშვილი“, 1964 წ. გვ. 11).

იმავე წელს მელენტი ზაქარიაძე ქუთაისის ციხეში გადაჰყავთ.

1907 წლის ზაფხულში ქუთაისის საგუბერნიო ციხე საესე იყო დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილეებით, საეველ სასამართლოს გადაწყვეტილებით უმრავლესობას სიკვდილით დასჯა ელოდა. მათი მეგობრები ყოველნაირად ცდილობდნენ ეხსნათ ციხეში მყოფი პოლიტპატიმრები, და აი, გადაწყდა ქუთაისის ციხის ქვეშ გვირაბის გაყვანა. ეს რთული და საპატიო საქმე მიენდო ცნობილ რევოლუციონერ ქალს მარო ბოჭორიძეს. მან ამხანაგების დახმარებით ციხის პირდაპირ იჭირავა სახლი, მთავრობის ნებართვით იქ გახსნეს წინდების საქსოვი სახელოსნო. დაიწყო გვირაბის გათხრა. რაც დღი სიფრთხილით და საიდუმლოდ მიმდინარეობდა. 26 სექტემბერს განხორციელდა გვირაბით 37 რევოლუციონერის გაქცევა და მათი საიმედო ადგილას დაბინავება.

ამის თაობაზე გაზეთ „მუშის“ 1923 წლის 63-ე ნომერში ვკითხულობთ:

მელენტი ზაქარიაძე კვლავ ბათუმში ბრუნდება და განაგრძობს არალეგალურ მუშაობას. მაგრამ იმავე 1907 წლის ბოლოს ისევე აპატიმრებენ ბათუმის რკინიგზის სადგურში. მას უნახეს გურიის სოფლებში გასავრცელებელი ფურცლები და გურიის ყომიტების ბეჭედი. მელენტი ციხეში დიდხანს აწამეს. შემდეგ რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციის ზრუნვითა და დახმარებით, ჟანდარმს, რომელმაც ის დააპატიმრა, ჩვენება შეაცვლევინეს და მელენტი განთავისუფლდა. თანასოფელ ვარლამ, ვლადიმერ ზაქარიაძეებთან, ერთილე კილურაძესთან და სხვებთან ერთად კვლავ აჩაღებს რევოლუცი-



ურ მუშაობას. იმ ხანებში მას მეფის არმიას იწვევენ. ჯარიდან დაბრუნებულს, რუსეთის ხსნის აფთიაქს, ღარიბ ზუგებს და გლეხობას უფასოდ აძლევს წაძღვეს. აქი და მისი დახმარე სათავსო რევოლუციონერთა შესაქრებ ადგილად იყენებულენ ული.

1914 წელს მელენტი ვერაგულად მოჰკლეს მეფის აგენტებმა, როცა ღამით საილუმო კრებიდან ბრუნდებოდა. იგი რევოლუციური წესით დაკრძალეს ბაილეთის სასაფლაოზე, სადაც რსდმპ ბათუმისა და გურუის კომიტეტების წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს მგზნებარე სიტყვები, რომლითაც ხალხს მოუწოდებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ.

* * *

მელენტის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ მისი მეუღლე სოფიო პატარა ზოიითი თავისიანების მოსანახულებლად მშობლიურ კიევში გაემგზავრა; იქ ავად გახდა და გარდაიცვალა, ხოლო ზოიას აღზრდა დედამ იყისრა. ეს მან წერილთ აცნობა ზოიას ბიძას, მასწავლებელ ერემია ზაქარიადეს. ხოლო როცა დედა გათხოვდა, ერემიამ ძმისშვილის კვალი დაკარგა.

...1940 წლის ზაფხულში ქობულეთელი დურსუნ ზაქარიადე სოქის სანატორიუმში ისვენებდა. იქვე შეებულუბას ატარებდა რუსეთის შორეული კუთხიდან ჩამოსული ქალი, რომელმაც მღელვარება ვერ დაფარა ახალგაცნობილის გვირის გაგონებაზე. ჰკითხა, ხომ არ იცნობდა ვინმე ზაქარიადეს გურიში. დურსუნმა დაუხსნელა რამოდენიმე ნაცნობი და, როცა მათ შორის ერემია ზაქარიადეც ახსენა, ქალს სახე გაუბრწყინდა. ეს ქალი გახლდათ ზოია მელენტის ასული ზაქარიადე — პარტიის ჩიტის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ცხოვრების ძნელი გზა განვლო ზოია ზაქარიადემ, მაგრამ ბეჯითად შრომობდა და სწავლობდა. წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ვერ კომპავეშირულა შემდეგ პარტიულ სამუშაოზე გაგზავნეს. 1938 წლიდან პარტიის ჩიტის საქალაქო კომიტეტის მდივანი იყო.

ყოველივე ეს ზოიამ მღელვარებით უამბო ახალგაცნობილ მოგვარეს და დასძინანათელ მოგონებად შემომჩნა, რაც ბავშვობაში აღმზრდელმა დედამ მიაბო — რომ წარმოშობით საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხიდან გურიიდან ცყოფილვარ, მაინაგმი რევოლუციურ მოძრაობას შეეწირა, ხოლო დედანიემი მშობლიურ კიევში გარდაიცვალა. მე ახლაც სათუთად ვინახავ მამისა და ბაბუას სურათებს, რომლებიც დედაჩემმა დამიტოვა...

ზოიამ დურსუნს გადასცა წერილი და სთხოვა პირადად ჩაეზარებინა იგი უცნობი ბიძის ერემია ზაქარიადისათვის.

დურსუნმა შეასრულა მისი თხოვნა: მონახულა ერემია ზაქარიადე, რომელიც მაშინ ოზურგეთში ცხოვრობდა და გადასცა ზოიას წერილი.

დაარბული ძმისშვილის პოვნამ დიდი სიხარული გამოიწვია ერემიას ოჯახში. იგი იმავე წლის შემოდგომაზე ეწვია 25 წლის უნახავ ძმისშვილს ქ. ჩიტაში. მეტად ამაღლებული იყო მათი შეხვედრა.

1941 წლის მაისში ზოია თვით ეწვია ბიძას, აქვე მოუსწრო სამამულო ომმა. უმაღლ გამოცხადდა პარტიის რაიკომში და ითხოვა სასწრაფოდ გაემგზავნათ სამუშაოდ. ზოია ქალაქში ახალგაზნისლ სამხედრო ჰოსპიტალში პოლიტბელად მიავლინეს. შემდეგ მეუღლესთან — პოლკოვნიკ მიხეილ დობრინსკისთან ერთად გაემგზავრა ჩიტაში, სადაც კვლავ მუშაობდა თავის პოსტზე.

ზოიამ ომის შემდეგ ისევ მონახულა მშობლიური კუთხე. ფიქრობდა აქ დასახლებას, მაგრამ ამ ოცნებას ასრულება არ ეწერა — 1960 წელს რგი მოულოდნელად გარდაიცვალა ჩიტაში.

მისი შვილი ამჟამად ამ ქალაქში ცხოვრობს.



შოთა რაყვა

პოეტს რამდენი გაქვს საზრუნავი

პოეტს რამდენი გაქვს საზრუნავი —
ეს დედამიწა სწრაფად მბრუნავი!
მარანში რთველი დასაწურავი,
ყანა საქები თუ საწუნარი —
პოეტს რამდენი აქვს საზრუნავი.
მეზვრეს, მეფუტკრეს უხმოვს მთა-ველი,
ფეტვლა — მტევანის,
გვალვა — თაველის...
ქურასთან წდგარი
ოფლს ღვრის მჭედელი,
ზეცას შესცქერის
ვარსკვლავთმჭვრეტელი.
ღაცენათევი და ნაჯაფარი,
შუბლდაოფლილი სწუხს დასტაქარი.
სენის ბაცილას ებრძვის მკურნალი,
რომ გამონახოს გზა უმტყუნარი...
ჩგოსანს კი... ყველა
ერთად აწუხებს,
რიოქას აღუღებს,
ლექსს ათავთუხებს,
სიტყვა სჭირდება გაუხუნარი,
აზრი -- ბასრი და გაუღუნარი,
რომ მერმის მისი ნაერთგულარი
სულში აიძობდეს მზეი წცხუნვარი.
ვინც მგოსანი და კაცადკაცია,
ვინც რაინდი და გულმამაცია,
არარას არგებს ღვომა სანგარში, —
ღარში, ავღარში მოსცეს ვანგაში.

ბედნიერება სხვისი უხარის,
 ეის ჭირი სხვისი და საწუხარი
 საკუთარ სულის ალაღ ენთება.
 საკუთარ გულის ჭირად ეღება,
 წინარე ღვთისა და იღვენთება.
 უღრუბლო ზეცით
 გაშლა კანარის,
 ყრველეს ხმალი,
 ძველი თამარის,
 მოების გრეხილი —
 ღორჯი ქამარი,
 ვონიოს თვალი
 ნაკანკამარი...
 ცისა და ქვეყნის ჩარხი მბრუნავი,
 გაქვს საზრუნავი,
 გაქვს საზრუნავი...

მატარებლიდან

1.

მატარებელი გვირაბში შედის,
 თითქოს თვალს ვხუჭავ,
 და როცა ვახელ,
 ვხედავ წარწერას ცივი კლდის მკერდით —
 „მშვიდობა ხალხებს!“
 ისევე გვირაბი,
 კვლავ დამე მიმზერს,
 და როს გამოვეყოფ თავს გვირაბიდან,
 შავი ზღვის პირად
 პიტალოს ქიმზე
 მიმზერს სიტყვები „მშვიდობა გვინდა!“
 განათებული ნაპირი მთვარით,
 ზღვა ნაწვიმარი
 თეთრ ტალღებს არწევს,
 აღძვიანი რომ არ უმზერდეს,
 რაღა ღასი აქვს ამ სილამაზეს.
 ვზივარ კუბეში,
 ვადრებხ ჩაუუელი.

ნოუ კვლავ უნდა იცვალონ დრონი?
ჩესალბუნება ტაღლა ხმაურით,
პავგრამ მადლეებს ხმა: „ნეიტრონი!“



2.

ოვალი ისვენებს ამ სიმწვანეში,
გავსცქერი მთებს და სული წშვიდდება,
წშვიდ სავანეში,
წშვიდ სავანეში
მიყვები გზას და მთის შებინდებას.
ტყეების ქოჩრებს შუქი ედებათ,
ლამაზ სანახებს გავყურებ ნღობით,
ო, კავკასიის ლურჯო ქედებო,
რარიგად გხატავს დღე შემოდგომის!

ყვავო, ყვავო, ყვანჩალა

„ყვავო, ყვავო ყვანჩალა,
ბებიაშენი დამხრჩვალა“.

რას გერჩიან, რა უნდათ,
რაზე შექმნეს ცილობა,
ბებია თუ დაგეხრჩვა,
განა სასაცლოა?

იქნებ შენს საყვირალზეც
დავიქრება ღირდეს,
იქნებ არც ხარ საძასის,
ტყვილად აგიხირდნენ.

ზღაპარში თუ ლექსებში
გახსენებენ აუგად,
მაინც რაო, ყვავო,
ნეტავ შენთან რა უნდათ?

მე არ მძულხარ, ყვანჩალა,
და ვერც გესვრი ქვას,
მსიაძონებებს შენი ხნა —
ყვაა, ყვაა, ყვა!

ვის რა დაუშავე,
ფერი თუ გაქვს შავი,
შენს საყვირალს ყვირი,
შენს საფიქრალს ჩხავი.

გულო ნუ გეტკინება,
ვინც რა უნდა თქვას,
თუნდაც გამოეკერე
საქართველოს ცას.

იქნებ გენიოსი ხარ,
ქვეყნის ბელზე დარღობ,
რა ვუყვით, თუ ბულბულივით
ვერ გაღობ და გვართობ.

ოთხას წელსაც უძახე
ამ ქვეყანას საკვირველს,
ბებია თუ შოგიკვდა,
მე წავყვები სატირელს.

ბატონო არჩილ! თქვენს წერილში გა-
მოთქმული გულახტკვილი ლექსად
გარდავთქვი, „საქმე ვქენ საჯოკმანები“...
ავტორი

ახლა აქვს ხნის უნახავი,
კვლავ მათობს შენი თმების სურნელი,
როგორ ხარ, ჩემი გულის ლახვარო,
და სატკივარო განუკურნელო?
აქნებ სხვა ვინმე არც შეგიყვარდა,
სხვას არ დასვე გულზე ეკალი,
შენ დედამ გშობა და გამოგზარდა,
რომ მე გეპოვნე და მოგეკალი.
ბედმა ქვასავით დარდი დაგვიდა,
ლაშხო ჩვენი უზრუნველობა,
თორემ ვინ იცის, იქნებ არ ღირდა
ვინმეს გულისთვის ჩემი მკვლელობა.
არა, არ გწყვევლი, ყოველთვის გლოცავ,
და ზოგჯერ ცრუნლიც მერევა მწარე,
მადლობელი ვარ, ჯერ კიდევ ნორჩმა,
თითხმეტი წლისამ რომ შენიყვარე,
მე იმ ბედნიერ დღეებს გიმაძლი,
სულ გიგონებ და განა გეძღური,
ერთ დროს ხომ მაინც გულით გიყვარდი,
ერთ დროს ხომ იყავ ჩემი ერთგული.
და მამატიე, დასაფიცარი
თუმც გულში მყავდი, ვით სასოება,
ვერ გაგიფრთხილდი, ვერ დაეცავი
შენი ბავშვური უძანკობა.
დაუდევრობის ვარ მონაწილე,
ვარ დამნაშავე, არა ფარული,
მაინც ორივემ როგორ გავწირეთ
ნორჩი ოცნება და სიყვარული.
ჩვენ ერთმანეთი არ შეგვეცოდა,
ბრაზით და ბოღმით ისე დაგბრძავდით,
ო, უგუნურებს რად არ გვესწოდა
თუ რა სანუკვარ ჯილდოს ვკარგავდით.
ვიცი, გაწვალე და დაგაღონე,
გაკადრე ბევრი სიტყვაც კვიმატი,

ნუთუ კვლავ უნდა იცვალონ დრონი?
ჩესალბუნება ტალღა ხმაურით,
შაკრამ მადლელებს ხმა: „ნეიტრონი!“



2.

ოვალი ისვენებს ამ სიმწვანეში,
გავსცქერი მთებს და სული ჩშვიდდება,
მშვიდ სავანეში,
მშვიდ სავანეში
მივევები ვზას და მთის შებინდებას.
ტყეების ქონრებს შუქი ედებათ,
ლამაზ სანახებს გავყურებ ნდობით,
ო, კაკაკასიის ლურჯო ქედებო,
რარიგად გხატავს დღე შემოდგომის!

ყვავო, ყვავო, ყვანჩალა

„ყვავო, ყვავო ყვანჩალა,
ბებიაშენი დამხრჩვალა“.

რას გერჩიან, რა უნდათ,
რაზე შექნნეს ცილობა,
ბებია თუ დაგებრჩვა,
განა სასაცილოა?

ზღაპარში თუ ლექსებში
გახსენებენ აუგად,
მაინც რაო, ყვავო,
ნეტავ შენთან რა უნდათ?

ვის რა დაუშავე,
ფერი თუ გაქვს შავი,
შენს საყვირალს ყვირი,
შენს საფიქრალს ჩხავი.

იქნებ გენიოსი ხარ,
ქვეყნის ბედზე დარდობ,
რა ვუყოთ, თუ ბუღბუღივით
ვერ გალობ და გვართობ.

იქნებ შენს საყვირალზეც
დაცოქრება ღირდეს,
იქნებ არც ხარ საჩასის,
ტყვილად აგიხირდნენ.

მე არ მძულხარ, ყვანჩალა,
და ვერც გესვრი ქვას,
მსიაბივნებს შენი ხმა —
ყვაა, ყვაა, ყვა!

გულს ნუ გეტკინება,
ვინც რა უნდა თქვას,
იუნდაც გამოეკერე
საქართველოს ცას.

ითხას წელსაც უძახე
ამ ქვეყანას საკვირველს,
ბებია თუ შოგიკვდა,
მე წაგვევები სატირელს.



ბატონო არჩილ! თქვენს წერილში გა-
მოთქმული გულახტივილი ლექსად
გარდავთქვი, „ნაქმე ვქენ საქოქმანები“...
ავტორი

ახლა ანღენი ხნის უნახავი,
კვლავ მათობს შენი თმების სურნელი,
როგორ ხარ, ჩემი გულის ლახვარო,
და სატკივარო განუკურნელო?
აქნებ სხვა ვინმე არც შეგიყვარდა,
სხვას არ დასვე გულზე ეკალი,
შენ დედამ გმობა და გამოგზარდა,
როც მე ვკბოვნი და მოგეკალი.
ბელმა ქვასავით დარდი დაგვკიდა,
ლაამხო ჩვენი უზრუნველობა,
თორემ ვინ იცის, იქნებ არ ღირდა
ვინმეს გულისთვის ჩემი მკვლელობა.
არა, არ გწვევლი, ყოველთვის გლოცავ,
და ზოჯერ ცრეწლიც მერევა მწარე,
მადლობელი ვარ, ვერ კიდევ ნორჩმა,
თოთხმეტი წლისამ რომ შემიყვარე,
მე იმ ბუნდურ დღეებს გიმადლი,
სულ გიგონებ და განა გეძღური,
ერთ დროს ხომ მაინც გულით გიყვარდი,
ერთ დროს ხომ იყავ ჩემი ერთგული.
და შაპატე, დასაფიცარი
თუმც გულში მყავდი, ვით სასოება,
ვერ გაგიფრთხილდი, ვერ დავიცავი
შენი ბავშვური უცანკოება.
დაუდევრობის ვარ მონაწილე,
ვარ დამნაშავე, არა ფარული,
მაინც ორივემ როგორ გავწირეთ
ნორჩი ოცნება და სიყვარული.
ჩვენ ერთმანეთი არ შეგვეცოდა,
ბრაზით და ბოღმით ისე დავბრძავდით,
ო, უგუნურებს რად არ ვვესწოდა
თუ რა სანუკვარ ჯილდოს ვკარგავდით.
ვიცი, გაწვალე და დაგაღონე,
გაკადრე ბევრი სიტყვაც კვიმატი,

და მაინც, მაინც კი არ მეგონა,
 განიმეტებდი და გამწირავდი.
 მეგონა, ისევ მაპატიებდი,
 ჩემს შთაგონებას ნერვი უკრთოდა,
 რას ვიფიქრებდი, შურს იძიებდი
 გულზე, რომელიც შენ გეკუთვნოდა...
 ...დრო მიდის, დაცხრა ბევრი ცილობა,
 დრო მიდის, ბევრი ბრძოლაც მოვივე,
 ნაკნამ არ მორჩა გულის ჭრილობა,
 ტყვია გულიდან ვერ ამოვიღე.
 ვერ ამოვიღე დარდი უცვლელი,
 დარდი, რომელიც თავიდან მდევდა,
 შესს ცონატრებას ვერ გაგუშედი,
 შენი მწუხარე თვალების სევდას,
 ჩე მაპატიე, ვერ მოგიარე,
 მტრებს ავყევი და თავსაც გავედი,
 ყმაწვილქალობა დაგიიარე,
 ვიცე, შავ კაბას რად ატარებდი...
 არა, შენ არ ხარ გამტენი ფიცის,
 ერთხელ რომ შემხვდი, მთლად დაიდავე,
 სახეზე ფერი დაგელო ჩიწის
 და ავითრთოლდა გამშრალი ბაგე.
 იმ ღამეს მთაში მეც გავხდი ავად,
 ყრუოლა და თრთოლა მიწყო ხელებზე,
 შხამად შემერგო ხანძაროს ჰავა
 და ამიტანა ციებ-ცხელებამ.
 ჩე არ გემღური. ყოველთვის გლოცავ,
 ეგ აღსარება თუნდ იყოს მწარე,
 მაღლობელი ვარ, ჯერ კიდევ ნორჩმა,
 თოთხმეტი წლისამ რომ შეჩიყვარე.
 შენ ჩემთვის ისევ ჩვიდმეტი წლის ხარ,
 და მოგონებას სათუთად ვუვლი,
 როდესაც ჩემთვის,
 და წხოლოდ ჩემთვის,
 ტოკავდა შენი უმანკო გული.
 ის ნორჩი ცეცხლი,
 ის ნორჩი გზნება,
 ახლაც მწვდება და სულში მანათებს,
 ვიცე, მიგონებ,
 და ყველა ცდება,

თუ ვინმე ვსახავს ჩემს ჩიოლალატედ.
არაფერს არ გთხოვ,
მხოლოდ ერთს ვნატრობ,
სადმე ვნახო და ჩუმად ვიტვირო,
შენ, სიჭაბუკის ჩემის სასახლევე,
შენ, დანგრეული ჩემო ქვეითკირო.
მე მაპატიე, რომ მოვაყენე
მაშინ იმდენი ტანჯვა-წვალება,
ჩაგრამ სულ ვფიქრობ,
იმ სიყვარულის
ნუთუ იქნება გარდაცვალება?
ჩვენ დავიტანჯეთ დარდით უღვევიდ,
და როს ვაკჭრებით, გარდავიცვლებით,
ზეცისკენ წავლენ ჩენი სულები,
და ძირს ჩამოვლენ, როგორც მერცხლები.
მაშინ ის დარდიც გულს გაეცლება,
სუფთა ლაყვარდი აგვივსებს თასებს,
ჩვენ ისევ მოვალთ ქვეყნად მერცხლებად
და ერთად ვიფურენთ სამშობლოს ცაზე.
ნეტავი სად ხარ,
როგორ ხარ ახლა,
კვლავ მათრობს შენი თმების სურნელი,
ხარ სიჭაბუკის ჩემის ლახვარი
და სატკივარი ვანუკურნელი.



ერთი რამაში სიწოცხლე

ამ სამი წლის წინათ წავიკითხე მურმან მეგრელიძის „შვენიერი წერილი „იყო ასეთი ჭაბუკი“. ქობულეთის რაიონულ გაზეთ „ლენინელს“ გამოქვეყნებია იგი 1967 წელს.

ჩემმა მასპინძელმა წერილის გმირის სურათიც მიჩვენა — იქნებ ვინმეს დაახატვინოთო, ღირსია, საფასურსაც არ მოვერიდები, ოღონდ ეკიდოსო ჩემს სახლში. აჭყვისთავში ვიყავით მაშინ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რევიზორ ანანიძის ოჯახი გემასპინძლობდა.

უნდა მაპატიოს წერილის ავტორმა, მის მოსაყოლს რომ ვიმეორებოდნავ ჩემებურად.

* * *

წოხუცმა მეველუდმა ქული არ მოუხადა შემხველურ ასკერს. უმოწყალოდ სცემეს ბერიკაცი.

ღმერთო, რა იყო ეს! როგორ გამეტებით უზაბუნებდნენ მათრახს, რა განურჩეველი და გულგრილი სახე ჰქონდათ ამ დროს. ორჯერ შეიმართა შეკვეთი და ორივეჯერ მაჩნის ძარღვიანმა მკლავმა შეაჩერა.

— თავს დაიღუპავ, ვერ ზედავ, მიღეთი ჯარია! — ზუსეინ ანანიძეს, ძამაც რომ არ ყოფილიყო მისი, მაინც მოუსმენდა და დაეწონრილებოდა. ზუსეინს წიელი სოფელი უხმენდა, მის ჭკვიანურ და კაცურ სიტყვას ენდობოდა.

თავჩაღუნული, სევდიანი მიჰყვებოდა სახლისაკენ მაჩას. ბოღმა ზრავდა და ახრჩობდა... აჭყვისთავში, აჭყვისთავში კი არა, მთელს აჭარაში თურქები თარეშობდნენ.

წველედ ბაბუა მეორე დღეს გარდაიცვალა. ასკერის მათრახს ვააყოლა უკანასკნელი წვევლაც და სულიც. სასაფლაოდან დაბრუნებულ ჭაბუკს კვლავ უღონობის ცრემლებმა მოჰკვარეს ოდნავი შვება...

...დღე დაიღაა და ღამე თვალქარჩხი დედაბერივით ჩაეხვეწა ელიას ციხის შემოგარენს.

ხუსეინ ანანიძის ეზოდან აჩრდილი ვახსლტა და გზის პირას ჩარბე-
ჭულ კაკლის ხეებს შვეროია.

შშობლები შეიყარნენ სოფლის გზაწვრილზე, შევექეთ ანაწველი
ერთი მათვანი, 19 წლის აჭყვისთაველი ბიჭვი.

არც სიძონ ჯაყელი იყო ბევრად უფროსი. ჭანიეთელი ვაჟკაცი აქტი-
ურად თანამშრომლობდა სამუსლიმანი საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტთან.

— **ოზურგეთის დალაშქვრას** ფიქრობენ, როგორც ჩანს, თურქები,
შევექეთ, მამია! — ჩურჩულით თქვა სიძონმა. ცხემვანსა და ჭახათში კაი
პლომად არიან დაბანაკებული მაგენი და დროზე უნდა ვაცნობოთ კომიტეტს
ყველაფერი.

— **რაც საჭიროა**, იმას გავაკეთებთ, ფრთხილად ვიაროთ.—დაუგლო სი-
ტყვა თანამგზავრს და გზაბაწარს შეუჭყვა შევექეთი...

...სიბნელეში ძლივს იიკვლევდნენ გზას.

— **დავიღალე**. დავისვენოთ, სიძონ, — სულს ძლივს ითქვამდა. წაქცე-
ვაზე იყო.

ქვაზე ჩამოსხდნენ და გააბოლეს.

— **ავიაროთ აღმართს** და ჭახათსაც დავხედავოთ, მერე სულ მარცხნივ
ვივლით და ტყემკარავს მივალწევოთ, ნუ გეშინია, გავალთ, — შევექეთი წა-
შოდგა და კელავ შეუღვა გზაბაწარას...

— **ვის არის!** არ გაინძრეთ! — გაისმა მჭახე ბრძანება.

— **არ ფოფილა ჩვენი ბელი**, სიძონავ, ვერ გავალწვიეთ! — ხმანავარდნი-
ლმა შევექეთმა წელზე მოისვა ხელი და პაპისეულ დამბახას ხელი ჰკიდა,
ჩაგრამ აღარ აცაღეს...

სიძონ ჯაყელი მათრახებით სცემეს, მერე საიმელო ბადრავს გაატანეს
და ჩოლოქს გაღმა გაავდეს. შევექეთი კი თურქ უფროს ოფიცერს მიჰგვა-
რეს ჭახათში.

ისწეთ-ბეგს არ უყვირია, პირიდან ცოფი არ დაუყრია.

— **ქრისტიანი რომ გვებრძვის**, არ მიკვირს, მაგრამ შენ რა ღმერთი
გაგიწვრა, რომ ალაჰს გადაუღექი და ურჯულოს ჩვენს სამტროდ გამოჰ-
ყვირა?!

— **ჭართველი კაცი ქართველს გავყვი და მივეშველე!** — იყო შევექე-
თის პასუხი.

არც ამ სიტყვების შემდეგ შეუცვლია ნირი ისმეთ-ბეგს, წყნარად და
აუღელვებლად გამოუცხადა ჭაბუკს:

— **უნაღლესი სარდლობის ბრძანების თანახმად**, გავასამართლებენო.
(ამ სასამართლოს კი რაც მოჰყვებოდა, თქვენ უკვე იცით, მკითხველო).

...შევექეთის მამა — ხუსეინ ანანიძე გაღმა ქაქეთის ხშირი სტუმარი
იყო. სწორედ აქ გაცნო შევექეთი სიძონ ჯაყელს. აქ სწავლობდა იგი ქარ-
თულ სკოლაში, აქ ეზიარა მამულის სიყვარულს. სწორედ ამას აყვედრი-



დნენ ახლა ზოგიერთები ხუსეინს, ურჯულობთან მეგობრობამ დიდი შიშით შეილი გაგიუბედურაო... თუმცა, სოფელი დიდია და როდესაც ვაიკაცები არ სჭარბობდნენ თითოთროლა ვაიკაცებს.

ჰოდა, ჭახათს მიაშურეს სოფლის კაიკაცებმა. პატიება გამოითხოვეს შევექეთისა, მაგრამ ამოდ დაშვრნენ. კვლავ აუღელვებელი და შეუვადი იყო ისმეთ-ბები. „სჯულის მოღალატე“ სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო.

ერთხელ კიდევ, უკანასკნელად გადაატარეს პერანგას მთის ფერდობები. უკანასკნელად შეაგლო თვალი მშობლიურ კუთხეს, და როცა დაოსებუდი, ნაცემი და ნაგვემი ქედას მიიყვანეს, მისთვის უკვე ყველაფერი დამთავრდა. იცოდა, ვედარაფერი იხსნიდა.

მაინც ღიმილიანი იდგა სახრჩობელას წინაშე. არც ძალადობას ურიგდებოდა და არც ყველაზე უფრო საშინელს, ყველაზე უფრო მოულოდნელს — სიკვდილს 19 წლის ასაკში.

ქედის ცენტრში ხალხი შეეკრიბათ.

განაჩენი წაიკითხეს. ორმა ჯალათმა სახრჩობელასკენ წაუბიძგა. მხრების აქნევით მოიშორა მოძალადენი და მხნედ გაეშურა სიკვდილისაკენ.

თეთრწვერა, ლამაზი ბერიკაცი, ალი-ალა სირამე გამოეყო ხალხს. თურქთა უფროსთან მივიდა და თავზღაბლად შესთხოვა:

— დედისერთა ყოფილა. თანაც ასე ახალგაზრდაა, გამოუცდელი...

— განაჩენი საბოლოოა, რჯულის მოღალატეს ვერ შევიწყნარებთ, — მოკლედ მოსჭრა უფროსმა.

...ერთხელ კიდევ გადახედა შემოგარენს, ერთხელ კიდევ ჰკიდა თვალი მთაზე ჩაწავალ მხეს. მისთვის საბოლოოდ ჩადიოდა ის მზე. ძნელი იყო სიკვდილი 19 წლის ასაკში. მაინც ღიმილიანი ავიდა თავის წილ გოლგოთაზე...

ბოლოოთქმა:

ასე დაიღუპა 19 წლის აჭყვისთაველი ჭაბუკი შევექეთ ანანიძე. ორიოდ წელიწადიც არ გასულა ამ ტრაგედიიდან და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ახლა ჩვენი დიდი კავშირის 60 წელს ვზეიმობთ. ნიშანდობლივია, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის წზევინარ ანანიძის ოჯახში გავიგეთ შევექეთ ანანიძის ლამაზი და სეველიანი ამბავი.

მე შევასრულე ჩემი აჭყვისთაველი მასპინძლის ღურსუნ ანანიძის თხოვნა და დავახატვინე შევექეთ ანანიძის სურათი. ეს ხატი დაამშვენებს თქვენს სახლს, ბატონო ღურსუნ...

და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, თქვენ, ალაღმართალო მასწავლებლო, ბატონო ლურმან, რომ არ დავვიკარგეთ, დღევანდელობამდე მოგვიტანეთ, ლამაზი ამბავი ერთი ლამაზი სიცოცხლისა.

მოკონსერვაციული ნიგონიკან

— თამარ მეფეა ხომ? მეც ასე ვიციდი... ჩვენი ხენმწიფე ყოფილა, რუსთა-
ველს სეყარებია, მისი წიგნიც მქონდა, დიდნენეს ნაწუქარი... მარა ერთ მუე-
ლიმს ვუჩვენე, წამიკითხე-მეთქი... მითხრა, ვნახავ ვინმეს და წავაკითხებო და
მერე აღარ დამიბრუნა... ჭკუა მომივიდა, სურათებიც რომ არ ვაჩვენე. მერე იმან
მოკვდა და წიგნი დეიკარგა.

— ან შენ რად ვინდა? ვერ კითხულობ... ქართულია, — შევეუთამამდი მე,

— მე რათ მინდა ქართული? — აბა, ვინ ვარ მე? ვინ იყო ნენე და დიდნენე
რომ მაწუქა, ვინაა მეხსუღა... ასჯერ რომ გამეიბარეს? მარა, ბოლქვაძე ვარო
და ბოლქვაძედ დეიწერა. ასეა ჩვენი შეილებიც. ჩემი ასმეღაი, ჩაუშს რომ უთხრა:
ჩემი ნენეი, ბიძაი და ჩემი გვარი ერთნაირად მიყვარსო... და მე რათ მინდა ქა-
რთული?

— ბოდიში, დედა... რას იტყვის-მეთქი, მაბატით!

— რა უნდა მეთქვა... ქართუელობა სირცხვილი ხომ არაა!

მე დავანქარე წამოსულა... მოხუცებმა ჭიშკარს მიმაცილეს. მეხსუღმა მად-
ლობელი ვარო, მითხრა. როცა ვინდოდეს მეწვიეო, და განერდა.

მე მძიმე ხედიო და დიდი სიხარულიო გამოვიჩქარე ნაწილში.

დათეშოვმა, თურმე, რამდენჯერმე მიკითხა — ხომ არ მოხსულაო.

მოვედი. გაიხარა, დაგაგვიანდა, შევშინდიო.

წველაფერი უხსტად მოვახსენე.

უფროსმა დიდხანს უხიტვოდ მიცქირა და მერე საქმეს შეუღა.

ოვიღან ახალ ომში

1917 წელს, რევოლუციის შემდეგ, დემობილიზაციით გაათავისუფლდი ჯა-
რიდან. მაშინვე სემინარიას მივაშურე. რა თქმა უნდა, უყოყმანოდ აღმადგინეს
და სწავლა განვაგრძე.

1918 წლის დასაწყისში საქართველოს თურქები შემოესივნენ. დაიწყო ახალი
ომი და მეც მენშევიკების ჯარში გამიწვიეს. დამრჩა დანიშნული საცოლე, რომე-
ლსაც წერილი დავუტოვე: „იკიდევ კარგი, რომ ომმა არ დაიგვიანა, თორემ რომ
მომკლან, რა გეშეულება „ჯვარდაღუწერელ ქერებს“, — ჩვენ ხომ ჯერ ერთმანეთის
შეყვარებაც ვერ მოვახსენარით“.

მერე გავიგე, რომ სასიამაოროს ძალიან მოსწონებოდა ჩემი ეს აზრი, თუმცა
მაინც ვერ ინელებდა, რომ სასიძო მამათელი იყო და „უგვარო“.

ქართველი მოწინავე ინტელიგენცია აჭარის შემოერთების საკითხში პირდაპირ დაავადებული იყო. იწყებოდა სტატეგია, ბროშურები, ხელიდან ხელში გადადიოდა აპოლონ წულაძის „მშური სიტყვა“. ბევრი დაინტერესებული ისტორიკოსი, მოგზაური და მკვლევარი სწავლობდა მაჰმადიან ქართველთა ცხოვრებასა და ისტორიას.

აჭარელთა გათვითნობიერებაში სხვებთან ერთად დიდი წვლილი შეჰქონდა ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც სურჯინით დატარებდა და სოფლის მოსახლეობაში ავრცელებდა ქართულ ლიტერატურას, განსაკუთრებით — იაკობ გოგებაშვილის „დღა ენას“.

მასხოვს, სემინარიაში ჩემი დაბრუნების დროს ზმა გავრცელდა, შალვა დადიანი და მეშედ-მეუ აბაშიძე მოხალისეებს აგროვებენ, — ექსპედიცია უნდა მოაწყოთ ტრაპიზონიდან იარაღების გაოსატანად. წერილიც მივწერეთ დადიანს, წამოვალთო, მაგრამ შალვა გავივით, აღარ შედგაო. (საინტერესო კია, თუ ღარნა რამე კვალი დადიანის, ან მეშედის მეშუარეობაში?).

ჰოდა, ასეთი განწყობილებით რომელი ჩემი ახალგაზრდა დაიზარებდა ჯარში წასვლას!

გამოვცხადდი ოზურგეთში. რამდენიმე ათეულ ჯარისკაცთან ერთად ბათუმში გავევანახენეს. აქ შედგა სამხედრო ნაწილი, რომელიც ჩააბარეს, მგონი, პორუნიკ ქარცივაძეს. იგი ცხენზე ამხედრებული გავვიძღვა წინ და საღამოს უკვე დაბა აჭარისწყალზე ვივავით. იმდამეხვე ავედით და დავბანაკდით იქვე ახლოს სოფელ კიბეში.

პოზიცია აჭარისწყლის გაღმა იყო, როგორც გვითხრეს, № 80 მაღლობზე. ორი დღე ვიღეკით სოფელ კიბეში. ნაცნობებიც გავიჩინეთ, ოჯახში მიწვევაც მოვიხილეთ, მაგრამ დამეგობრება ვერ მოვასწარი, მესამე დამეს თურქებს ახალი შევსება მივღოთ, ჩემი პოზიციებიც დეკავებინათ და აღრე დილით შეტევაზე გადმოვიდნენ. სოფლიდან გარკვევით დავინახეთ, რომ მეთაური ქარცივაძე ცხენს მიაჭენებდა ბათუმისაკენ. და ვველაფერი გასაგები გახდა...

ჩვენმა ჯგუფმა დაუყოვნებლივ დაიხია მთის გზით სოფელ ერგესაკენ და შალვა გადმოვადეკით ბათუმს ერთ-ერთი მაღლობიდან.

სამიოდე დღეს დავვავით ბათუმში. თურქები სწრაფად უახლოვდებოდნენ მახინჯაურს. ცოტაც და, გზატკეცილს გადაჭრიდნენ და ბათუმიდან გამოსულაც შეუძლებელი იქნებოდა.

მე ძლივს გავასწარი ქობულეთში, შემდეგ ისევ ოზურგეთს მივაშურე. დაღლილ-დაქანცულმა შტაბს მივაგენი ოზურგეთის ციხეში. იქ ორი-სამი ოფიცერი დამხვდა. ვიკითხე, როგორ მოვიქცე-მეთქი. ვერაფერი მითხრეს. ცოტა ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ერთმა მკითხა:

— ბიჭო, სადაური ხარ?

— მამათელი! — სწრაფად ვუპასუხე და რაღაც სიხარულიც შევატყვე სახეზე.

— რომ მიხვიდე სოფელში, იკითხე ხმელიძეები ვისასაა დახიზნული-თქვა.

— სიარულიც აღარ შემიძლია, ფეხით ამოვედი ქობულეთიდან. — ქანცავ-ცლილმა ვთქვი მე.

— მოდი, ორი კაი საქმე გავაკეთოთ, ცხენი გვყავს და შიმშილით გვეკვება, მგონია, სოფლამდე კი მიგიყვანს, წადი, შეჯიქი.

— ბატონო, ახლა ის მაკლია, რომ სახელმწიფოს ცხენი წავართვა, — ამაყად ვუპასუხე მე.

— მე ვარ კეთილი, მე გაძღვე, ჩემო ძმაო... აქ შიმშილით კვება! — დაილო მოვრძო სია, — ახლავე ჩამოვწერ, — ერთ ძწკარს ხაზი გადაუსვა. — მორჩა, შეჯიქი და თავს უშველე. თოფიც თან წაიღე, ვინ იცის, იქნება დაგჭირდეს.

მე და ჩემი ცხენი გაუუყვეით მამათის გზას. უჭირდა ცხენს. წაქცევს ალაღ-
ფერი უკლდა. უცებ მოსაგონდა, რომ ციხის ქვეშთ, სავაჭრო ღუქნების რიგში,
ნაცნობ ამბაკო საძსონიას საწერილმანო ღუქასი ჰქოდა. ამბაკოს ცფფფფფფფფ
სოფლელი მეზობლის — ნიკოლოზ კილაძის ქალიშვილი ალათი იყო და კარგა-
დაც მიცნობდა.

არც ვაციე, არც ვაცხელე და იმედოცემულმა ცხენი უკან მოვებრუნე. შე-
ველი ღუქანძი. დახლში ალათი ცვლიდა ამბაკოს.

ქალი შინაურულად მომექცა, მომიკითხა, ოჯახის ამბავიც მკითხა, მაგრამ
მე შევაჩერე:

— ცაგ, ცხენი შიმშილით მიკვდება, რაშე მიჭმე და რომ გამოვალ სოფლი-
დან, უეცრადად არ დაგნახები.. ახლა ერთი კაპიციც არა მაქვს..

— ბიჭო, რა ვიყო? — შეწუხდა ალათი, — ღუქანში არაფერი მაქვს. პურიც,
მარა პურიცა თავს იკლავენ.. შერე მე ამბაკო მომკლავს.. მარა ერთ გოგორას
მოგცემ

მართლაც, ორი პური გადმოიღო თაროდან, მოსქო ქაღალდში გამიხვია და
ფარულად მომცა. პური არ იშოვებოდა ქალაქში და გადამყიდველები ცეცხლის
ფასად ჰყიდდნენ.

თითქოს ცნუნამც ნუვეში იგრძნო და ჩაქნაქით მიმიყვანა სკურტუბის ღე-
ლემდე. ნაპირზე ჩამოესტი. ერთი პური ღელეში ჩავასველე და ცხენთან ერთად
მეც მადიანად გვახელით.

მოცოცხლებული და მოღონიერებული მივედით გოთუას შერეში და სუფ-
საც გადავლახეთ.

ჩემი ეზო და სოფელიც ხიზნებით იყო სავსე. გამახარა იმან, რომ ხმელი-
ძეები ჩემსას აღმოჩნდნენ და იქვე იყვნენ ოზურგეთელი ქორიძეებიც, რომლებ-
თანაც ერთი ამბავი გვაკავშირებდა.

აი ისიც.

ბებიაჩემი ეგვიტი. ქორიძის ქალი, ზედმიწევნით ლამაზი და მომხიბლავი
იყო ჩემს მახსოვრობაშიც და რაღა იქნებოდა ქალიშვილობაში!

ბაბუაჩემს — ბრვე ვაჟკაცს ბეჟანს იგი ოზურგეთში ენახა, როცა ბახარში
ურმით შემა გაეტანა ვასაყიდად.

— მიმიტანე ბარემ, შინ, აგერ ახლოს ვცხოვრობო, — ეთხოვა მყიდველს, —
სერიოზულ, ცილინდრიან მამაკაცს, რომელიც აღმოჩნდა მუსიკოს-მგალობელი,
საქართველოში კარგად ცნობილი ფილიმონ ქორიძე.

ბეჟანი თავაზიანად დაეთანხმა და წამსვე ურეში მიაბრუნა. სამი წუთიც არ
ლაპკვიანებია, რომ ქალაქის განაპირას, რკინის ჭიშკართან გაჩერდნენ და ურ-
მის გაცლას შეუდგნენ.

მეშაობაში დავმარა სტუმრად მოსული ახლო ნათესავი გოგო (ის ეგვიტი
აღმოჩნდა). ბეჟანმა გოგოს დაადგა თვალი, არც ეგვიტი დარჩა გულგრილი. ბრვე
ვაჟკაცს ახლადამოსული წვერ-ულვაში უმშვეენებდა სანდომიან სახეს..

ურეში დაიცალა. ფილიმონმა ბეჟანს ხემსი მოუკითხა, არაფიც დააღვივნა
და მადლობაც უთხრა.

— რა კარგი ხარებია! — თქვა ეგვიტიმ, — შინ ვამოზარდეთ თუ კვარაცხე-
ლიას ჯოჯოში იყიდეთ?

— ძან ხარებია, ჩქარი. შინ გამოზრდილია.. ჭკვიანი. ფაიტონს არ ჩამორ-
ჩება. — თქვა ბეჟანმა.

ხემსი მოთავდა. წამოდგნენ.

— თუ გინდა, გაგასეირნებ! — შესთავაზა ბეჟანმა გოგოს.

— კი, კი მინდა... არაბა ურემზე ჯერ არ ვმჯდარვარ... ბოძია ფილიმონ, შენ-
მღება?

— ფაფანზე ან ციხემდე მიჰყვები.

ვევცილი ოთახსა სვეიდა — ააღტოს გადავიცვამ, თვარა გზა შეიკვამ...
ბაო, ჩქარი ხარებიო...

სურაფად გადაიცვა და უკვე დაუკითხავად შესტა ურემზე.

ბეჟანი მასპინძელს გამოეთხოვა, ურემს უკან ამოუდგა და ხარები გარეკა-
მალე ფაფანი გაიარა, ციხე უკან მოიტოვა და სოფლის გეზი აიღო.

— უაჰ, აჰი სოქნახავეი! — და სოფელში გასულა ვეგცილი აწოიადლა.

— შენ ნურაფრის გეშინია, საიმელო ხელში ხარ. ურემს კი მასათამდე აღარ
კავანერე... თუ შემოგვადამდა, ჩემთან დარიუბა... სახუდაძოდ (ხაზი გაუხვავა).

თითქოს იალიან ძეგუნდა ეგვიტი, სადღაც ორი წვეთი ცრემლიც იმთვინა,
აკანკალებული ხმით სთხოვა, ახლა შინ დამაბრუნე და ჩემით წამოგყვებით, მაგ-
რამ თავისი სიტყვების არც თვითონ სჯეროდა და ვერც ბეჟანი დაარწმუნა... და
ეგვიტის ამ დღის შემდეგ ფეხი არ დაუდგამს ოსურვეთში.

ქორიძეებმა, რომლებიც აზნაურობდნენ, იუკადრისეს ქალის მოტაცება, ქე-
დი არ მოიხარეს „ვევარო“ მალაზონიების წინაშე: არც მიაკითხეს, არც იწვეეს
და არც ეწვევივნენ.

მალაზონიებმა კაცი გაუგზავნეს შესარიგებლად, პასუხის ღირსიც არ გა-
ხადეს.

ეგვიტიმ და ბეჟანმა დრმა მოსუცებულობამდე ბედნიერად იცოცხლეს და
ხუთი შვილი დატოვეს: გლახუნი, ვვა, ჰუპი, ზურაბი და სოფიო.

* * *

— ჰაიტ, დაგჭირდა გლეხი მალაზონია? — თავისთვის თქვა მამამ, როდესაც
ფილიმონის სიტყვები სხაპა-სხუპით გადმოსცა ერთმა ლამაზმა გოგონამ: ხვნი
მოყვრები არიანო, სახლო და პატიოსანი ხალხიაო.

ოსურგეთი რომ არ დაქცეულიყო, ქორიძეები ამ ჭკუაზე ვერც მოვიდოდ-
ნენო, — თქვა მამამ და სტუმრებს მოხვდა.

სამზად სახლში ტევა არ იყო. ოლა-სახლი მაშინ არ გვექონდა. სასტუმროდ
მოღობილ ფაცხას ეხმარობდით. აქვე ვინახავდით საგარეო ტანისამოსს და ხუფ-
თა ქვეშაგებს, რომ სამზადში შუა ცეცხლთან არ გაკვამლულიყო.

ამ ფაცხაში მიუჩნეიათ ბინა ცუცხასათვის (ახე ერქვა გოგოს).

— რა ლამაზია, მაგი დაღუპული, დახატული გეგონება. ამას არც ჩვენ
დავიწუნებდით, — თქვა დედამ, — მარა...

— რაფა წაგინდა, ქალო, პასუხი! მოყვარეზე მაგას იტყვის კაცი? — შეაჩერა
მამამ.

— კაცო, რაფა შემეტაკე პირში... მოყვარე რომ არ იყოს-მეთქი, მარა რომ
ერ მცალაუ?

— აბა, ლამაზი კია... — თქვა მამამ, — მერე, დანიშნული ყოფილაო. ღიხაუ-
რელი თუ მაკვანთელი კოსტაია გორდელაძის ხარმლოაო.

— ვისი? — გაკვირვებით იკითხა დედამ.

— კოსტაია გორდელაძისო...

— რა სახელია კოსტაია? კოსტა?

— რა გლახუნა არ გიკვირს და კოსტაია ვეკვირს, ქალო? კაი სახელიც კა-
ია, მარა კაცს სახელი კი არ ამშვენებს, კაცი უნდა ამშვენებდეს სახელსო! —

და წელში აიძვრათა მამა, რომელსაც ძალიან უყვარდა ლაპარაკში ხალხური
ლაზების გამოყენება.

ეზოში ხისნები ჩურჩულიდან ლაპარაკზე გადავიდნენ და ცუცას
ერთმა ქალმა თქვა, უხათუოდ ვიცი, ამაღამ მოიტაცებენო.

მამამ ამას ყური მოჰკრა და დედას გადაუღაპარაჲ, აი ბიჭი კარგ დროს
მოსულაო.

— ბიჭო, ტყვია გაქ? — შეითხა მამამ.

— ხუთი, — მოკლედ ვუპასუხე მე.

— შენ დიდი დაჯალბა გეძლვება: შეიძლება ციცი ამაღამ მოიტაცონო...
გეიგონე? მოყვარე ამ დროზე უნდა კაცს.

მე დაღამებამდე სულ შეჩვენებოდა ოთხი-ხუთი შეიარაღებული კაცი... ვი-
თომ მომტაცებლები..

ხალმოს მოგვიანებით წაგვიყვანა მამამ მე და ცუცა ეზოს ტყისხირა კიდე-
ში, სადაც ღომის ნალია გვედგა. ჭკუით და ფრთხილად იყავითო და...

— თუ ვინმე თავს დაგვეხას, შენ იკივლე (უთხრა ცუცას). — შენ კი, (მე
მომიბრუნდა), თოფი იხმარე, ხაგანგაშოდ ისროლე და ეცადე, კაცი არ შემოგაკ-
ვდეს. ძირს ჩახვლა არ მოინდომოთ: მე კიბეს ვადგამლავ გვიძრაში, რომ კაცი
ვერ ამოვიდეს ნალიაზე.

— აბა, პა, ჭკუით იყავითო, — კიდე გეითხრა ბოლოს და ძირს ჩავიდა.

მე იმ დღის იმდენი მგზავრობით ისე დაღლილ-დაქანცული ვიყავი, რომ
ძლივს მოვკარი ყური მამის დარიგებას. დილით კი მამამ გამაღვიძა.

მალე ხისნები წავიდნენ. სამ-ოთხ დღეში უმცროსი ძმა პოლიაქტორი ვარ-
დაიცვალა. თითქოს შვილის სიკვდილს უცდილაო, სამ დღეში მამაც მოკვდა.

მშები ცალ-ცალკე სასწრაფოდ, დაი გათხოვილი იყო, ხოლო მოხუც დედას
ამხელა ოჯახის მოვლა აღარ შეეძლო..

ჩვენი ქორწინებაც შედგა და ოჯახზე ზრუნვა დავიწყეთ.

მთელი წელიწადი ვიწროვალე, მაგრამ სამუშაო არ იყო. ოჯახს, აბა, რა შეე-
ძლო, — ყველა, ნაღულს, კვერცხს ვზოგავდით, მაგრამ ძალიან ფრთხილად. დედა
ამბობდა, — ახალმოყვანილი და სტუმარი ერთია და მებრალებაო. მერე ეს ქალი
მდიდრის ოჯახში მიწვეულია უფრო ფართო ცხოვრებას და ვაი, თუ ამ დაზოგვა-
დაზოგვით ოჯახზე გული აიცრულოს.

ისევე ჩაის ვიძველებდით... ვკრეფდით, ვედღემდით და ვყიდდით. მაგრამ მა-
მანემის მუშტრებიც ჩამოგვიცილდნენ, თუმცა დედა კიდე უფრო დახელოვნდა და
ჩაის ხარისხსაც აწვია.

ხილაურის დაწვევით სკოლას მასწავლებელი აკლდა. ვითხოვე, მაგრამ გამ-
გემ ვასილ კილაძემ საშკერელოდან მოიყვანა ანდრო ჟვანია. მამათმიც განთავა-
სუფლდა მასწავლებლის ადგილი, მაგრამ დირექტორმა, გაბრიელ გოგუაძემ ამ-
კარად მითხრა, აქ მაგარი პარტიული მასწავლებელი გეინდაო. ეს მახრიდან მაქვს
დავალებულიო.

ბოლოს, 1919 წლის იანვარში, როგორც იქნა, აცანაში ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლის ადგილი განთავისუფლდა. იყო ერთი მენშევიკის,
ადგილობრივი ტონო ჩხაიძის კანდიდატურა, მაგრამ მასწავლებლებმა და დირექ-
ტორმაც უარი უთხრეს. გადაწვევით ჩემი მიწვევა. და მართლაც, ერთ კვირა-

შ შ შ

ახალი რომანის შრატმენტები

საათმა ექვსჯერ ჩამოჰკრა და აუღეკი. საათი ჩემი მავიდის პირდაპირ ჰკილიდა და ჩემს არსებაში რაღაც ვანხაკუთრებული ადგილი დაიჭირა, თითქოს ჩემი ვანწყობა-სიხარული თუ წუხილი მასზეა დამოკიდებული. შევალ თუ არა კაბინეტში, პირველად საათს შევხედავ, ათს წამები აკლია და მაშინვე ვავიფიქრებ, ექვს საათამდე რვა საათია. შეტყობი. შემდეგ ვოველ ათ, ან თხუთმეტ წუთში უთუოდ შევხედავ. თავდაპირველად წუთები მძიმედ ვადის, თორმეტიდან ოთხამდე დროს ვერ ვგრძნობ, მერე კი წუთები ისევ დამძიმდებიან. ერთი გულით გადავწყვეტ, ჩამოვხსნა საათი, ან გავანერო, რომ დროის მსვლელობა ასე მწვავედ არ განვიცადო. საათი მაჯაზეც მიკვთია, მაგრამ ზედ იშვიათად დავხედავ, მაშინაც კვლის საათს შევავლებ თვალს. ხომ არ მატყუებს. შეტყობი. საათს შევხედავ და იმავე წამს თვა გამახსენდება, ან ჯერ თვა გამახსენდება და შემდეგ საათს შევხედავ. ისინი ერთმანეთთან უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული.

მუშაობაზე გული არ მიძიდის, ერთს ვფიქრობ და მეორეს ვაკეთებ, ვე არიხ, ვიცი, თვა შინ ზის. უჩემოდ ფეხს არხად ვადგამს, მაგრამ ზული მაინც აფორიაქებული მაქვს. დღეში ორ-სამჯერ ტელეფონით ვესმიანებით ერთმანეთს. ზოგჯერ თანამშრომელს რომ ვვლაპარაკებ, თვალი გამიშეშდება, არ მეხმის, რას მეუბნება. თავდაპირველად თუ შერიდებოდა, შემდეგ ისევ შეეჩვივნენ ჩემს მდგომარეობას, რომ წვეკლასავით ვადმომკრავუნ. არ ვარცა ასეთი სიფეარულიო. მედიმემა მათ სიტყვებზე და თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ მათ იციან, თვა მიყვარს. კარებს შევხედვ, არ მინდა ვინმე შემოვიდეს... დერეფანშიც არაფერს შემხვედრია, ქუჩაში შევებით ამოვიხსუნტქე. რაკი შინ დროზე მივიღივარ. მანქანა უნდა ვიფილო. მაშინ შესევნებაზეც მივალ შინ. ეს აზრი ჭკუაში დამიჯდა, ხადამოთბით მანქანით ქალაქში ვავისეირნებთ. თვასაც ვასწავლი მართვას. რა კარგია, როცა საჭეხთან ქალი ზის და მხრებზე ვაშლილ თმას ფანჯარაში შემოჭრილი ქარი უწეწავს..

— დავით!

გავნერდი, მაგრამ ვერ დავინახე, ვინ მეძახდა.

— დავით, ხალხს აღარ ცნობ?! — ლამაზი ქალი მიცინის.

— ოპ, ქეთევან! — შევძახე და მასთან მივედი, რამდენი წელია ერთმანეთი არ გვიანახავს, ერთ დროს გატაცებული ვიყავი. შემდეგ იგი გათხოვდა. ახლაც ლამაზი იყო, ქალური მომხიბვლელობა არ დაეკარგა, თუმცა როგორც ვიცი, ორი შვილი ჰყავდა.

— გვერდის აკლას აპირებდი?! არ გეპატიება!

— ვერ დავინახე, თორემ..

- ჰა, გაუიგე, ცოლი მოგიყვანია!
- კი!
- როგორ მოხდა, შენ სომ არ აპირებდი?!
- შევცდი! — და გაიცინე.
- არ გეტყობა, შეყვარებული ჩანხარ!
- კი, კი, რაკი ნაცნობსაც ველარ ვამჩნევ!.. როდის ჩამოხვედი? — ვკითხე, თუმცა სრულებით არ მაინტერესებდა, როდის ჩამოვიდა, ან რატომ ჩამოვიდა.
- გუშინ. ათ დღეს ვრჩები, — გამომწვევად შემომხვედა, — ცოტა დავისვენო, მინდა.
- უჰ, თავისუფალი ყოფილხარ!
- ჰა, ჰა, ჰა... კი, არ გავიაროთ?
- საათზე დავისხედე, შვიდის ათი წუთი იყო.
- შეჩქარება!
- ხუთი წუთით?
- სხვა დროს! ვადაუდებელი საქმე მაქვს! — ხელი გაუწოდე, — ნახვამდის!
- როდის ენახავ?
- დაგირეკავ! — ვუთხარი და გაეშორდი, ნაბიჯს აეუჩქარე, დაკარგული ხუთი წუთი უნდა ავანახლდარო, რამ შემახვედრა. ზვალ დამირეკავს, ან სამსახურში გამომივლის. გაჩენის დღე დავიწყვევლე, ჩვენს სამინისტროში ჭორიკანებს რა გამოლევს. საკუთარი ბინის კარს გულაფორიაქებული მივადექი, ზუსტად შვიდის ოცი წუთი იყო, გვალვებ კარებს და... კარი გავადე, თეა კართან არ შემხვედრია.
- თეა! — დავიძახე კარებში.
- აქ ვარ! — მომესმა საძინებლიდან.
- წეხსარ?! — საძინებელში შეშინებული შევევარდი, საწოლზე წამოწოლილივით და ხელები თავქვეშ შემოეწვო. ახალი კაბა ეცვა, გამიკვირდა, კაბით რატომ იწვა. მე რომ დამინახა, წამოხდა, თავს ვერ იმორჩილებდა, ვერც თვალი გამისწორა. მის წინ ჩავშმუხლე.
- არაფერია, გამივილის! — მითხრა მან.
- ავად ხარ?
- არა, ისე!
- თქვი!.. ექიმს გამოუძახებ!
- ისეთი არაფერი მჭირს! — მხარზე ხელი დამადო.
- რაღაცას მალავ!
- არა! — მითხრა და შემომხვედა, შემაკართო თვალების სიმღვრიემ.
- შენ ცუდად ხარ!
- ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება, — ადგა, კაბა გაისწორა, შეენიშნე, მე აღარ შეკუთვნოდა.
- თეა! — შევძახე გაოგნებულმა.
- ბაზარში ვერ წავედი! — მითხრა სინანულით.
- მერე-და, რა მოხდა!
- მაპატიე, სადილი არ გამიკეთებია, შეუძლოდ გავხდი.
- ავდექი.
- ექიმს დავუძახებ.
- არა, შენი ჭირიძე.
- მაშ, იწეკი, ნუ დგები.
- გავიდეთ მეორე ოთახში, ნუ ფიქრობ, ქალური ავადმყოფობაა!

— იქნებ?..

შემოსხვდა, მაგრამ ვობდა, არ შემოეხვდა, ირონია ესატა თვალეში.

— შეიძლება! — ხაილია მან.

ვეროსი გავიგე, ბაკილასთან დავსხვდით, მოწვევებული თვალით შემოვხედიე როდი, მელტირა თისდოდა, აქვს უჭირს და ვერას ვენძარები.. რა არ შეგეხება? უარი მითხრა, მაღახიაში ჩავალ-მეთქი, არც ეს დამანება, მკონი, შემხდა, ექითი არ გამოქმდას. დავეჭვდი, მაგრამ რაზედ ვერ ვიტყვი. კარადაში რაც კი შევუღებოდა, გამოვიტახე, სუფრა გავაწყვე, გვერდით დავუჯექი და ჩემი ხელით ვახადილე. მერე დაწოლა ვთხოვე, არაო, ძითხრა.

თორმეტ საათამდე არ დავწოლილვარ. საწოლი ჩემი ხელით გავუშალე და დავაწვინე. ერთხანს გვერდით ვეჯექი, უცებ შემომხვდა და გამიღიმა.

— შენ არანეულებრივი ადამიანი ხარ, დავით!

დავისარე და ლოყაზე ვაკოცე.

— ჩემზე ნუ იფიქრებ. თავს მინვლე!

— თუა, რას ამბობ, აბა, ვისზე ვიფიქრო?

— არა, ნუ იფიქრებ! — თვალი აუწყლიანდა.

— შენ გიჭირს და მაღაც!

თვალი ჭერს მიანერა.

— ყველაფერი კარგაა, ყველაფერი!.. არ ველოდი ამ ბედნიერებას. შენისთანა ადამიანი თუ შემხვდებოდა!.. ეკა.. როგორ გაუხარდება შენი ნახვა მამიდა-ჩემს, წერილი მაგიდაზე დევს, უშენოდ არ გავგზავნე, ნახე, რას ვწერ.

წერილი გადავიციხვებ და ვუთხარი:

— მე გავგზავნი!

— არა, ნუ გავგზავნი, ცოტა მოვითმინოთ, უკეთ ვიქნები და ერთ დღეს ვესტუმროთ. შენ ხომ წამოხვალ?

— ეს რა საკითხავია?!

— ჰო, წავიდეო, ნახონ, ვინა ხარ შენ.

— თუა, შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს.. არ მომწონს შენი ხმის ტონი!

მან ისევ გაიღიმა და ხელზე ხელი მომიჭირა.

— შენ არ იცი, რა კარგი ხარ.

— მერე-და, მე ხომ შენი ვარ!

— ჩემი? — შემომხვდა, — ჰო, ჰო..

ისევ არ მომეწონა მისი ხმა. გავიფიქრე, უჭირს და ეშინია, არ მოკვდეს მეთქი. შუბლზე ხელი დავადე, სიცხე არ ჰქონდა, არც ტკივილები აწუსებდა. იწვა და რაღაც ბურანის მაგვარი მოეძალებოდა სოღმე.

— თვალები რატომ გაქვს ამღვრეული? — ვკითხე.

— თვალები?! — გამოერეკა.

— ჰო.

— რა ვიცი. — ლოყებზე ფერმა გადაჰკრა.

— კარგი, დაიძინე.

დილით უკეთ გამოიფურებოდა, ადგომა დამასწრო, ხელ-პირი დაიბანა და საუზმე გააწყო. ვიდრე ავღვეებოდი, ორჯერ მოვიდა ჩემთან, მაკოცა, თმაზე ხელი გადამიხვა, თუმცა არაგულწრფელობას ვხედავდი. მე მაინც ბედნიერი ვიყავი. რაკი გამოჯანსაღდა და წუხანდელი მელანქოლია აღარ ეტყობოდა. სამხასურში წასვლაზე ფეხს ვითრედი. მეძნელებოდა მისი დატოვება. როცა ვუთხარი, არ შენ-ქარება-მეთქი, მოიწყინა. სამხასურს ნუ მოცდებო, ძითხრა. ბაზარში წავალ და ხადილს დავახვედრებო. მის სურვილს როგორ აღუღვებოდი, კარებამდე მიმა-

ცილა და როგორც ჩვეოდა, ლოყაზე შაკოცა, თანაც გახალისებული იყო, კმაყოფილი, რომ შივილიოდი.

სამსახურში ჩვეულებრივ მივედი და მყისვე საათს შევხედე — ათს სამი წუთი აკლდა, შესვეუბაძდე სამი საათი იყო, შევევნებაზე აუცილებლად მინდოდა. ვალ, მანამ დავრეკავ; დავრეკავ ყოველ ნახევარ საათში, ე. ი. საათის ისრებს თვალს არ მოვაშორებ. რა გულუბრყვილობაა, საათის ისრებს მივენდე და ჩემი სინარული მის მოძრაობაზე იყო დაყოკიდებული, თავს ვიმშვიდებდი. — თვას სიცხე არ ჰქონდა, არც უგუნებობა ეტყობოდა, იქნებ ჩემი შეწუხება არ უნდოდა? დავიბარებ და შესვენების შემდეგ აღარ მოვალ. სერვიულმა კანკალმა ამიტანა, კაბინეტშიც არაყინ შემოვიდა, რომ გული გადაამყოლებოდა. მერე ვფიქრობდი ქეთევანზე, შეიძლება მან დაძირეკოს. მერე გამიხარდა, რომ არ დაძირეკა — ქალი ეშმაკია, თავს ისე შემოგაპარებს, გონს ვერ მოხვალ, გვიან მიხვდები, რომ ორივე ფეხით ხარ გაბმული.

შესვენების წინ შალვა შემოვიდა. რაც ცოლი მოვიყვანე, ჩვენ, ცოტა არ იყოს, გულგრილადა ვართ, რატომღაც ორივე მორიდებული გავხდით, გულჩათხრობილი. თავი ოფიციალურად ეჭირა, მაკიდასთან მივიდა და ქალაღლები გაღმომცა.

— გასაგზავნია, ხელი უნდა მოაწერო.

არც დამიხედავს, წინ დავიწყვე და ვთხოვე, დამჯღარიყო. ისე დაჯდა, თითქოს ჩემს კაბინეტში პირველად შემოსულიყო. ხელები წინ დაიწყო და თვალი რომ ვერ გამისწორა, ფანჯარაში გაიხედა. ვატყობდი, რაც არ უნდა შეკითხა, გულწრფელად არ მიპასუხებდა. არა-და, ვერ მოვითმინე, არ შეკითხა.

— შალვა, შენ რატომღაც მერიდები.

— მე? — მხრები აიჩენა.

— ჩვენ რამდენი ხანია არ გვიხაუბრია.

— შენ დრო არ გაქვს.

— მე კი მგონია, შენ პირს მარიღებ!

გაიცინა.

— აღარ გცალია, ოჯახს მოეკიდე, ახალშოყვანილი ცოლი გყავს, არ მიკვირს, თაფლობის თვე გაქვს.

— ერთხელ მაინც შინ რატომ არ შესტუმრე?

— მოგერიღე, მეტი არაფერი.

— თუ რაღაც არ მოგწონს და გამირბიხარ?

— არა... არა... — ყოყმანით მომიგო.

— შენ ყველაფერი იცი და იქნებ?! რა მოხდა, როცა უყვართ, სამეპაღდან გამოჰყავთ სოღმე ქალი... შენ ისა თქვი, ჩემს ხელში როგორი იქნება.

— არა, არ მიკვირს! — გამაწყვეტინა სიტყვა.

— შენ არ გიკვირს, მაგრამ მე ვიტანჯები.

— რატომ?

— გაგიყებაძდე მიყვარს... აქ ვზივარ და სული მასთანაა, გული არაფერზე მიმღის, ხელს ვერაფერს ვკიღებ, სულ მასთან მინდა ვიყო. რა უნდა მთხოვოს, არ შეუუსრულო... იქნებ სხვებსაც ასე უყვართ ცოლი? არა მგონია! ვერც ვერავისთვის მიტყვამს.

— არაფერია, გაივლის — გულგრილად თქვა.

— ვითომ?

— გეყოღებათ შვილი და თქვენი სიყვარული შვიღზე გადავა.

— არა მგონია... გული რაღაც ცუღად მიგრძნობს.

- ასეთი რა უნდა იყოს? — ორაზროვნად თქვა მან.
- რაღაც უბედურება ტრიალებს ჩემს თავზე.
- მათოლაც იევევარებული ყოფილარ, ეჭვებს აუტანხარ!
- ნუთუ ეს სიყვარულისგანაა?
- რა თქმა უნდა!
- ძმობას გაფიცებ, არავისთან არ თქვა, ჩვენს შორის დარჩეს.
- ნუ გედარდება!

მერე ჩვენს სამსახურეობრივ საქმეზე ვილაპარაკეთ, შალვა გამოიცვალა, ისევ დაუბრუნდა გულწრფელობა, ვთხოვე, ხალამოს შინ მწვეოდა. დღეს არა, სხვა დროსო, მითხრა. როცა ჩვენს საქმეს მოვრჩებიოთ. წასვლაზე ფეხი აითრია, ხელმოწერილი ქაღალდები ხელში ეჭირა.

- ასეა, სიყვარული ვოვლისშემძლე ძალაა — თქვა თავისთვის.
- რატომ თქვი ეს?
- შენ არ თქვი: გაგივებამდე მიყვარსო? რა გასაკვირია, ასეც უნდა იყოს, იგი შენია და ბედნიერი ხარ, მაგრამ სხვა?
- რა სხვა? — ეჭვით შევაჩერდი.
- გუშინ თინა შემხვდა, შაკები ჩაუცვამს.
- შაკი?! რატომ?... მოუკვდა ვინმე?
- არა.
- აბა?

ფარული დიმილით მომივო:

- დავითი სამუდამოდ დავკარგე, იგი მკვდარია ჩემთვისო. წარმოვიდგენია, როგორ ვვარებიხარ?

გული სიბრაღულით ამკვსო. ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ ვუყვარდი, მაგრამ დამნაშავე არც მე ვარ, სხვა შემთხვარადა. სიყვარული ხომ ყველაფერს ამართლებს. არც მინდა ვიფიქრო, ვის ვინ უყვარს, ყველამ ისე გაართვას თავი სიყვარულს, როგორც ძალუმს.

შალვა ადგა.

- მიდიხარ?

- ჰო.

- კარგი — მიუხედავად იმისა, რომ აღარ შეჩერებულეო და არაფერი ეთქვა. დავრჩი ჩემს ფიქრებთან და საათთან მარტოდ. ოთახის სიმყუდროვეში საათის წიკწიკი გულს მიწერილია. ათი წუთიდა იყო დარჩენილი შესვენებამდე, და ეს ათი წუთი გულზე ლოდივით დამაწვა. არავინ მამოწყებდა, ათი წუთით აღრე წავიდოდი თუ გვიან, მაგრამ ადგილიდან დაძვრა მიჭირდა. შესვენებაზე შინ წასვლა გადავიფიქრე, ბოლოს და ბოლოს, მამაკაცი ვარ! თვას არ უჭირს, არ შია და არ სწყურია. ყველას და ყველაფერს ჩამოვშორდი, ნაცნობ-მეგობრები დაევიწყე, ცოლი ვის არ მოუყვანია, მაგრამ არავინ ქალის კაბას არ გამოცვრია.

ოთხ საათზე დავრეკე, არავინ მიპასუხა. ძნელი დასაკერებელია, ოთხ საათამდე ბასარში დარჩენილიყო, ალბათ, მალაზიაში წავიდა, შეიძლება ხმინავი? თავი ცუდად იგრძნო და დაწვა. ნახევარი საათის შემდეგ ისევ დავრეკე, ისევ არავინ მიპასუხა. აწწრიალდი, ნერვიულობისაგან ვკანკალებდი. ქუჩაში გავიდი, თავს ვუსხვედურე, ყველაფერი გვლანდებდა-მეთქი. შინ მისვლის მუშინოდა, რატომ, კი არ ვიცოდი, არ მინდოდა შინ მისვლა. კაბინეტში დავბრუნდი და ტელეფონს თვალს არ ვაშორებდი, ყოველ წამს ველოდი, დარეკავს-მეთქი.

ხუთ საათზე შინ წავიდი, გზაში მიკვირდა, როგორ მოვიტომინე აქამდე. იქნებ

გულშემოყრილი აგდია იატაკზე?.. იქნებ უჭირს.. ათას სისულელეს ვფიქრობ. საბიჯს ავუნქარე, მელანდებოდა, შევალე კარებს და თვა მკვლარი დამსხდებოდა. წამიერად გადავწყვიტე, თავი მომეკლა, მხოლოდ ეს გააძარტლებდა ჩემს მტრს. ზნელოცა

კარი გახადებით ვავადე. რა თქმა უნდა, არ ველოდი, თვა კართან დამხვებოდა. საძინებელი ოთახისაკენ გავეძარტე, არ დამხვდა, არც მეორე ოთახში იყო, არც საძინებელი აღმოჩნდა. ეტყობოდა, ბაზარში ნამყოფი იყო — სორაკი მაგიდაზე ელაგა, როგორც მოეტანა, ისე ხელუხლებლად იდო მაგიდაზე. მაგიდები დავათვად იურე, ტანტზე დახვადე — იქნებ წერილი დატოვა-მეთქი. არ აღმოჩნდა. მნელი წარმოსადგენია, რა დღეშიც ჩავვარდი, ქვეყნად ჩემზე უბედური არაიან მეგულებოდა. ვისთან, ან ხად დავრეკო? ქუჩაში გავვარდი, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში მიმოვიდოდი — თვა არ ჩანდა.

ოთახში დაბრუნდი. სამსახურში დავრეკე, შალვა წასული იყო. გარდერობის ღია კარი მეცა თვალში — თვას კაბები ადგილზე იყო. ფეხსაცმელებიც იქვე ეწყო. შაშ, ივი არ გაქცეულა. მარცხნივ თაროს შევავლე თვალი, გულზე გამკენწლა, არ მინდოდა მეფიქრა, რომ ბაბუაჩემის ნაწყარი ოქროს თექვსმეტგრამიანი ბეჭედი იქ არ იყო. სიკვდილის წინ მისახსოვრა, ხელზე არ ვიკეთებდი, არ დამპარავოდა... ბეჭედი არ ჩანდა. კარგად მახსოვდა, ივი გარდერობის თაროზე შედო. პატარა ყუთში. ჩემი მაგიდის უკრა გამოვადე, ფული ხელუხლებლად ეწყო.

საწოლზე ჩამოვჯექი, შვიდის ნახევარი იყო, შემოსასველ კართან ფეხის ხმა მომესმა. ყური ვცქვიტე, კარი გაიღო. წამოვვარდი. თვამ კარი შიგნიდან წაკეტა, გამობრუნდა, მომეჩვენა, მთვრალივით ფეხარეული მოდიოდა. მერე თავი ასწია და ჩემი დანახვა არ გაკვირვებია, არც ჩემსკენ წამოსულა მოსახვევად, თმის ბოლოები თითებით შეივარცხნა.

— მოხვედი?

სახე არეული პქონდა.

— პო..

სამხადში შევიდა.

— ხადილის გაკეთება ვერ მოვასწარი — თქვა მან და მაგიდიდან სორაკი ჩამოიღო, ხელები არ ემორჩილებოდა... ნუთუ მისთვის აღარ ვარსებობ?!..

— ხად იყავი? — ვეკითხები.

— გაბრაზებული ხარ? — ირონიულად მეუბნება.

— არა, მაგრამ ხად იყავი?

— დიდი ხანია მოხვედი?

— ექვსზე შინ ვიყავი.

ახლოს მივედი. სორაკს ხელი უშვა, მძიმედ სუნთქავდა.

— ექვსთან ვიყავი — პირი მომარიდა.

— რატომ?

— ცუდად გავხდი.

— რატომ არ გამაგებინე?

— შემობრუნდა და მკლავები ველზე მომხვია.

— არ მინდოდა, გცოდნოდა.

— რატომ?

— ისეთი არაფერია, ვიცოდი შეშინდებოდი.

გულზე მომეშვა.

— მერე?

- ყველაფერი რიგზეა.
- რაო, რა ვითხრა?
- ღვიძლის გაგანიერება გაქვსო, ნემსი გამოიკეთა.
- ვისთან იყავი?
- პოლიკლინიკაში.
- ჩემთვის კეთქვა, კარგ ექიმთან წავიყვანდი.

შეზარბიქდა და ძკლავზე ხელი წაშავლო. არ შესიამოვნა მისი ამღვრეული თვალები, არეული გამომეტყველება, ასე მთვრალი ქალები მინახავს. ცოტა ხნის შემდეგ გონს მოეგო და ძკლავები ისევ შემომხვია ყელზე, თანაც მთელი ტანით მომეკრა.

- დავით, ნუ მიბრაზდები, დავით გაიცინე!
- შენ ასეთი არ ხარ ზოლმე.
- მე თუ შენ?
- დავით, ნუ ჯავრობ, დავაშავე... შენთვის უნდა მეთქვა, მაგრამ შემეშინდა, ვერ გაგიმხილე. მაპატიე, — თავი შეკრდზე დამადო, — მე არ ვარ შენი ღირსი! შენ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ!
- რას ნიშნავს ყოველივე ეს? — თეა, რას ამბობ, ვერაფერი გამიგია.
- გაიცინე, — თვალეში შემომანერდა, — პო, გაიცინე!
- შენ იტანჯები...
- ხო.. ჩემი ბრალი არაა!.. შენ რომ ასე მიყურებ, ორმაგად ვიტანჯები.
- მე?
- პო... დავით!

ხელი წელზე მოვხვიე, მივიზიდე, მაგრამ იგი ჩემი თეა არ იყო. ვანვერიდე, რომ ეს სიცარიელე არ შევრძნო. თვალი დავხუჭე, რომ კვლავ მეხილა იგი, მაგრამ თეა არადა არა, აღარხად იყო!



ელჟარდ ბაბრიცკი

საზამთრო

ქრის ცივი ქარი. ტალღის გორები
აზოვის გემის კინოსკენ ქრიან.
გენი სავსეა საზამთროებით,
საზამთროები ნაპირზეც ყრია.
დილაბნელაზე უსიფთოდ დავრჩი,
უნდა ვამთქნარო მეც ყარაულში.
საწი დღე-ღამე ვიქნებით ზღვაში,
აფრა ავუშვით...

აქაფებული ტალღა ნავარდობს,
გემს მიემსხვრევა და ქარი ფანტავს.
დაირასავით ვრეკავ საზამთროს,
ვირჩევ და დანით გულს დავახატავ.
მლაშე უდაბნოს მზე ჩივახლა
და გააძევეს ტალღებმა მთვარე...
იმძლავრა ქარმა!
ივარგე ახლა,
უმარჯვე აფრა,
გაფრინდეს ბარემ!

ტალღებზე ქაფი იფშენება თეთრი.
ბნელში საზამთრო საზამთროს ეკერის...
დაუსტვენს ქარი ბოცმანის მსგავსად,
ცა დაუფარავს მოჯარულ ღრუბელს.
ლაყლაყებს საჭე, ჭრიალებს თარსად
და ლამის ჩოწყდნენ აფრები ყულფებს.
ტალღის გრიალში,
ორემჭრიალში,
როგორც წყვდიალში
ხელის ფათურით,
მივექანებით და უილაჯო

ფრთხილად: გააქვთ აფრებს ფათქუნი.
 კარუსელია — ეშმაკის ფანდი,
 ზღვა ისე გვთელავს, ვით ბაზრის ჯგლეთა:
 ზეირთი მენქეზე შეგვაგდებს ნამდვილ.
 გათავდა, ზღვაში ვერ გავალთ მეტად.
 ტალღებზე ქაფი იფშენება თეთრი.
 ბნელში საზამთრო საზაზთროს ეკერის.
 ბოლო სიმღერა ჯერ ხომ არ მითქვამს
 და უკვე ვხედავ — სიცოცხლეს ვტოვებ.
 კარტს ვთამაშობდი, მოხეტე ვიყავ
 და ამის გამო ზღვა „მაჯილდოებს“.
 მზიარულ დღეებს გასვლია ყავლი —
 საჭეც გატყდა და შემოდის წყალიც!
 მზე უდაბნოის ზღვაზე ხასხასებს,
 ჰაერს აღნობს და სითბოს გადიარს.
 არ ჩანს აფრა და ცურავს ტალღაზე
 საზამთრო, გული რომ ახატია.
 აქონრილია ტალღები ზღვაზე.
 სკუმბრიის გუნდი ღაღობს რარიგად.
 ვრილი ზღვაური საზამთროს არწევს
 და ნაპირზედაც რაღე გარიყავს.
 დამთავრდა, გზაში რაც გადახდია —
 ტალღა აღარ ცემს, ქარი არ ერჩის.
 საზამთროს, გული რომ ახატია,
 კახაის ვოგო აიღებს ხელში...
 და ქეშმარიტის ვინ არის მთქმელი,
 რომ სწორედ ჩემს გულს შეახო ხელი!..

დაბრუნება

ვინაც ნიჟარის სიმღერას ისმენს,
 გაჰყვება ნისლებს აფრის ხმაურით,
 ზეშთაგონებას და შეებას მისცემს
 ოკეანე და მლაშე ზღვაური.
 ვინც ნახა, კვამლი როგორ აღნება
 წყალს, ვითა კრთოლა ციური ნათლის,
 იგი დაწყევლილ გზას დაადგება,
 გზას, მოწკრიალეს, ზღვაზე რომ გადის.

მეც ამ გზას ვადექ...
 ვფიქრობდი, ვწერდი,
 მაგრამ დამიდგა დღე შეწოდგომის,
 ქარს ეხლებოდნენ ხეები მკერდით
 და ზღვას ძირამდე არყევდა შტორმი.
 შორს, სადაც ფართო ნაპირი ჩნდება,
 ზღვა ბობოქარი ტალღას მიაფშენის,
 ქარმა მარილი გაჰფანტა შხეფად
 და თოლიების ისმის გნიასი.
 თავს აღარ ვიტყვენ ფიქრით და განსჯით,
 იმ გზას ვადგები, რომელიც მომწონს...
 მატროსის უინი განიჯდა ტანში,
 ჩემთვის ანთებენ ნაპირზე კოცონს.
 უნდა დავტოვო დილით
 დაღნიცკი.
 თან მიმაქვს ნესვი და პური საგზლად.
 არ ვარ პოეტი
 ეღუარდ ბაგრიცკი —
 დღეს ვემზე მინდა ნატროსად ასვლა.
 გრილი ზღვაური დაბერავს მძაფრად
 და გულს შემშიძრავს სხვაგვარი განცდა.
 დაიგრაგნება ქაღალდი აფრად,
 აღიმართება კალამი ანძად.
 ეს შეწოდგომა ისევ მაქეზებს —
 მახსოვდეს ვალი მგოსნის საფერი:
 მშობლიურ ნაპირს არსად გავექცე, —
 წყალს, ცისარტყელას ფერით დაფერილს.
 სიმღერა მხოლოდ ზღვაშია მძლავრი,
 ზღვაზე ნავარდობ, ოცნებავ ჩეწო,
 მაშ, შთაგონების მომბერე ქარი,
 დაქანებული ტალღებზე გემო!

თარგმნა ვიორგო სალუქვაძემ



კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზოთა ჟურნალი

სიგარტლეს უფროსი არა ჰყავს,

ანუ ბიჭოია როგორც ხასიათი

წაიკითხე, ძვირფასო მკითხველო, ჩვენი საყვარელი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი მოთხრობა „სიტყვა იყო ღმერთი“?

თუ წაიკითხე, უთუოდ სულით ხორცამდე შეგძრავდა მასში მონათხრობი, სიტყვის ერთგულემა რომ უღვევს საფუძვლად.

ასე ხდება ყოველთვის, როცა ქვეშაბრიტი მწერალი გვესაუბრება, როცა იგი ზერეულად და ცალმხრივად კი არ იცნობს ცხოვრებასა და ადამიანებს, არამედ რაღაც თანდაყოლილი შექცევს გრძნობით ისე ღრმად სწვდება სინამდვილეს, რომ საოცარი სიცხადით წარმოაჩენს ადამიანთა ზასიათის სხეების თვალისათვის დაფარულ პლასტებს.

მაინც რა უძნელესი დილემის წინაშე აღმოჩნდა ბიჭოია ფურცხვანიძე, რომელსაც კარგად ვიცნობთ მწერლის სხვა მოთხრობებითაც! ვიცი, რა გადახდა თავს ოცდასამი წლის ბიჭს მანამდე. ვიდრე ცხოვრება ესოდენ მკაცრ გამოცდას მოუწყობდა და სამსალით საესე თასს მიაწოდებდა.

ამას მოელოდა ბიჭოია?

განა ოდესმე იფიქრებდა, რომ ბედი ასე გასწირავდა, ასე გადაუღებოდა ცხოვრების გზაზე. მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით რომ აირჩია და უკანმოუხედავად გაჰყვა?

რა თქმა უნდა, ბიჭოიამ იცოდა, რომ არჩეული გზა ვარდით არ იყო მოფენილი, ბევრ ხიფათსა და ფათერაკს გადაჰყრიდა, იქნებ მტრის ტყვიასაც გაეგვირა სადმე, მაგრამ არ იცოდა, თუ ბედი მტერზე უფრო საშიშ მოყვარეს შეახვედრებდა და სწორედ მასთან მოუწყვდა თავისი ადამიანური ღირსების და სხვათა სიცოცხლის დაცვა.

საოცარი კაცი იყო ვანო მურადაშვილი, სიღნაღის მაზრის მილიციის უფროსი, ვისაც ბელმა შეჰყარა ბიჭოია ფურცხვანიძე.

თებერვლის რევოლუცია რომ მოხდა, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა მურადაშვილმა სწავლას თავი მიანება და სამშობლოში დაბრუნდა.

აქ ყველაზე ძნელი გზა აირჩია — ბოლშევიკებს მიემხრო. მონაწილეობდა ლა-გოდენის აჯანყებაში, დაიჭრა, ტყვედ ჩაუვარდა გვარდიელებს და სიკვდილით დასჯა ელოდა, მაგრამ ამასობაში მენშევიკური მთავრობა დაემხო და ციხიდან მკურნალობით გამოვიდა.

ვერაფერს იტყვი, ბრწყინვალე ბიოგრაფია!

მაგრამ თურმე თვით უზუსტესი ანექტორი მონაცემები და ჩინებული ბიოგრაფია ყველაფერი როდია და ყოველთვის როდი გვიქმნის სწორ წარმოდგენას ადამიანზე.

მთავარია, მის სულში ჩაეფხდნოთ, სინდისი გაეუსინჯოთ, ნაქმნარი გაუჩხრაკოთ. ამ მხრივაც ვანო მურადაშვილს თითქოს საყვედური არ ეთქმის.

სინდისის საყოველთაო კრიტიკიუმი თუ სამართლიანობა და პატიოსნებაა, როგორც ეთიკოსები ამტკიცებენ, ვანო მურადაშვილი სამართლიან და პატიოსან კაცად უნდა ჩაეთვალოს.

სრულიად უდავოა, რომ იგი მოუსყიდავი, პრინციპული ხელმძღვანელია, არც უფროსებს უქანტურებს თავს ყველაფერზე — „კი, ბატონო“.

როცა უთხრეს, აღმასკომის თავმჯდომარე გთხოვს, მაგ კაცს ძირამდე ნუ ჩააცივ-დებოი, უყაყმანოდ უპასუხა: „რა თქმა უნდა, არ ჩავცივდები, მაგრამ არც არაფერს ვაპტივებ“. კვლავ რომ შეახსენეს, შენი უფროსი გთხოვს, შე კაცო, ისევ ისე უპა-სუხა, როგორც უნდა ეპასუხა სამართლიან და პრინციპულ კაცს: „სამართლეს უფრო-სი არა ჰყავს, ჩემო კარგო! იგი თავად არის ყველას უფროსი“.

რას იტყვი, მკითხველო, გულში არ უნდა ჩაიყრა ასეთი კაცი, საგანგებო პატივი არ უნდა მიაგო?

მერცხაა, რამდენად წინ წავიდოდა ჩვენი საერთო საქმე, ყველა ჩვენგანი, უკლებ-ლივ ყველანი ასე პრინციპული და სამართლიანი რომ ვიყოთ, ასეთი მიუკერძოებლო-ბა გვჩვეოდეს!

სამართლიანობის ამ დიდებულ გრძნობას მეორე უდიდესი ზნეობრივი ღირსება უდგას ბურჯად და აცისკროვნებს — პატიოსნება.

ღარიბულად ცხოვრობდა ვანო მურადაშვილი, თვალი კი მანც არ გაურბოდა მოჭარბებული კომფორტისა და ნივთებისაკენ.

ღრმად მჯერა, იგი რომ უზარმაზარ თანამედროვე უნივერსალში შეგვეყვანა, სოკრატესავით გაცივებით წამოიძახებდა: აუ, რამდენი ნივთია აქ, რომლებიც არაფრად მესაჭიროებაო.

იმას ვამბობდი, ღარიბულად ცხოვრობდა-მეთქი მურადაშვილი, არც ხეირიანი ავეჯი ჰქონდა და არც საკმარისი, მაგრამ სიღარიბემ ხელმრუდობისაკენ მანც ვერ უბიძგა. ის კი არა, ვაჭრების მიტოვებულ ავეჯზეც თქვა უარი, არ მინდა ხალხი ავალაპარაკო, „ჩვენი მილიციის უფროსს მუქთი კუბო უყვარსო“.

მოდი და, ასეთ კაცს ნუ შეიყვარებ, საგანგებო პატივს ნუ სცემ!

და რა ვასაკვირია, რომ მთელი მასობა მურადაშვილს სამართლიან, მიუკერძოებელ და მოუსყიდავ კაცად თვლიდა, სჯეროდა, რომ „ვერავითარი ჭირა და ჭრთამი მასთან ვერ გასჭრიდა, ძმავაცობა სასწორის ვერ გაუმრუდებდა, მაღლიდან წამოსულ სიტყვას ბრმად არ შეუშვერდა კალთას“.

მეტი რაღაა საჭირო კაცური კაცობისათვის, ავტორიტეტისა და სიყვარულის მოხვეჭისათვის?!

აი, ასეთ კაცს შეახვედრა ბედმა ბიჭოია ფურცხვანიძე, თვითონ მთელი არსებით ალალი, უადრესად გულწრფელი და პატიოსანი ბიჭი.

ბედნიერებაა, არა?

ბიჭოიას კი უბედურებად ექცა ეს შეხვედრა!

თავიდანვე ვერ აეწყო მათი ურთიერთობა, თავიდანვე ბზარი გაუჩნდა. მერგლა-

მერე ეს ბზარი ჯერ ნაპრაღად იქცა, შემდეგ კი ნამდვილ უფსკრულად, რომელშიც ვათაშა ისინი და მკვეთრად დაუპირისპირა ერთმანეთს.

მაინც რა მოხდა?

ჯერ კიდევ დოსტოევსკი გვაფრთხილებდა, რომ ადამიანი მთელი სამყაროა და არ შეიძლება მასში მხოლოდ ერთი სურვილი, ერთი მისწრაფება და განზრახვა დაეინახოთ.

ამ გაფრთხილების ჭეშმარიტებას ვანო მურადაშვილის მაგალითიც ამტკიცებს.

სრულიად უდავოა, რომ მაზრის მილიციის უფროსს, მოუსყიდავ, პრინციპულ და პატიოსან კაცს ძალზე კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა — აელაგმა მშრომელი ხალხის მტრები, განემტკიცებინა ახლად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება.

სხვა მიზანი არც ბიჭოია ფურცხვანიძეს ჰქონდა. სწორედ ამიტომ დაიწყო სამსახური მილიციაში.

ნუ გავივიწყრებთ, მკითხველო, თუ ორ კაცს ერთი და იგივე მიზანი დაუსახავს და მაინც ვერ მოიხვედრება, საერთო ენა ვერ გამოუნახავს.

ხდება ასეც. ხდება იმიტომ, რომ დასახული მიზნის ხორცშესახემლად ერთი ერთ გზას ირჩევს, ხოლო მეორე — სხვას. ერთი თვლის, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, მეორე კი არა.

ასე მოუვიდათ ვანო მურადაშვილსა და ბიჭოია ფურცხვანიძესაც. ერთი ძალადობის, რეპრესიისაკენ ღუნავდა ჯოხს, ხოლო მეორე — აღზრდისაკენ. ერთიც ფიქრობდა, რომ თვითონ იყო მართალი და მეორესაც არ ეეჭვებოდა თავისი სიპართლე.

რა თქმა უნდა, ორივე მხარეს თავისი საბუთი ჰქონდა.

მურადაშვილის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ადამიანს, მისი აზრით, გაჩენის დღიდანვე თან დაჰყვა სიხარბე და შური. ცხოვრება იცვლებოდა, ადამიანის ზნეობა კი არა, მასში კვლავდაკლავ მძლავრობდა შური და სიხარბე.

„ქვეყანაზე ჯერ არ მოსულა ისეთი ადამიანი, — შეავიწყებდა იგი ბიჭოიას, — რომ უფრო დიდი და უფრო საესე ქისა არ უნდოდეს, ვიდრე ერგება და ეკუთვნის, ყველა კაცს შევის ტახტი ელანდება, ნიჭიერნი და უნიჭონი დღენიდავ ერთმანეთს სტამენ, რომ მომეხს თვისას გაუსწრონ და კიბის თავში მოეჭყენენ. ეს ქვეყანა სწორედ ამ სიხარბემ აშალა...“

სწორია!

ადამიანში მართლაც საუკუნეთა მანძილზე მძლავრობდა კერძომეცაკუთრული ფსიქოლოგია, რომელსაც, სამწუხაროდ, დღესაც ვაწყდებით, სიხარბე და შურიც არ გახლავთ უცხო ხილი.

მაგრამ წინათ არც საბჭოთა ხელისუფლება იყო.

რევოლუცია ზომ იმიტომ მოხდა, რომ ადამიანი აღგველორძინებინა და განგვევი-თარებინა ჭეშმარიტად ადამიანური, ჩაგვენერგა მასში მაღალი მორალური თვისებები.

ადამიანთა სულეირი ცხოვრება რთული მოვლენაა. იგი მყარი და ერთ ადგილზე გაყინული როდია. ისიც იცვლება და ვითარდება, მაგრამ ადამიანთა შეგნება ხშირად ჩამორჩება მათს მდგომარეობას, ყოფიერებას. დღესაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ისე სწრაფი გახდა ცხოვრების ტემპი, რომ მას ფეხდაფეხ ვეღარ მიჰყვა ადამიანთა სულეირი ევოლუცია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ზნეობის სფეროში, სადაც უკვე იგრძნობა ერთგვარი „ადამიანურობის დეფიციტი“.

მაგრამ გარემოს გარდაქმნისას, როგორც ჯერ კიდევ კარლ მარქსი მიგვითითებდა, ადამიანი თავის თავსაც გარდაქმნის. ისიც ცნობილია, რომ ადამიანის ზნეობრივი განვითარებისათვის თვით გარემო უნდა გავხადოთ ჭეშმარიტად ადამიანური.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებაში, სოციალიზმის პირობებში. განა სოციალისტური წყობილების უდიდესი სიკეთე ის არ არის, რომ იგი ადა-

მიანს უქმნის პიროვნებად ჩამოყალიბების, მაღალი ზნეობრივი თვისებებზე გასწავლვის, შემოქმედებითი საქმიანობის ყველა აუცილებელ წანამძღვარს?!

სხვა საქმეს, ვის როგორ იყენებს არსებულ შესაძლებლობებს. მაგრამ ჩვენთვისაც — ანა ჩომ ის არის, უკლებლივ ყველას დავეხმაროთ ცხოვრების სწორი გზით არჩევანში, დღენიდან ვიზრუნოთ კომუნისტური სულისკვეთებით, მაღალი ზნეობრივი იდელების შესაბამისად თითოეულის აღზრდისათვის.

ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი იდეოლოგიური აპარატიც.

ვანო მურადაშვილის მთელი უბედურება ის იყო, რომ ადამიანი მიაჩნდა რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულად, რომელიც ყოველთვის, ყველა შემთხვევაში მარტო საკუთარი შინაგანი ხმის კარნახით მოქმედებს, ხოლო რა უდევს ადამიანს გულში, ეს საყოველთაოდ ცნობილია — შური და სიხარბე. მის მორალზე, მურადაშვილის აზრით, არავითარ გავლენას — არც დადებითსა და არც უარყოფითს არ ახდენს გარემო, საზოგადოება. რაც იყო ადამიანი, იგივე დარჩა კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე. იგი ზნეობრივი სრულყოფისათვის კი არა, მეტოქეთა სასიკვდილო იარაღის გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა. ჯერ ქვის ნაჯახით სპობდა თავის მეზობელსა და მოყვასს, მერე — ისრითა და შუბით, შემდეგ თოფითა და ზარბაზნით, ბოლოს გაზით.

ამოდ უმტკიცებდა მას ბიჭოია ფურცხვანიძე, შეიძლება კაცს ცხოვრებაში რაიმე შეეშალოს, რაღაც ვერ მოზომოს, მცდარი ნაბიჯი გადადგას, ან დაეკვდეს, ერთბაშად არ გამოგყვეს, „მიიხედ-მიიხედოს, ნიღაგი მოსინჯოს, მერე იქნებ შენი ხატიც იწამოს და გვერდში ამოვიდგეს“.

ამისათვის ბევრი არაფერიაო საქმრო, კმარა, თუ შემცდარ კაცს დავეხმარებით „მართალი გზა იპოვოს“.

სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ვანო მურადაშვილს ბიჭოიას ეს სიტყვები!

სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, რადგან მტკიცედ, ურყევად სჯეროდა: ვინც თუნდაც ერთხელ დააშავა, ავ ზნეს არ მოიშლის, კეთილ საქმეზე გული არ მოუბრუნდება, კვლავ უკუღმართი გზით ივლის.

ერთი სიტყვით, წყლის ნაყვად მიაჩნდა მურადაშვილს გზასაცდენილის სასიკეთოდ მოქცევის რაიმე ცდა.

„გამოსწორებული ქურდი და ყაჩაღი ჯერ არავის უნახავს, — ამბობდა იგი, — შიოლა ნაზლაიძეს ასი ხელწერილი რომ ჩამოართვა, ბოლომდე მისი ნდობა მაინც არ შეიძლება“.

არც არავის ენდობოდა! ადამიანი ან კეთილიაო, ან ბოროტი. ამის კალღბაზე მხოლოდ ორ ფერს სცნობდა მურადაშვილი — წითელსა და თეთრს, ადამიანებსაც ორ კატეგორიად ჰყოფდა — მოყვრად და მტრად.

„ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია, მორჩა და გათავდა“. — დღენიდან ჩასჩიჩინებდა მილიციელებს მურადაშვილი და პრაქტიკულად ასრულებდა თავის დევნებს: — „არათუ მოპირდაპირე სანგარში ჩამქდარ მეტოქეს, წამიერად გზაჯვარედინზე შემდგარ ადამიანსაც არ შეიწყნარებდა, — მყერღზე თოფის ლულას მიაბჯნდა“.

ახეთი კაცი იყო ვანო მურადაშვილი.

და როგორ დაეთანხმებოდა იგი ბიჭოია ფურცხვანიძეს, ყველას ერთი ჯოხით ნუ გავრეკავთო, ნამდვილი მტერი დავსაჯოთ, მაგრამ დაეკვებულ, შემთხვევით გზასაცდენილ კაცს სიკეთისაკენ მოქცევის საშუალება მივცეთ, ეს კი „მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მსაჯულმა მეტი მოთმინება და გაგება გამოიჩინაო“.

ვანო მურადაშვილს კი არც მოთმინება ჰყოფნიდა და არც გაგება.

„ქვეყანა მოთმინებამ დაანგრიაო“ და ბევრი ბოდში და ცერემონია არ იცოდა. დააშავე, არა? — მაშ. ტყვია შუბლში! არავითარი დანდობა და შეწყალება! სხვაწარად ბოროტება არ აღმოიფხვრება, ძალა იარაღს აქვსო და არა სიტყვას.



„შენ კი ამ დროს რას მეუბნები? — გაკვირვებით ეკითხებოდა ბიჭოსა მუხრანელი. — ახლა ჩვენი მთავარი იარაღი მართალი სიტყვა უნდა იყოს, რომელიც კეთილისავენ მოვამკობთ. შური და სიხარბე ქრისტეს სიტყვამ ვერ ჩაჰკვრის“

„კრისტემ რაც ვერ შეიღო, ვითომ ბიჭოთა გააკეთებდა?“

სასაცილო იყო ამის გაფიქრება კი.

მტკიცედ სჯეროდა ეს მურადაშვილს. და თუ სიტყვა, თუნდაც მართალი, უძლურია და მხოლოდ იარაღს აქვს ძალი, მართლაცდა, სხვა რაღა დარჩა, თუ არა ტყვია შუბლში! და არც არავის ზოგავდა მურადაშვილი — ვისაც ხელთ მოიგდებდა, უმალ წირვას გამოუყვანდა: არა ერთი და ორი გამოასალმა სიცოცხლეს ვითომდა „გაქცევის კდის დროს“.

საშინელებაა, როცა კაცი ბოროტებას სჩადის და მტკიცედ სჯერა, კეთილ საქმეს ვაკეთებო, სწამს თავისი უცოდველობა და სამართლიანობა. ასეთი კაცი მტერზე ხა-შიშია.

აბა, ვინ დააჯერებდა მურადაშვილს, რომ რასაც იგი აკეთებდა, საზიზღარი ვერა-გობა იყო, საშინელი ბოროტება.

ვერაინ!

ასე მოსდის თავდაჯერებულ დოგმატიკოსს, რომელიც მხოლოდ საკუთარ გამოც-დილებას ეყრდნობა, არ სწავლობს ცხოვრებას, სხვებთან ერთად არ ეძებს ქეშმარი-ტებას და არასოდეს გამოუცდია მისი მიგნების ტკივილი და სიხარული.

მურადაშვილისათვის სინამდვილე მხოლოდ იყო, იყო გაქვავებული, უძრავი, მაშინ როცა იგი არა მარტო არის, არამედ იცვლება კიდევც, სხვაფერდება. ვის, თუ არა, უპირველეს უოვლისა, ხელმძღვანელს, მოეთხოვება თვალი ადევნოს მიმდინარე პრო-ცესებს, ღრმად და უოველმხრივ გააანალიზოს ისინი და საერთო ვითარება, ჩასწვდეს თითოეულის სულიერ სამყაროს და ამის კვალობაზე იმოქმედოს!?

უამისოდ სამართალს ვერ იხამ, ადამიანის ბედს სწორად ვერ გადაწყვეტ, ბრალი-ანს უბრალოსაც მოაყოლებ.

განა ვერ ხედავდა მურადაშვილი, რომ ტყე საესე იყო არა მარტო ჩვენი პოლი-ტიკური მტრებითა და ყაჩაღებით, არამედ ფეხის ხმას აყოლილო, გაბრიყვებული გლეხებითაც? განა არ იცოდა, რომ ოციანი წლების დამდეგს საქართველოში მიძებ მდგომარეობა შეიქმნა, მტრებმა ხმა დაარხიეს, ბოლშევიკების დღეები დათვლილიყო და ტყეში გარბოდა ყველა, ვისაც კი თუნდაც სულ მცირე სასჯელი ელოდა, აქაოდა, დღეს თუ არა ხვალ საბჭოთა ხელისუფლება დაემხოდა და სასჯელს აცვდებოთ.

ვერა, ვერ იხამს სამართალს კაცი, რომელიც ერთმანეთისაგან ვერ არჩევს აშკარა მტერს და გაბრიყვებულ თუ დაქვებულ ადამიანს. მართალი იყო ბიჭოთა, როცა ამბობდა: „ცხრა თოქში გამოვლილი ყაჩაღი უფრო დაგინდობს და შეგიწყალბებს, ვიდრე ტყეში გავარდნილი პოლიტიკური მოქიბე... ყაჩაღს შენი ფული და ცხვარ-ძროხა უნდა, პოლიტიკურ მოქიბეს კი ყველაფერი მიაქვს, ფულიცა და სულიცო“.

ტყეში გავარდნილ გლეხს კი შენი არც ცხვარ-ძროხა უნდოდა, არც ფული და არც სული. კი, ბატონო, „ბევრი მათგანი მერე მართლაც ავკაცობდა, ლუკმა პურის იებნაში სოფლებსაც აწიოებდნენ, მაგრამ ისინი მაინც არ იყვნენ ქრისტეს ფეხის მკა-მელი მშავერები“. ამიტომაც მათი შემოორიგება გადაუდებელ საქმედ მაინდა ბიჭოთას.

მურადაშვილისათვის სულ ეოთი იყო ტყეში ვინ იმაღებოდა — პოლიტიკური მტერი, ყაჩაღი თუ მშრომელი კაცი, რომელმაც, მართალია, რაღაც დაშავა, მაგრამ ქვეყანა არ დაუქცევით. იგი ასე მსჯელობდა: სოფელი დატოვე და ტყეს შეაფარე თა-ვი. არა? მამასადამე, დამნაშავე ხარ, მტერი ხარ, ხოლო მტერს მტრულად უნდა მო-ვეკიდო — ტყვია შუბლში!



რა ბედნიერება იქნებოდა, ვანო მურადაშვილს სტოდნოდა, რომ თემიდან სკლ-
ში სასწორი სილამაზისათვის კი არ უჭირავს, არამედ იმისათვის, რომ მჭიდრო-მისჯილ
აწონოს თითოეულის ცოდვა-ბრალი და ყველას დამსახურებული სასჯელს მისცეს.

მურადაშვილს ასეთი სასწორი არ ჰქონდა და არც უნდოდა. როცა ბიჭოიამ ჰკით-
ხა, „მამ რა გქნათ, ამხანაგო ვანო, მივსდგეთ და მუსრი გავავლოთ ყველას?“, მურა-
დაშვილმა უყოყმანოდ უპასუხა: „ყველას... თუ გვინდა ეს ქვეყანა მალე დალაგდეს“.
მსაჯულს, რომელიც ასე ფიქრობს, ასე სჯერა, ცხადია, სასწორი არ უნდა —
არაფერი აქვს სასწორი.

მამ როგორღა მოიბოვა მურადაშვილმა სამართლიანი და მოუსყიდავი კაცის სა-
ხელი?

არისტოტელე ამბობდა, უფრო ადვილიაო უსამართლოდ მოეცილო კაცს, რომელ-
მაც უკვე ჩაიდინა დანაშაული.

ეს გარემოება საქმეს უიოლებდა მურადაშვილს. იგი დანაშაულის სიმძიმეს არ
სწონდა, თორემ მართლაც დამნაშავეს სჯიდა, თუ ერთს არ დაზოგავდა, ალერსით
არც მეორეს გადაუსვამდა თავზე ხელს. ასეთ ღრის გარეგანი ობიექტურობა ჩრდი-
ლავს ყველაზე სასტიკ უსამართლობასაც კი.

ასე გადაეხლართა ერთმანეთს მურადაშვილის პიროვნებაში დადებითი და უარყო-
ფითი, მოუსყიდაობა და ვერაგობა, რამაც იგი იეზუიტურ მორალამდე მიიყვანა —
მიზანი ამართლებს საშუალებას.

სხვათა შორის, მურადაშვილის ფიზიკურ აღნაგობაშიც შეინიშნებოდა თვალში
საკეცი შეუსაბამობა: დევევით კაცს საოცრად წვრილი ხმა ჰქონდა. როცა მას უყუ-
რებდი და უსმენდი, უნებლიეთ ეჭვი შეგებაარებოდა, „ეს კაცი ხომ არ მაპამპუ-
ლებს, აბა როგორ შეიძლება ამოდენა დევის ყელიდან ასეთი წრიბინი ამოდოიღდესო.“
აი, ასეთ კაცს შეახვედრა ბედმა ბიჭოია ფურცხვანიძე.

შეახვედრა და წარუშლელი კვალი დატოვა მის ცხოვრებაში.

ორივე, როგორც ვთქვით, ერთ მიზანს ესწრაფოდა, მაგრამ პოლარულად საწინა-
აღმდეგე პოზიციებზე კი იდგა, მათი თვალსაზრისის მორიგება შეუძლებელი იყო,
ხოლო კონფლიქტი — გარდაუვალი. ცა შევი ღრუბლებით იფარებოდა, ავად იქუფრე-
ბოდა, საცა იყო, მეხი გავარდებოდა და გავარდა კიდეც.

ერთ დღეს ბიჭოიას შეატყობინეს, აჟინაურის მინდორზე ყაჩაღები გამოჩნდნენო.
მაშინვე ამხედრდა იგი და მილიციელებთან ერთად ალყა შემოარტყა ყაჩაღებს.

მინდორს რომ გახედა, თვალს არ დაუჯერა ბიჭოიამ:

სამკალში გაშლილი ყაჩაღები ჰურს მკიდნენ და გულდანღობილი მიჰყევიდნენ
კეალს.

კარგი მცელაგები იყვნენ.

მონატრებით ტყეში გახიზნულ გლეხებს მინდორში შრომა!

ისე ვაიტაცა ბიჭოია ამ უცნაურმა სანახაობამ. რომ დაავიწყდა კიდეც, რისთვის
მოვიდა აქ. ფიქრად წასული, საგუშაგოს უფროსმა გამოაფხიზლა, რაღას ვუცდიოთ,
ჩვენ მზად ვართ, ვესროლოთო.

„შეიძლება ახლა ამათი დახოცვა?“ — წყნარად იკითხა ბიჭოიამ.

„ტყუილად ებოდინებები და ენაზები ამდენს, — უპასუხა საგუშაგოს უფროსმა, —
მგელი მგლობას არ მოიშლის, მათგან კაცი მაინც არ დიდგება!“

ასე არ ფიქრობდა ბიჭოია. „ხელიდან წასულ კაცს ცელი და ნამგალი არ მოენა-
ტრებოდა“, და ბრძანა, ჩუმიად გაეცალეთ აქაურობას და ბორანთან მომიცადეთო.

იმ დღეს თოფი არ გავარდნილა აჟინაურის მინდორზე.

ალბათ, თავად წარმოიდგენს მკითხველო, რა დაემართებოდა მურადაშვილს, ამ
ამბავს რომ შეიტყობოდა.

„კაცი უნდა გაგიყდეს ან შემოგზავნილი მტერი უნდა იყოს, რომ ამგვარი ტი ჩაიდინოს“.

მაშინვე იხმო ფურცხვანიძე და შავი დღე დააყარა. რაკი მათი შემორიგებების და, ბიჭოიამ უფროსის სთხოვა, ცოტა მადროვე და მაგ ყაჩაღებს ცოცხლებს უკანა ყვანო ტყიდან.

გადაირია მურადაშვილი:

„რა გადროვო, შე ლაწირაკო! გამოყვანილი არ გყავდა? ყველანი შენს ხელში არ იყვნენ?“

ასე გაბრაზებული არასოდეს ენახა ბიჭოიას მურადაშვილი, როგორც მგელი გალიაში, ისე დარბოდა თახში და მუშტებს უშენდა კედლებს. ერთი პირი ბიჭოიამ კიდევ გაიფიქრა, აქედან ცოცხალი ვერ გავასწრებო, მაგრამ მოულოდნელად მურადაშვილი დაცხრა, დაწყნარდა.

რა დიდებულად შეუნიშნავს ბრძენ არისტოტელეს ბრაზიანი კაცის დსტილოგიის ერთი მეტად საგულისხმო ედტალი. იგი წერს, რომ ასეთი ადამიანი უაღრესად იტანჯება იმის გამო, რომ შური ვერ იძია, მაგრამ ახარებს შურისგების იმედით.

მურადაშვილს სწორედ ეს იმედი გაუღვიძა ბიჭოიამ. იგი მიხვდა, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული — ის ყაჩაღები ხელიდან ვერ წაუვიდოდა.

ამიტომ მოულოდნელად დაცხრა, დაწყნარდა, მეგობრულ შეხება ბიჭოიას და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „ბოდიში, ბიჭოია, ცოტა გავცხარდი“.

ბიჭოიას ჯერ კიდევ უჭრში უწიოდა „ლაწირაკი“ და ხმა არ გასცა.

მურადაშვილმა იგრძნო, რა ცეცხლიც ტრიალებდა ბიჭოიას გულში და დაუყვავა: „გამოვიყვანო — ადვილი სათქმელია, ჩემო კარგო, მაგრამ რამდენი ქვეა და მოხერხება სჭირდება ამ საქმეს, თუ იცი შენ? თავი არ წააგო ტყუილებრალოდ! მე ჩემი მხრიდან ყველანაირად შეგიწყობ ხელს“...

ბიჭოიას ერთბაშად გაუარა წყენამ და მადლიერი თვალები მიაპყრო უფროსს...

რა იცოდა მაშინ გულუბრყვილო ბიჭოიამ, რა ვერაგულმა აზრმა გაუღვავა თავში მურადაშვილს — ბიჭოიას ხელითვე შემორიგების პირობით ტყიდან გამოიტყუებინა ის ყაჩაღები, მაშინვე დაუბატამებინა და მერე დაეხოცა „გაქცევის ცდის დროს“.

შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მურადაშვილმა ჩაიფიქრა. თუმცა საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა — ყაჩაღები ვეღარ დახტა: ბიჭოიას შეატყობინეს უფროსის ვერაგული განზრახვა და... ხუთივე ყაჩაღი გააპარა.

ასე ჩაიღინა ბიჭოია ფურცხვანიძემ თავის სიცოცხლეში პირველი დანაშაული.

სხვა რა ექნა, რა ელონა?

სულ სამი თუ ოთხი საათი იყო ბიჭოიას განკარგულებაში, ხელი რომ შეეშალა მურადაშვილისათვის, მერე ვერაფერს უშველიდა იმ ბიჭებს, შირაქის მინდერებს მონატრებულ გუთნისდედებს. სადმე ხევში ლაჩრულად და უბრძოლველად ჩახოცავდნენ.

მერე ვინდა დაუჭერებდა ბიჭოიას, რომ მურადაშვილთან არ იყო შეკრული, ამ მუხანათურ, ვერაგულ მკვლელობაში ბრალი არ ჰქონდა?

არავინ!

სინდისშეღახულსა და ვერაგად ცნობილს თავი სადღა გამოეყო, როგორღა ეცოცხლა ქვეყანაზე? უპიროსა და ფიცის გამტებს სახეში შეაფურთხებდნენ, ზურგს შეაქცევდნენ.

ტენის უბურღავდა ბიჭოიას იმაზე ფიქრი, რა ექნა, რა ელონა, როგორ გადგერჩინა ის ბიჭები, თვითონ რომ ჩაუყარა ხელში მურადაშვილს, როგორ დაეცვა თავისი ადამიანური ღირსება.

სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვა, ისევ თვითონ გაუღო ციხის კარები ყაჩაღებს, თუმცა იცოდა, ეს თვითნებობა არ შერჩებოდა და იქნებ სიცოცხლის ფასადაც დაკლომოდა.

ღირსების შელახვას მაინც თავის გაწირვა ამკობინა. იმიტომ, რომ ღირსებას ალტერნატივა არა აქვს. თუ იგი დაკარგე, სიცოცხლე რაღა ბედენაა — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

რატორიამ ბევრი იმ ადამიანის სახელი შემოგვინახა, ღირსების შელახვის მკაცრი მხარდობის, ფიცის გატეხას სიცოცხლის დათმობა რომ ამკობინა.

რომელთა სარდალი რეგული ტყვედ ჩუქვარდა კართაგენელებს, მაგრამ გაათავისუფლეს იმ პირობით, თუ რომის სენატი ტყვეებს გაეცლიდა. რაკი სარდალი თავისუფალი და საღ-სალამათი ნახა, სენატმა უარი თქვა ტყვეების გაცვლაზე.

მაშინ რეგული თავისი ნებით დაბრუნდა კართაგენში, სადაც სიკვდილით დასაჯეს. სიცოცხლეს გამოესალმა, პირობა კი არ გატეხა!

რა არის ეს, სიგიჟე?

შართლაცდა, კაცი თავისუფალი, ცოცხალი, ჯანმრთელი იყო, ცხოვრება წინ გედოს, შევექპოს არათუ სიცოცხლის, პირადი კეთილდღეობის შესარჩუნება და რაღაც სიტყვის, პირობისა თუ ფიცის გულისათვის თავი ვასწირო?

სიგიჟეა, მაშ, რა არის?! — აშკარად თუ არა, გულში მაინც იტყვის ობივატელი, რომელიც პირადი კეთილდღეობის იქით ვერაფერს ხედავს და წარმოდგენაც კი არა აქვს ადამიანურ ღირსებაზე. მიადურაზეთ ასეთ კაცს — ფურთხს მოიწმენდს და არხენად გაუყვება გზას, კმაყოფილი იმით, რომ „მიწის ზევით მაინც ვარო“. დე; იყოს შერცხვენილი, თავლაფდასხმული, ოღონდ ცოცხალი. მსგავს ადამიანებზე უთქვამს დიდ შექსპირს: „ვაი, სირცხვილო, რომ ზოგიერთს არც კი აწითლებ“.

საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც სულ სხვაგვარად ფიქრობენ და მოქმედებენ. ისინი ადამიანურ ღირსებას სიცოცხლეზე მაღლა აყენებენ, მიცემულ სიტყვას ქარს არ ატანენ, პირიქით, ფიცის დარღვევა უდიდეს ზნეობრივ მანკად მიიჩნევიან, მტკიცედ იცავენ მას და ამით თავიანთ ღირსებას აღამაღლებენ. ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს, „სახელის გატეხას თავის გატეხას სჯობსო“. არც რუსთაველი ცდებოდა, როცა ამბობდა: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

და სრულიადეც არ არის შემთხვევითი, რომ ჩვენი სასიქადლო „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძირითადი მოტივი სწორედ სიტყვის, პირობის, ფიცის ერთგულებაა. იგი პოემის სიუჟეტური ხაზის არა მარტო ორგანული ნაწილი, არამედ მისი ღერძია. თუ არა ეს მოტივი, „ვეფხისტყაოსნის“ რუსთაველი იქ დაამთავრებდა, სადაც ავთანდილმა „უცხო მოყმის“ ვინაობა-თავგადასავალი შეიტყო. მისთვის მეტი არაფერი დაუვალებია მეფეს. მაგრამ თავად მიჯნურს არ შეეძლო მეორე მიჯნური ჭირში მარტო დაეტოვებინა და შეპირდა, მეფეს ვეახლები, დაგბრუნდები და ნესტან-დარეჯანს მოგაძენინებო: „ოღეს წამოვე, შევპოვეც ფიცითა საშინელითა: კელა მოვალ, გნახავ პირითა არ მტერთა საწუნელითა“.

თინათინმა საქციელი მოუწონა ავთანდილს, შეაქო კიდევ ფიცის ერთგულებისათვის — „შენ არ გატეხა კარგი გპირს ზენაარისა, ფიცისაო“. შეფემ კი დაუშალა, არ მისცა უკან დაბრუნების ნება.

ასე აღმოჩნდა ავთანდილი ორ ცეცხლს შუა, ისე, როგორც ქართულ ზღაპარშია: „წახალ — ინანებ, არ წახალ — ინანებ“. როგორც ყმა, იგი ვალდებული იყო და-მორჩილებოდა პატრონს. მაგრამ როგორც ადამიანი, ღირსებას ვერ შეილახავდა. სიტყვის ვერ გატეხდა. ბოლოს მაინც ტარიელის ღალატს გაპარვა ამკობინა: „სჯობს წა-ვოდე, არ ვავტეხნე, კაცსა ფიცნი გამოსცდიან“.

კაცსა ფიცნი გამოსცდიანო!

და ასეც არის.

ვინც თავისი სიტყვის პატრონი არ არის, არც კაცია.

სიტყვის გამტეხი ძირს უთხრის ნდობას, რომელსაც ეფუძნება ადამიანთა ურთიერთობა.

შენ თუ არ გენდებ, მას თუ არ ვენდებ, თქვენ თუ არ მენდებთ, — როგორღა ვიცი ხოვროთ ამ ქვეყანაზე?

„ადამიანი, — წერდა ილია ქავევაძე, — იმისთანა თვისებით არის ქვეყანას ვერ განეხილა, რომ ყველაფერში განცალკევებული ვერ მოიხდეს, თავისთა მსგავსად ცხოვრებას ვერ შეიძლება ვერაგზით და ვერას მანქანებით. რაკი ეგრეა, ბრძოლა და მოქმედება ერთმანეთზედ აუცილებელია ადამიანისათვის, უთავისოდ ადამიანთა ერთმანეთში მოთავსება შეუძლებელია და წარმოუდგენელი.“

ბრძოლა კაცის ხატეა

თუ ადამიანმა მარტო „მე“ ცნო და „ჩვენ“ დაივიწყა, რაღა თქმა უნდა, ვეღარ „მოვალეობით ერთმანეთში“, ცხოვრებას ვერ ავაწყობთ.

უნდა ვიცოდეთ, რომ „ჩვენ“ — ეს მოვალეობაა სხვების მიმართ, მთელი საზოგადოების წინაშე და ეს მოვალეობა მით უფრო მეტია, რაც უფრო მრავალმხრივია ჩვენი ურთიერთობა სხვებთან.

ასე ხდება აუცილებელი ხეობა.

ნდობის საფუძველი კი მოვალეობის უყოყმანო აღსრულებაა, სიტყვის, პირობის, ფიცის ერთგულება.

თუ სიტყვას ქარს გავატანთ, მოვალეობას ფეხებზე დავიცილებთ, მარტო თავს კი არ ვაგებთ (ვაიხსენოთ რუსთაველი: „რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა“), არამედ მთელ სოფელსაც.

მართალი იყო ვაჟა-ფშაველა, როცა გულისტყვილით წერდა: „უპირობას ადვილად შეუძლია მთელი სოფლის არსებობა ფათერაკში ჩაადოს“.

ეს არის უპირველესი მიზეზი, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში სიტყვის დღობა, უპირობა რომ დიდ ზნეობრივ ზღვად და უზნეობად ითვლებოდა და ითვლება. ცრუა და დღობიანი კაცს არაფერ ენდობა, საყოველთაო ზიზღს იმსახურებს, „რათან თავია სიტრე ყოველისა უბედობისა“.

გაიხსენე, მკითხველო, როგორ აღმოვითდა ავთანდილი, სამშობლოდან მობრუნებულს ტარიელი ადგილზე რომ არ დაუხვდა: „იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუვე, რად მეცრუვა! ვერ იქმოდა, რად მიქადა! თუ მიქადა, რად მიტყუა!“

„ეფეხისტყაოსანი“ რომ ჩვენი სათაყვანო წიგნია, ჩვენი ზნეობის კოდექსია! ბიჭოთა კი ერთი მათგანია, ვინც ამ დიდებულ პოემაზე აღიზარდა, ვინც მისი მორალი, მისი ზნეობრივი პრინციპები დედის რჩესავით შეიწოვა და შეისისხლობრა.

ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიჭოთა ფურცხვანიძის ხსოვით, ზნეობის ჩამოყალიბებაში. აქი არისტოტელე ამბობდა, როგორი აღზრდაც აქვს კაცს, ისეთივე იქნებაო იგი.

ერთ ბრძენს უთქვამს, ადამიანი რომ იბადება, პირობითად ეწოდება ადამიანი, ეს სახელი უნდა დაიმსახუროსო.

ბიჭოთაც ცდილობდა ადამიანის სახელი მთელი თავისი ცხოვრების ნიშით, გულწრფელი, ბატონისანი მოღვაწეობით დაემსახურებინა და ყველა თავის საქციელს სინდის-ნაშუსის ღარზე ასწორებდა.

ამიტომაც არ გატეხა სიტყვა. არ სურდა დარჩენილი დღენი სიცოცხლისა სინანულში, ვაისა და ვიშში გაეტარებინა და აკაცის ერთი გმირივით ამოეგმინა: „მაზღვევინე, რაც შეგცოდენ, სინდისი გამომთელე“.

სინდისს ვერც ვერაფერს გაგიმთელებს და ვერც ვერაფერს შეგიბღალავს. იგი ხომ ჩვენზე საქციელის შინაგანი შეფასებაა. ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობაა ჩვენზე ყოფა-ქცევისათვის. მიუხედავად, მისი შენარჩუნება მხოლოდ ინდივიდზე და მოცილებული და მეტად არაფერზე და არაფერზე.

მიიღებდა სასჯელს თუ არა ბიჭოთა უნებლიე თვითნებობისათვის, ამის მიუხედავად, სინდისი წმინდა ექნებოდა, ღირსება — შეუბღალავი.

მაგრამ შევცოდავთ, თუ ბიჭოიას საქციელში მარტო საკუთარი სინდისის სიწმინდისათვის ზრუნვას დავინახავთ.

მას გულწრფელად აწუხებდა შემორიგებული ყაჩაღების ბედი. ეცოდებოდა ეს ვახსაცდენილი ადამიანები, რომლებსაც გული შინისაკენ მიუწევდათ (ამისათვის თქვენს წინაშე ნალამ გასწირეს), ენატრებოდათ ოჯახური კერა.

„ნეტა ერთი ჩემს ლოგინში დამაძინა და დედაჩემის ჩაკრული შოთი გამატეხინაო“ უთხრა ერთხელ შიოლა ნაზლაძემ შემოსარიგებლად მისულ ბიჭოიას.

ღმუილი აღმოხდა ბიჭოიას ამ ნატერის გახსენებისას.

ახლა ამ ბიჭებს, მის პატიოსან სიტყვას რომ ენდნენ, მზე უნდა დაბნელებოდათ? გაგონილა ასეთი ვერაგობა, ასეთი მზაკვრობა?!

მხოლოდ იმიტომ, რომ მურადაშვილს არ სჯერა ქურდისა და ყაჩაღის გამოსწორება, არ ენდობა ადამიანს, სიცოცხლეს უნდა გამოსასაღონ შემორიგების ქაღალდს-დანდობილი ბიჭები?

ჯერ კიდევ არ იცოდა ბიჭოიამ, რა საშიშია გრძნობანაკლული კაცი, ისიც ხელმძღვანელი, რომელსაც მკერდში ქვა უდევს და არა გული: რაკი მის აზრს, მის რწმენას გული არ ახლავს, სულ ადვილად შეუძლია გასწიროს ადამიანი, გასწიროს ისე, რომ არავითარი სინდისის ქენჯნა არ იგრძნოს.

არ იცოდა ეს ბიჭოიამ და, თუმცა გული კი უთქვამდა, ამ ამბავს უუქმდართობლო მოპყვებაო, მაინც არ სჯეროდა, თუ მურადაშვილი ასე უბოდიშოდ გატეხდა სიტყვას (შემორიგების ქაღალდს ხომ ისიც აწერდა ხელს!), ასეთ ორპირობასა და ვერაგობას იკადრებდა.

მართლაც ძნელი საქმე, ხელოვნება ყოფილა ადამიანურად იცხოვრო ამ ქვეყანაზე! საამისოდ უნდა ფლობდე ყველაზე ძნელ უნარს — ერთდროულად მოიქცე ზნეობრივადც და მიზანშეწონილადც.

თქმა არ უნდა, საბჭოთა ადამიანისათვის ზნეობრივია ყველაფერი, რაც ხელს უწყობს კომუნისტური იდეალების დამკვიდრებას.

ჩვენი ზნეობის ეს ზოგადი პრინციპი მურადაშვილმა დოგმად მიიჩნია და არა სახელმძღვანელოდ, დაიფიქა (ან არ იცოდა), რომ იგი, ეს ზოგადი პრინციპი, ხორცისხამს მხოლოდ პრაქტიკაში, ხოლო პრაქტიკა მეტად მრავალფეროვანია და კონკრეტული სიტუაციებით აღსავსე — აქ არ გამოდგება ან-ან, მტერი ან მოყვარე.

ერთხელ პირდაპირ უთხრა მურადაშვილს ბიჭოიამ: „მე ეს ცხოვრება უფრო ძნელი მგონია, უფრო ღრმად წასული ქვესკნელ-ზესკნელში“.

მაშასადამე, თუ გინდა არ შეცდე, ზნეობრივად მოიქცე, თითოეული კონკრეტული შემთხვევა გულდაგულ უნდა გაჩხრიკო, გაანალიზო და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტო როგორ მოიქცე.

მურადაშვილი საჭიროდ არ თვლიდა კონკრეტულ სიტუაციაში გარკვევას, არც ქვესკნელ-ზესკნელი ანტერესიბა და მარტივად წყვეტდა საკითხს: ჩვენი არა ხარ, მამ მტერი ხარ — ტყვია შეზღუდში!

იგი არც ზოგადკაცობრიულ მორალს სცნობდა, იმას, რაც ერთნაირად სავალდებულოა ყველა ღროისა და ქვეყნის ადამიანისათვის (სინდის-ნამუსი, სიტყვის ერთგულება და სხვ.), ამ შემთხვევაშიც ვითომდა კლასობრივი მოტივების გამო.

მაზრის მილიციის უფროსს მხოლოდ დამნაშავეს შეპყრობა ევალებოდა და არა დასჯა (ამისათვის სათანადო ორგანოები არსებობდნენ). იგი კი ბოროტად იყენებდა თანადებობას — თვითონვე სჯიდა ადამიანებს გაუსამართლებლად, ვერაგულად, „გაქცევის ცდის“ ღრის.

რა არის ეს, თუ არა, როგორც იურისტები იტყვიან, პენიტენციალური რეპრესია, ანუ ისეთი რეპრესია, რომელიც სისხლის სამართლის სასჯელს იმსახურებს. ასე გახდა მურადაშვილი ვერაგი და ბოროტი.

მისი მაგალითი ნათელყოფს, რომ ის, რაც ზნეობრივი არ არის, არც კანონიერია და მიზანშეწონილი.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვდა, მურადაშვილს ვერაგულად რომ დაეხოცა გზასაცდელი, გაბრიყვებული, მსაშავე შპრობელი გლეხები, ყველა, ვისაც ხელთ მოიგდებდა, უფსკრულში გადაეყარა.

ახლა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მურადაშვილს თავისი ვერაგული ჩანადერი ძვესრულები და დაეხოცა შემოირიგებული ყაჩაღები.

რას იტყვოდა ხალხი?

ვინ გამოვიდოდა ტყიდან თავისი ნებით, ვინღა ენდობოდა შემოირიგების ქალღალს?

ხელს შეუწყობდა თუ გააძლეებდა ეს ბანდიტიზმის, საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი მტრების წინააღმდეგ ბრძოლას?

მასხადამე, მურადაშვილის საქციელი არც ზნეობრივი იყო, არც კანონიერი და მიზანშეწონილი.

ტყეში ვავარდნილ კაცთან სინაზე და ბოდში არ აოისო საჭირო, ამბობდა მურადაშვილი და ეკონა, ბიჭოია რომ შემოირიგებულ ყაჩაღებს ესარჩლება, ყალბო ჰუმანიზმი ამოძრავებსო.

აკი პირდაპირ უთხრა ბიჭოიას: „ყალბი ჰუმანიზმი ძალიან ნუ გაგვიტაცებს, ამხანაგო რაიონის უფროსოო“.

ყალბი ჰუმანიზმი!

გამოდის, რომ თვითონ იყო ჰუმანიტი ჰუმანისტი!

ამას ჰქვია ზედის ირონია!

მართალია, საბჭოთა ჰუმანიზმს სიკეთედ მიაჩნია ბოროტების დაძლევა და არ გამოირიცხავს მტრის დათრგუნვას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია, როცა სხვა გამოსავალი არ არის.

შესანიშნავად თქვა ამის თაობაზე მაქსიმ გორკიმ: თუ მტერი არ ვნებდება, უნდა მოსპო.

მაგრამ თუ ვნებდება?

მას, რაღა საჭირო იყო, რა აუცილებლობა მოითხოვდა შიოლა ნაზლაძისა და მისი ამხანაგების დახოცვას, მით უფრო, რომ არც ერთი არ ყოფილა საბჭოთა ხელისუფლების მტერი?

ახლა თქვენ გვითხებით, მკითხველო, ვაპატიებდით ბიჭოია ფურცხვანიძეს. დღევანდელი ზოგიერთი სუბიექტის მსგავსად, ხელი რომ ჩაეჭნია და ეთქვა, რა ჩემი საქმეა, უფროსია და რაც უნდა ის ქნას, ჩემს სინდისთან მე ხომ მართალი ვარო და ბოროტებს, გაუგონარ ვერაგობას წინ არ აღდგომოდა, არ აღეკვეთა იგი?

არავითარ შემთხვევაში!

მას ლაჩრად ჩავთვლიდით, საკუთარი ტყავი ამჯობინა სიმატლეს, სიკეთეს და ურცხვად გასწირათ სხვა ადამიანთა სიცოცხლე.

ხომ მართალია?

და კიდევ:

იყო თუ არა ბიჭოიას საქციელი ზნეობრივი?

უთუოდ.

სიტყვა არ გატეხა, ბოლომდე უერთგულა მას. სინდისი არ გაიბზარა, ბოროტებას გზა გადაუღობა.

იყო თუ არა მისი საქციელი მიზანშეწონილი?

უთუოდ.

ბიჭოიამ არა მარტო დაღუპვისაგან იხსნა შიოლა და მისი ამხანაგები, არამედ

სახელმწიფო ორგანოებსაც არ გაუტეხა სახელი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეს ფაქტი, რომ რაკი ერთი მაგალითი უკვე იყო, გაბრიყვებული გლეხები დარწმუნებულდნენ, შემორიგების ქალაქი ენუქას ანდერძი არ ყოფილა და ტყეს მატარებელს, სოფელს, შრომას დაუბრუნდებოდნენ.

თუ ასეა, რაღას ვერჩით ბიჭოია ფურცხვანიძეს, რა ბრალი აქვს?

ის, რომ თვითნებობას თვითნებობით უბასუხა?

ასეთ შემთხვევაში იტყვიან: დააშავა, მაგრამ ბრალი არა აქვს, სარგებლობა მოიტანაო.

ბიჭოია ისე მოიქცა, როგორც სინდისი და ნამუსი ავალბდა, თუმცა იცოდა, რომ ამის გამო საფრთხეში იგდებდა თავს.

ამიტომაც შესთავაზა შიოლამ, ბარემ შენც ჩვენთან წამოდიო, სულერთია, აქ აღარ დაგედგომებაო.

თვითონაც კარგად იცოდა ბიჭოიამ, რომ მურადაშვილი შუბლზე არ აკოცებდა, არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა ყაჩაღების გაპარებას, ხელქვეითის ასეთ გაუგონარ ურჩობას.

ბიჭოია იმასაც გრძნობდა, რომ იგი საერთოდ არ მოსდიოდა თვალში მურადაშვილს, და მართალიც იყო.

მურადაშვილს ის აღიზიანებდა, რომ ეს „გუშინ გამომცხვარი კომკავშირელი მახრის უფროსის თითოეულ ნაბიჯს თავის სასწორზე სწონიდა, ყველაფერზე თავისი მოსაზრება და შეხედულება ჰქონდა“. ბოლოსდაბოლოს, ვინ იყო ბიჭოია, „ვისი ტიკიტომარა იყო, რომ პეტერბურგელ სტუდენტს... ჰკუის მასწავლებლად დადგომოდა“.

როგორც ხედავთ, არც პატივმოყვარეობა აკლდა მურადაშვილს!

ბარაქალა ბიჭოიას, რომ ასეთ კაცს არათუ არ შეეებუა, მისი ძლიერების წინაშე არათუ არ დადრკა, ქედი არ მოიხარა, არამედ გაბედულად გადაუგდო ხელთათმანე და გადააწყვეტ ბრძოლაში გამოიწვია.

ღიას, იგი საბრძოლველად დარჩა, რომ ბოროტებას თვალი დათხროდა, სიმართლეს გამარჯვება ეზეიმა.

და შიოლას ტყეში როგორ წაყვებოდა, როცა ტყიდან ყველა მშრომელი გლეხის გამოყვანასა და პატიოსან შრომაში ჩაბმას ესწრაფვოდა!

არა, მისი ადგილი ტყეში კი არა, აქ იყო.

„კვარზეც რომ გამაყრან, ჩემი ადგილი აქ არის, — უბასუხა ბიჭოიამ შიოლას, — თქვენ სადმე ორი დღით თავი შეაფარეთ. მე ჩემს სიტყვას ან გაეიტან, ან აღარ ვიქნები!“

ორი დღით თავი შეაფარეთო.

ამ ორ დღეს უნდა გადაეწყვიტა ყველაფერი.

გადაწყვეტდა კიდევ, გადაწყვეტდა სიმართლის სასარგებლოდ, ბიჭოიას სასარგებლოდ.

ეს იმიტომ, რომ ამქვეყნად მარტო მურადაშვილები არ არიან.

არის კომუნისტა პარტია, სიმართლის უდიდესი ქომაგი, რომელსაც დიდმა ლენინმა არა მარტო ეპოქის გონება, არამედ სინდისი და პატიოსნებაც უწოდა.

ამ პარტიას მიმართა ბიჭოიამ, როგორც ცოდვა-მადლის უზენაეს მსაჯულს.

მაშასადამე, შეგვიძლია გულმშვიდად ვიყოთ, მკითხველო, არც ბიჭოიას მოუვა რაიმე ზიანი და შიოლა და მისი ამხანაგებიც, მათი მაგალითით კი სხვა გლეხებიც სოფელს დაუბრუნდებიან, კეთილ საქმეს, პატიოსან შრომას მოჰკიდებენ ხელს.

ამ რწმენით დავცილდეთ ერთმანეთს, ძვირფასო მკითხველო, და ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ილიას ბრძნული სიტყვები: „მართლაც რომ დიდი საუწევა აღამინათო ცხოვრებაში სინდისი და ნამუსი!“

მაშ, გულდაგულ მოუვაროთ ამ დიდ საუწესს!

შეგზოვ მემორალები

დასასრულს უახლოვდება ქართული პოეზიის თხუთმეტომეულის გამოცემა. მალე გამოვა დარჩენილი ოთხი ტომიც და მკითხველს საშუალება ექნება თვალი გაადევნოს ეროვნული პოეტური გენიის მრავალსაუკუნოვან გზას — დაწყებული ძველი ქართული სასულიერო და საერო ხასიათის პოეტური ძეგლებით, V საუკუნიდან მოკიდებული და დაშთავრებული თანამედროვე ქართული ლექსის საუკეთესო ნიმუშებით. მგერა, თავას დროზე ამ მოვლენას ლიტერატურული კრიტიკა ფართოდ გამოეხმაურება და შეათასებს გამოცემლობა „ნაკადულის“ მიერ გაწეულ შრომას, განსაზღვრავს ამ დიდი და მეტად შრომატევადი გამოცემის ავკარგს.

აქვრად კი ჩვენს ხელთ არის მე-11 ტომი. მასში შევიდა ნაწარმოებები, რომლებიც მიმოთარსებულია XIX საუკუნის ქართული პერიოდიკის ფურცლებზე. ტომს დართული აქვს სოლომონ ხუციშვილის წინახიტყვაობა, რომელიც გვაუწყებს, რომ ამ „თხზულებიდან პირველი გამოქვეყნდა სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ 1832 წელს, ხოლო უკანასკნელი დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“ 1916 წელს. მართალია, მათ შორის ერთ საუკუნესაც აო გაუვლია, მაგრამ ვარკვეულად ჩანს ის შინაძილი, რაც ამ ორ ნაწარმოებს შორის დევს და რაც აჩვენებს ორი სხვადასხვა ლიტერატურული ეპოქის შინაარსსა და განწყობილებას“.

მე-11 ტომი ავსებს და აგრძელებს მე-10 ტომს, რომელშიც შევიდა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზია. ორივე ტომში წარმოდგენილი მწერლების მოღვაწეობის ხანა თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. მათ შორის ის სხვაობაა, რომ მე-10 ტომში შეტანილი 24 ავტორიდან უმრავლესობა მტკიცედ დამკვიდრდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ხოლო მე-11 ტომის ავტორები ფართო საზოგადოებისათვის უცნობი არიან.

როგორც ვხედავთ, ეს არის საქართველოს ისტორიის ერთსაუკუნოვანი (ცოტათი ნაკლები) მონაკვეთი, მაგრამ ლიტერატურული და სოციალური ატმოსფერო ამ პერიოდისა მრავალნაირობით ხასიათდება.

განვითარდა და უმაღლეს საფეხურზე ავიდა ქართული რომანტიზმი, ასპარეზზე გამოვიდნენ დიდი სამოციანელები, სათავე დაედო კრიტიკულ რეალიზმს, და ბოლოს, ჩვენი საუკუნის დამდეგს მწერლობაში აღმოცენდა დემოკრატიული მიმართულება.

საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდება: ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც ამიერიდან დაუკავშირდა რუსეთს, დაჰბერა ახალმა ევროპულმა სიომ. ხალხი აუჯანყდა სოციალურ და ეროვნულ უსამართლობას. ბატონყმობის გადაადრდნის შემდეგ თანდათანობით საფუძველი გამოეცალა ფეოდალურ ცხოვრებას და ფეხი მოიკიდა ბურჟუაზიულმა ყოფამ. დაბოლოს, XIX საუკუნის დასასრული და უდიდესი პოლიტიკური მოვლენები, სამი დიდი რევოლუცია, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი პლანეტის სურათი. — ყველა ამ დიდ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს მხარში ედგა ქართული მწერლობა, რომლის ისტორიას აშკერებებს აღიქმასანდრე შავჭავჭავაძის, ვრიჟოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვეჟის, აღიქმასანდრე ყაზბეგის და სხვა რჩეულ შვილთა ღვაწლი. ეს ის

სახელებია, რომლებიც მწერლობაში კანონმდებლები იყვნენ. მათ გვერდით მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომლებმაც ღრმა კვალი ვერ დააჩნიეს თავისი დროის ლიტერატურულ კარემოს, მათი ნაწერები არც მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა, მაგრამ მათმა ნაწერებმა გენერაციების გარდამქმნელ ძალეებსა და შეძლებისდაგვარად ებრძოდნენ სოციალურ პროგრესს. მათ მიმართ ყოველთვის სიყვარულითა და მზრუნველობით იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენი დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ეს მზრუნველობა კვლავაც გრძელდება. ეს რომ ასეა, ამას ამ ტომის გამოცემაც ადასტურებს.

რადგანაც მე-10 და მე-11 ტომების მწერალთა ცხოვრება ერთი პერიოდისაა, შეიძლება ლავრენტი არდახიანის, იროდიონ ევლოშვილის, დეტუ მეგრელის, სოფ ნიკიპაძის, დიმიტრი ყიფიანის და ზოგიერთი სხვა მწერლის ნაწარმოებები მე-10 ტომში შეგვეტანა, ხოლო ზოგიერთი პირიქით — მე-10 ტომიდან მე-11 ტომში (მიხაკო ორბელიანი, ვანო ბარათაშვილი, მარიამ ერისთავი, გიორგი დვანიძე).

1925 წლით არის დათარიღებული ჩვენი სასიქადულო პოეტის გიორგი ლეონიძის ლექსი „იოსებ დავითაშვილის სურათზე“: „განწირულო, ცხოვრებას ოცნებანი არჩიე, ხეზე ჭრიდი ფრინველებს, ყვავილებს და არშიებს. სველი ყანა გიყვარდა, სოფლის სუფთა ღრუბელი, ბურბუშელის ჩანჩქერი და ლექსი დამღუპველი... იაღქნების მკერვალი, ჭეჭილების დარაჯი, რა ცახცახით დამიწდი დახეულ სუღარაში. უძველო მომღერლებო, თქვენ სახელს ვინ გათიშავს... მტკვერიც მომენტარება თქვენი ჩოხის კალთისა!“

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დიდმა ილია ჭავჭავაძემ სპეციალური წერილი დაწერა „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო“ და 1887 წელს მისი ბიოგრაფია შეადგინა

ილია წერს: „დადუმდა საუკუნოდ კიდევ ერთი „მთქმელი“ მოწყდა ჩვენს ცას ერთი ცოტად თუ ბევრად მანათობელი ვარსკვლავი! კიდევ ერთი „ჩვენგანი“ შეიწირა ყოველთაშემწირველმა წუთის-სოფელმა!..

ერთი „ჩვენგანი“ რომ ვამბობთ, განგებ ვამბობთ. ბევრი კვდება ჩვენში ყოველ დღეს, ყოველ წამს, — „სოფელი ასე მქნელია“, — მაგრამ ამ ბევრში ყველანაშად არ ითქმის „ჩვენგანი“. იმიტომ-კი არა, რომ ჩვენის სისხლისა და ხორცისა არავინ ჰკვდებოდეს, არა. ერი, თუ საზოგადოება, მარტო იმას უნდა ეძახოდეს „ჩვენგანს“, ვისაც რაიმე დავწლი მიუძღვის სიტყვით თუ საქმით...

რა თქმა უნდა, რომ ერთნაირის უხევეთ არ არის ყველა ამ მაღლით მიმადლებული. ამაშიაც არის დიდი-პატარაობა, მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად მაღლის მქონია, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის საშარტლიანი, მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: ეს კაცი ჩვენგანია“.

ასეთი იყო იოსებ დავითაშვილი და ამას აღიარებს ჩვენი ერის სულიერი მოძღვარი ილია ჭავჭავაძე. სწორედ მისგან უნდა ვისწავლოთ თანამედროვეთა დაფასებაც. პატარა-ვარსკვლავზე დაბადებულს არ უნდა ვუყვიროთ, რატომ არა ხარ გენიოსი. ჭაღალდს-რატომ აფუქებო და ა. შ. იოსებ დავითაშვილის ლექსები მე-10 ტომშია შეტანილი. იგი იმიტომ მოვიხმე, რომ მის მიმართ ნათქვამი დიდი ილიას სიტყვები მე-11 ტომის ავტორებსაც ესადაგება.

ასეთი პატარა ვარსკვლავები იყვნენ ნინო ორბელიანი, დავით ერისთავი, გიორგი შარვაშიძე, ნიკო დადიანი, ეკატერინე ერისთავი, დავით ლეონიძე, თეოფილე კანდელაკი-გრიგოლ ვოლსკი, ვლადიმერ მიქელაძე, მიხეილ ასათიანი, ილია ჭყონია, მიხეილ გორდამე, ქაიხოსრო გელოვანი, ბაქარ ქართლელი, ანა დადუმქელიანი, კატო მიქელაძე, ვარლამ რუხაძე, ლადო ახოზაძე, პეტრე მაჭავარიანი, დავით კასრაძე და ბევრი სხვა ტომში წარმოდგენილია 98 ავტორი. ისინი იმ პატარა ვარსკვლავებზე მიმაჩნია, რომლებიც აღარ ციმციმებენ, მაგრამ არც ჩამქრალან. „მოვიწყებული მწერლები“ მათ პირველად ნიკო ნი-

კოლაქმ უწოდა. ისიც ფაქტია, რომ ზოგი მათგანი თავის დროზე ხალხში საკმაოდ პოპულარული იყო. ბევრ მათგანს არც ახლა დაუკარგავს მნიშვნელობა, არც ახლა ეკლია ყურადღება და სიყვარული, ზოგ ლექსს, რომელიც გამოქვეყნებისთანავე სიმღერად აქცეულა ახლაც გაიგონებ აქა-იქ, ახლაც მღერიან. ერთ-ერთი მათგანია ნოე ჩხიკვაძის ლექსი:

ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე?
აცრემლებულ თვალით ვაცეცებ, მოდი ხმა გამე!
ირგვლივ ცივა... სისხლიანი ღამეა, ღამე.
გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე!
მე მარტო ვარ, მარტო ვმღერი... ყრუა სოფელი,
ვის ვუთხრა, ვის განვუმარტო სევდა-ნაღველი.
არვინ მყავდა, არავინ მყავს, არავის ველი —
საიდუმლო მეგობარო, მომეცი ხელი!

ასევე სახარბიელო ბედს ვრგო დღუტუ მებრეღის ლექსს „მე პატარა ქართველი ვარ“. ეს ორი ლექსი საყურადღებოა ფორმითა და შინაარსით, ასევე უშუალოდ, გულწრფელობითა და მხატვრული ფერებით.

დუხჭირი ცხოვრება, ფიქრი ადამიანზე, მშობელი ერისათვის თავდადებულ ადამიანთა დიდება, სამშობლოს უანგარო სიყვარული განსაზღვრავს მეტნაკლებად ამ ლექსების პათოსსა და იდეურ მიმართულებას. უთუოდ არდაეციყების ღირსია მთის ნიავის (გრიგოლ მებრეღიშვილი) „გაზაფხულის გალობა“, „დედა“, „მოგონება“, ქნარის (იოსებ გვანცელაძე) — „რომანსი“, „ვება-ფაფელას სსოვნას“, „სონეტი“, დ. ნინოშინდელის (დავით როსტომიშვილი) — „განსვენებულ ალექსანდრე ყაზბეგს“, „ნაწყვეტები“, სვიმონ გუგუნიავას — „დედა ენა“, „იყავ ერთგული“ და ბევრი სხვა. სანიმუშოდ მოვიტან გიორგი ნამორაძის პატარა ლექსს.

დასდექი, გულო, ნუ ღელავ
ათასგვარ მიტქმა-მოტქმითა,
ზენამან ბრძანა პურისა
შოვნა წვითა და ოფლითა.
მსურს იმის ნებას შევუღდე,
ზე გარდმონაცემ მცნებასა,
ვეგებ როდისმე ველირსო
მეც სიხარულს და შევებას.

„მიეწყებული პოეტების“ ლექსებში უამრავი „პატიოსანი თვალის“ გარეული. ამიტომაც მათი გაჩნდება და გამოშვეურება ჩვენი საპატიო ვალია. ისინი მეტნაკლებად ესპიანებიან და ასახავენ თავიანთ ეპოქას. მათ გარეშე ჩვენი ლიტერატურის ისტორიის კვლევა არ შეიძლება. ისიც ცხადია, რომ ბევრი მათგანი ვერ გადაურჩა დროთა დინებას და დიკარგა, ზოგიერთი ავტორის ვინაობაც დაეწყებულა. ამ ფონზე შეტად მნიშვნელოვანია სოლომონ ხუციშვილის მიერ შედგენილი ცნობარი, რომელიც ტომს ბოლოში ერთვის. იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს და გვეხმარება ჩვენი „უჩინო“ პოეტების ცხოვრების სურათის აღდგენაში.

ავტორთა ერთი ნაწილის ლექსები ვერ ბრწყინავს და ძალიან მოკრძალებულია მათი წვლილი ეროვნული პოეზიის ისტორიაში, მაგრამ ზოგმა მათგანმა პროზაული თუ პუბლიცისტური, ასევე საზოგადოებრივი მოღვაწეობით ღრმა კვალი დააჩნია ქართული კულტურის ისტორიას. მაგალითად, კირილე ლორთქიფანიძე, ილია ჭავჭავაძის თანამშრომელი და ერთ-ერთი „თერგდალეული“ იყო, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყოფიანი შესანიშნავი პუბლიცისტი იყო. ის ფაქტიც კმარა, რომ აკაკი წერეთელმა „განთიადი“ მის სსოვნას უძღვნა.

შე ამ წერილში ხაზი გავუსვი იმ გამოცემისა და, კერძოდ, ამ ტომის მნიშვნელობას. ხოლო ცალკეული ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული ანალიზი მიზნად არ დავიყენებ. ვფიქრობ, ეს არც იყო საჭირო, რადგან ისინი თავიანთ დროსთან მიმართებით განვიხილოთ. დასასრულს, მინდა მოვიტანო ერთი ციტატა ტომის წინასიტყვაობიდან, მელშიც ავტორი იმოწმებს ნ. ჩერნიშევსკის სიტყვებს: „ასეთი მწერლობის, კერძოდ, პოეზიის მნიშვნელობა ჰქონდა მხედველობაში ნ. ჩერნიშევსკის, როცა ლიტერატურული ცხოვრების სირთულის ჩვენებაზე მსჯელობდა: „წინმაველი მწერლობისა და დამსახურებას უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც არა გაუკეთებია რა, ან არაფრის შექმნა არ შეუძლია. სერიოზული მოღვაწე, რომელიც კი შორს წასულა, ვერ დაივიწყებს წინმაველთა დახმარებას მაშინაც კი, როცა მასთან კამათში და ბრძოლაში ჩაებმება“. ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ამტკიცებს და ადასტურებს იმას, რომ კამათისა და ბრძოლისათვის, წინსვლისა და მიღწევისათვის, აუცილებელია განვიღო ეპოქათა მწერლობის ცოდნა, წარმოდგენა ყველა იმისა, რაც ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ, ძლიერ ხშირად ხანგრძლივი და ბეჯითი მოღვაწეობის შედეგად, იმ შესაძლებლობათა გამოყენებითა და ხარჯვით, რაც მათ ჰქონდათ და რაც იმ დროისათვის მისაღები და სავალდებულო ყოფილა.“

ქართული პოეზიის თხუთმეტტომეულის მე-11 ტომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.



მრავალფეროვანი პეკინი



მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია აკარის მხატვართა საგამოფენო დარბაზში მოწყობილმა ზურაბ წულაძის ნამუშევრების პერსონალურმა გამოფენამ.

ზ. წულაძეს ახასიათებს ინტენსიური შემოქმედებითი ძიება, იგი ისწრაფვის მონახოს საკუთარი გზა ხელოვნებაში, ზედმიწევნით დაეუფლოს ხატვის რეალისტურ მეთოდს, სრულყოფს ოსტატობა.

ზ. წულაძის შემოქმედება მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდება. მისი ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა ჯერ სასწაულებელში, შემდეგ კი სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში გამოვლინდა.

მხატვრის ინდივიდუალური მონაცემები — ფერისა და კოლორიტის ფაქიზი შეგრძნება, სამყაროს თავისებური, რომანტიკული ხედვა ზ. წულაძის ნაწარმოებებს მიმზიდველსა და სინტერესოს ხდის.

ფერები, ხასიათი, განწყობილება, ინდივიდუალური ხელწერა, მრავალფეროვნება — აი ის, რითაც გამოირჩევა ვერნისაეზე წარმოდგენილი ნამუშევრები, რომლებიც გულგრილად არავის სტოვებს, კიდევაც იტაცებს და კიდევაც საკმაოდ განაწყობს.

ზ. წულაძე ფართო დიაპაზონის შემოქმედია, გამოფენაზე წარმოდგენილია დეკორა-

ტიული ფერწერა, პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი. მხატვარი ავლენს ფაქტს გეგმურ-ბანს, კოლორიტის გრძობას, ტემპერამენტს. სიცოცხლის, ადამიანის სიყვარულითაა გას-სკვალული ზ. წულაძის შემოქმედება, თუმცა იგი მარტოოდენ სიხარულსა და ალტაერებს როდი გამოხატავს, ზოგჯერ მის ნამუშევრებში ვხვდებით სევდიან მოტივებს, უკუღმარებულ დიდი შინაგანი განცდით გადმოგვცემს. ამ მხრივ აღსანიშნავია „ავტოპორტრეტი“, ში-ნაგანი დაღლილობის კვალი ატყვია მის სახეს, სევდიან მზერას, კარგადაა გადმოცემული განწყობილება. სურათის ფერადოვანი გაშა ეხმიანება ჩანაფიქრს. პორტრეტი ყავისფერ ტონებშია შესრულებული.

ცალკე უხდა აღნიშნოს ზ. წულაძის პეიზაჟები. ჩვენი კუთხის სილამაზე შთაგონე-ბითაა ასახული, დამაჯერებლადაა გადმოცემული სამხრეთის ბუნების ხასიათი, მცენარე-ული სიმდიდრე, ლურჯი ცისა და აყვავებული ველების კონტრასტები. მისი პეიზაჟები ყოველთვის გაცოცხლებულია ადამიანთა ფიგურებით, ხოლო კომპოზიციებში შეტანილი პეიზაჟი აქტიურ როლს თამაშობს განწყობილების შექმნაში. მშვენიერებას ავტორი ბუ-ნების და ადამიანის დამოკიდებულებაში ხედავს.

ცხოვრების ალტჰიმის მრავალპლანიანობა და მისი ემოციური გამოსახვის უნარი იგრ-ძნობა მხატვრის ზეერ ნამუშევარში. საინტერესოდ არის გადაწყვეტილი ფერწერული ტი-ლო „შემოდგომა აპარამი“. ნაწარმოებში იგრძნობა განახლებული სოფლის მაჯისცემა. კომპოზიციის ცენტრს, დედაბოძთან ერთად, ოჯახის წევრები წარმოადგენენ. სურათზე, როგორც ეკრანზე, ასახულია ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მომენტები.

სიყვარულის თემას მიუძღვნა მხატვარმა სურათი „ალეგორია“. ამ ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოების შინაარსის გამხსნელია ორი ფიგურა — გოგონა და ბიჭი, რომე-ლთა მოძრაობა, განწყობა კარგად გამოხატავს სიყვარულის მარადიულობას. ეს ფიგურები მშვენიერად უწყობს ხელს, სურათის სხვა დეტალებს, სფინქსები იქნება ეს, უსასრუ-ლობის გამოხატველი ელემენტები თუ ყვავილი და მტრედი — სიმშვიდისა და პარმო-ნიის სიმბოლო.

ყურადღებას იპყრობს სურათი „მწიფობის თვე“. იგი მოლიანად მომწევანო გაშაშია შესრულებული. ავტორს ოსტატურად აქვს მიგნებული ქართული სოფლის ხასიათი. ახალგაზრდა ქალის ფიგურა ზეავისა და ბარაქის სიმბოლოდაა გამოსახული. დანარჩენ ფიგურათა თავისუფალი განლაგება ავსებს სურათს, გარკვეულ ემოციურ ელერადობას ანიჭებს და შესაფერის განწყობილებას ქმნის.

ფილოსოფიური შინაარსისაა აგრეთვე სურათი „ადამიანი და სამყარო“. ამ ნაწარმო-ებში ადამიანი მხატვარს გონიერების სიმბოლოდ ჰყავს გამოყვანილი. ზაზგასმულია მისი უსაზღვრო შესაძლებლობები. სურათში ორგანულ კავშირშია ინდუსტრიული პეიზაჟი, სი-ცოცხლის ხე, რომელიც ბედის ბორბალზეა გამობმული, და სხვა მხატვრული დეტალები.

მცირე ზომის სურათებიდან ყურადღებას იპყრობს თამაზ ტყაიძისა და შოთა ლეკ-ვეიშვილის პორტრეტები. ავტორმა შეძლო ხასიათებისა და შინაგანი განცდების გადმო-ცემა.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია ყვილა იმ ნაწარმოებზე საუბარი რომლებიც გა-მოფენაზე იყო წარმოდგენილი, ისინი საინტერესოა თავისი გადაწყვეტით, შესრულების მანერით. მხოლოდ ზოგიერთის სახელწოდებას ჩამოვთვლით: „ნატურმორტი ბანქოთი“, „ზამთრის პეიზაჟი“, „სოფლის ახალგაზრდობა“, „ხელები“...



გასულ ორ თვეში

ბულგარული მეგობრები აშარაში

აქარაში რამდენიმე დღეს იმყოფებოდნენ სტუმრები მოძმე ბულგარეთიდან — ბულგარეთ-სსრ კავშირის მეგობრობის ბლაგოვეგრადის საოკრუგო კომიტეტის მდივანი ისკრენ აშმანოვი, ბულგარეთის კომპარტიის სანდანსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ზორისლავ სლივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის სატოვის სათემო კომიტეტის მდივანი დიმიტრ სტოიანოვი. ისინი გვეწვივნენ საპატიო მისიით — ბულგარეთ-სსრ კავშირის მეგობრობის ბლაგოვეგრადის საოკრუგო კომიტეტისა და სსრ კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების აქარის განყოფილებას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხუთწლიანი ხელშეკრულების გახატორმებლად.

დღევანდია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნძემ. საუბრის დროს ამხ. ვ. პაპუნძემ სახე გაუსვა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხუთწლიანი ხელშეკრულების დიდ მნიშვნელობას საბჭოთა და ბულგარული ხალხების შემდგომი დაახლოების დიად საქმეში.

ბულგარეთ-სსრ კავშირის მეგობრობის ბლაგოვეგრადის საოკრუგო კომიტეტსა და სსრ კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების აქარის განყოფილებას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 7 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავის დღეს.

ბულგარელი მეგობრები გაეცნენ ბათუმისა და ავტონომიური რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ადგილებს, იყვნენ დელფინარიუმში, ბოტანიკურ ბაღში, საქართველოს რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმში, გ. დიმიტროვის სახელობის ბათუმის № 24 საშუალო სკოლაში, ჩა-

ქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში, ცინისძირში, ქობულეთში, გოგონაში და სხვ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კინისხვა

საქართველოს კომპარტიის ხელგაჩაურის რაიონული კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, რომელც მოაწყო საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო კომიტეტის პრობანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და მიემდგნა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა შესავალი სიტყვი გახსნა საქართველოს კომპარტიის ხელგაჩაურის რაიონის პირველმა მდივანმა ს. ინაიშვილმა.

მოსენებით „ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ლენინური პრინციპები და თანამედროვეობა“ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნივა.

კპრსონალური ბამოცენა

აქარის მხატვართა საგამოყენო დარბაზში გაიხსნა მოსკოველი მხატვრის ვ. დუგლადის ნაწარმოებების პერსონალური გამოფენა.

გამოფენა გახსნა აქარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ აქარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ს. ინაიშვილი, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ლ. არველაძე, ტრანსფორმატორების ქარხნის მუშა ც. შამუგია, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. პირველი, აქარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. შარაშიძე, მხატვარი ნ. ხალვაში.

მიმდგნა იუბილეს

საზოგადოება „ცოდნის“ აქარის რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობამ

და სამეცნიერო-მეთოდოლოგიურმა საბჭოებმა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავსა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში მოაწვევს ლექტორთა დღეები, თეორიული კონფერენციები.

ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთსა და ჩიხსა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ფილიალში გაიმართა თეორიული კონფერენციები, ხოლო ლექციები თემებზე — „სსრ კავშირის შექმნის ისტორიული მნიშვნელობა“, „სსკპ ცენტრალური კომიტეტის მისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე სასურსათო პროგრამის ფორმირების ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები“, „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის“, „აღზრდის თემა ქართულ ლიტერატურაში“, „რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“ წაიკითხეს ისტორიის ღეცნიერებათა დოქტორებმა პროფესორებმა პ. ცეკვიტარიამ და შ. ჭაფარიძემ, დოცენტმა ა. სურგულაძემ, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ბიბილიევიძემ, მწერალმა დ. ნაცვალაძემ.

პრეზიუმბა ბათუმის თეატრში

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მკუთრებულს მორიგ პრეზიუმბა უწევს ლევან სანიკიძის ერთმოქმედებიანი ტრაგედია „მედია“.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თამაზ შესხმა, მხატვრულად გააფორმა ნოდარ გაფრინდაშვილმა, მუსიკალურად — არჩილ ჩიმაკაძემ.

როლებს ასრულებენ ცირა აბზიანიძე, მანუჩარ შერვაშიძე, კობა კობალაძე, სერგო ბაზიაშვილი, თამილა მერიშვილი, ბადრი შუავენიძე და სხვ.

შვიმენა კრიტიკის სემინარი

საქართველოს მწერალთა კავშირის აქტუალური განყოფილებაში შეიქმნა კრიტიკის სექცია. მისი მიზანია ყოველწლიურად უწყოს ხელი ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკის განვითარებას, მწერალობის ამ დარგის ჩამორჩენის დაძლევას, კრიტიკოსთა ახალი თაობის აღზრდას.

გამართა კრიტიკის სექციის პირველი, დამფუძნებელი კრება. სექციის ამოცანებსა და მიზნებზე დამსწრეთ ესაუბრა მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში.

სექციის მუშაობის ორგანიზაციისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე ილაპარაკეს პროფესორებმა ნ. დუმბაძემ და ზ. ნიჟარაძემ, დოცენტებმა ლ. აბაშიძემ, ე. ჭიჭიშვილმა, პ. ჯორბენაძემ, პოეტმა მ. ვარშანიძემ, დრამატურგმა ა. ჩხაიძემ.

კრიტიკის სექციის ხელმძღვანელად აირჩიეს ი. ბიბილიევილი.

ამვე სხდომაზე განიხილეს შ. ქურიძის ახალი წიგნი „წარსულის ფურცლები“.

ბასტროლში სპარტაძეებს რაიონებში

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს დამსახურებული კლექტივი — აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. საბაძე, მთავარი დირიჟორი — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ნოღაიდელი, დირიჟორი-ქორმაისტერი — ა. ანანიძე).

საგასტროლო ტურნე, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა, დიწყო სამტრედიაში, შემდეგ გამოვიდნენ ლანჩხუთის, წულუკიძის, ვანის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ქიათურის, საჩხერის, ხაშურის, ბორჯომის.

მშრომელთა წინაშე, იქიდან მესხეთ-ჯავახეთს ეწვივნენ და ახალციხესა და ვალეში გამოსვლის შემდეგ, თითქმის ათ დღეს, ასპინძისა და ადიგენის რაიონების სტუმრები იყვნენ.

როგორც ანსამბლის დირექტორმა ნ. ჩავლეიშვილმა თქვა, დაუვიწყარი იყო შეხვედრები ზემო აქარიდან მესხეთის მიწაზე ჩასახლებულ მშრომლებთან. ეს იყო მეტად ამაღლებული უშუალო კონცერტები. ახალმოსახლებები აცნობდნენ თავიანთი ცხოვრებისა და შრომის პირობებს, ათვალიერებინებდნენ ეზო-კარს, მადლობას უხდიდნენ წვევოსათვის და გამოთქვამდნენ სურვილს — ხშირად იხილონ აქარიდან ჩასული მხატვრული კოლექტივები, ცალკეული შემარულელები, პოეტები, მწერლები.

ოცდაათდღიანი გასტროლების დროს ანსამბლმა 26 კონცერტი გამართა და თავისი ხელოვნება უჩვენა ათი ათასზე მეტ მაყურებელს.

„საბჭოთა აპარატი“ გამოსცა

გამომცემლობა „საბჭოთა აპარატი“ მკი-

თხველს მიაწოდა დავით ნაცვალაძის ისტორიული ქრონიკა „კაეშანი ხარდალ მოურავისა“, ავტორი მოგვიტყვის უძველეს ქართველთა ისტორიის უაღრესად მკაფიო კული მონაკვეთის, კერძოდ, იმ პერიოდის შესახებ, როცა იმერეთის მეფე იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ I, იმ გამუდმებული გარეშე და შინაომების შესახებ, რომლებიც დაქცევას და გადაშენებას უქადადა ქართველ ხალხს.

სოლომონ I ეპოქა რთული ისტორიული კატაკლიზმებით იყო აღსავსე. წიგნში ასახულია ის დიდი ბრძოლა, საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიობა რომ ეწეოდა ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის დასამყარებლად, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატით დაგვირგვინდა. მას შემდეგ 200 წელი გავიდა. ეს წიგნიც სწორედ ამ ღირსსახსოვარ თარიღს ეძღვნება.

წიგნის რეცენზენტები არიან ლ. სანიკიძე, ი. სინარულიძე, ფ. ხალვაში და რ. ართილაყვა, რედაქტორი — ლ. ბუჟანიძე, მხატვარი — გ. ფუტყარაძე.



შინაარსი

სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს — № 6.

თანამედროვეობის მხარდამხარ — № 5.
მეგობრობის ბაღი — № 6.

კ მ ე ი ა

- აპაშიძე სოსო — ლექსები, № 5.
- ანაშიძე ლევანი — ძმობის ცისარტყელა, ლექსი, № 5.
- ახვლედიანი ვახტანგი—ლექსები, № 1.
- გვარიშვილი ნანა — ლექსები, № 2, 3.
- გორგაძე რევაზი — ტბელობა, ლექსი, № 5.
- დავითაძე ემენი — ლექსები, № 5.
- ვარშანიძე მამია — ლექსები, № 3.
- თევზაძე ბადრი — ლექსები, № 1.
- თოთაძე ლალი — ლექსები, № 2.
- მელია იაკობი — ლექსები, № 3, 5.
- მეტრეველი ბორისი — ლექსები, № 1, 5.
- მუჯია ქსენია — ლექსები, № 4.
- როჟვა შოთა — ლექსები, № 6.
- სანიკიძე იოსები — ხატვრა, ლექსი, № 5.
- სულაბერიძე პეტრე — ახალმოსახლის სიმღერა, ლექსი, № 5.
- ფირცხალაიშვილი ზურაბი — ლექსები, № 1.
- ქათამაძე ჯემალი — ლექსები, № 1, 3, 4, 6.
- ღლონტი ვახტანგი — ლექსები, № 5.
- ხაბაზი ამირანი — ლექსები, № 5.
- შამანაძე ნოდარი — სოფელი დანისპარაული, ლექსი, № 4.
- ჩაყელი ჯემალი — ლექსები, № 4.

გაზაფხულის სიმღერები

არჩევანიძე ნინო, ბოლქვაძე ზინა, გი-

ორგაძე ქეთინო, მიქელაიშვილი მაია, უდენტი დალი, შანიძე ყუყუნა, ჩხაიძე მარინე, ხალვაში გუგული, ჭინჭარაძე რუსუდან — ლექსები, № 2.

პ რ მ ზ ა

- ახვლედიანი ვახტანგი — ორი დიდი დღე, დოკუმენტური მოთხრობა, № 3, 4.
- კანდელაკი ნანა — გზა აღმართებში, ახალი რომანის ფრაგმენტი, № 3.
- კობალაძე მუხრანი — ერთი ლამაზი სიტყვსლე, დოკუმენტური მოთხრობა, № 6.
- კულბა ანზორი — პერსო, მოთხრობა, № 3.
- მალაზონია ნესტორი — მოგონებათა წიგნიდან, № 1, 2, 3, 4, 5, 6.
- მოდებაძე ნოდარი — თეა, ახალი რომანის ფრაგმენტები, № 3, 4, 5, 6.
- მღებრიშვილი პაულე—მესხური თქმულებები, № 5.
- ნაცვალაძე დავითი — ახსოვს ალანჯანს ყველაფერი, ისტორიული ქრონიკა, № 5.
- სამსონია ალექსანდრე — შალვა, ჩემო სიხარულო. მოთხრობა, № 1, 2.
- სურმანიძე რამაზი — სახეზე ღიმილი შერმა, მოთხრობა, № 2.
- ქუთათელაძე გენრიეტა — სამი წითელი მიხაკი, მოთხრობა, № 2.
- შერვაშიძე ამირანი — მოთხრობები ლესია უკრაინკაზე, № 1.
- ჩაჩუა ანა — შეხვედრა ბავშვთან, წიგნიდან „სამხრეთის მზის ქვეშ“, № 2.
- ხოფერია ჯემალი — მაღალი ხეების ტევრში, მოთხრობა, № 4, 5.

დ ე ბ ი უ ტ ი

- ადამია ნიკოლოზი — ლექსები, № 1.
- მახარაძე თემური — ლექსები, № 3.
- ნიუარაძე მერი — ლექსები, № 4.

შოვნაძე რუსულანი — ნეესურეთში, ლექსი, № 4.

ჯ ე ჯ ი ლ ი

ანანიძე ლევანი — თოვლის ფიფქი, № 2.

სიმონია ვასილი — ფეხბურთელების სურათი, № 2.

ქათამაძე ჯემალი — მამალი, № 2.

ახალი თარგმანები

ბაგრიცი ედუარდი — ლექსები, თარგმნა გიორგი სალუქვაძემ, № 6.

ესენინი სერგეი — ლექსები, თარგმნა შოთა ზოიძემ, № 1. ლექსები, თარგმნა გიორგი სალუქვაძემ, № 2.

ზეგერსი ანა — ორი ძეგლი, მინიატურა, თარგმნა ირინე ვოლკოვამ.

პაუსტოვსკი კონსტანტინე — გატრეცილდარაჯიანი მოხუცი, მოთხრობა, თარგმნა ტიტე ხინთიბიძე, № 2.

რაბია ომარ იბნ აბუ — ლექსები, თარგმნა ზაზა სიხარულაძემ, № 3.

სკოტი ფრენსისი — ღურგლის სახლს მიღმა, მოთხრობა, თარგმნა თამაზ ბურძღვამ, № 3.

ტოტჩიევი ფეოდორი — ლექსები, თარგმნა შოთა ზოიძემ, № 1.

ტოკუტომი როკა — მიწათმოქმედება — წერილი, თარგმნა არჩილ რუგოშელმა, № 3.

შუკუინი ვასილი — სისვი, მომიკითხე, სისვი, მოთხრობა, თარგმნა ჯუმბერ თიმერიაშვილი, № 1.

შნიბაჩივი სტეფანე — ამღლებული ცა, ლექსი, თარგმნა ნანა გვარიშვილმა, № 6.

ჩეხოვსკი პაინცი — ქალები ვაშლის ხის ქვეშ. მინიატურა, თარგმნა ირინე ვოლკოვამ, № 1.

ნარკვევები

ფუთურიძე შოთა — ბამის მშენებელი ელდარ სურმანიძე, № 6.

ფუტყარაძე ოთარი — სამი ძმის სოფელი, № 4. მეზობელ კარისაო, № 6.

ჭავჭავაძე ნუგზარი — ვისი გსურს, № 4, 5.

კინტიას და აკაბლიცისტიკა

ართილაყვა აგია — „ესეუნიკონი“ ეტიუდები, № 1.

ახვლედიანი აზიზი — რწმენის კედელი, № 1.

ბიბილეიშვილი იური — თანამედროვეის თვალით, № 4.

ზოიძე შოთა — პოეტი-მეფე, № 3. უძველესი მომღერლები, № 6.

კალანდარიშვილი ლევანი — ნაშრომ-ეროვნულ ყოფასა და ტრადიციებზე, № 3.

მახარაძე მიხეილი — რენესანსის პრობლემები შალვა ნუცუბიძის ნაშრომებში, № 5.

მელაძე იაკობი — „ერგასი“, № 3.

ნაცვლიშვილი პაველ — „ცაბუნისა“ ზნეობრივი იდეალები, № 4.

ნიუარაძე შოთა — საინტერესო კრებული, № 3.

ქურდიე შოთა — სიმართლეს უფროსი არა ჰყავს, № 6.

ხუციშვილი სოლომონი — ახალი გამოკვლევა, № 2.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ბაჭელიძე ნანა — ღვაწლმოსილი აგრონომი, № 2.

ბერიძე რევაზ — ახალგაზრდობა — იმედი წავლის, № 1.

ბიბილეიშვილი ლუბა — ქართული მეცნიერული პედაგოგიკის დღესები, № 5.

ბორიკი იური — საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალა, № 5.

გორგაძე რევაზი — ამაჯდარი, № 1. გუგუზავა ნანი — ძმობის გზით, № 4.

დოლიძე კარლო — ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების დროშა, № 6.

ჯამბახიძე ანზორი — ძუნღალ მშობ-ლიურ ქალაქს, № 2.

ჯაქარიანი შოთა — თაობათა ესტაფეტა, № 6.

ჯურაბაშვილი ზურაბი — აი, რატომ მიყვარს, № 3.

კახიძე ამირანი, კომახიძე დავითი, მამულაძე შოთა — არქეოლოგიური ვახ-...

რები სხალთისწყლის ხეობაში, № 4.

მგელაძე ნუგზარი — ზემოაჭარული
სოფლის გენეზისის საკითხებისათვის,
№ 2.

მეგრელიძე იოსები — სიმონ გუგუნა-
ვასა და მის მახლობელთა ვინაობისა და
ლექსთა შესახებ, № 3.

ნიჭარაძე ნადიმი — აჭარის ისტორი-
ული წარსულიდან, № 5.

სიხარულიძე იური — ძალისხმევა ამი-
რსპასალარისა, № 1.

შარაძე გურამი — ილია ქაქავაძე
ვერობაში, № 2.

ჩაუღვიშვილი მურადი — აჭარა ოქტო-
ბრის დღეებში, № 6.

ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ბუალავა ვაჟა — მრავალფეროვანი
პალიტრა, № 6.

ბეჭირიშვილი იოსები — შთაგონების
წყარო, № 6.

ეხიტაშვილი ილია — უკრავს აჭარის
სიმფონიური ორკესტრი, № 5.

ტულუში ბეჟანი — ქართული ფილმი
და ქართველი მსაყურებელი, № 3.

გ ე ო გ ო რ ო ბ ა გ ზ ა დ და ზ ი ლ ა დ

ბაუჯაძე ალექსანდრე — დიადი მონა-
პოვარი, № 5.

ბიბალიშვილი იური — კავშირი გუ-
ლთა შორის, № 6.

დემუროვა ლარისა — ახალშენელი ბე-
რძენების ყოფისა და კულტურის ისტო-
რიიდან, № 4.

ნაცვალაძე დავითი — საქართველო
გეორგიევსკის ტრაქტატის ეპოქაში, № 1.

ტულუში ნოდარი — ჩვენი წინსვლის
საფუძველი, № 2.

ცქვიტარია პარმენი — ძმური კავში-
რი, № 4.

რაც დავიწყებით არ ინანდება

ბეთანელიკიორგი — ვეტერანი, № 3.
გორგაძე რევაზი — სოფელს ახსოვს,
№ 4.

დიბაშიძე ლელა — ისინი კომკავში-
რმა აღზარდა, № 3.

დომოვიტოვი ნიკოლოზი — სამოდ
გახსნილი გული, № 6.

მახარაძე შალვა — შინმოუსვლელი,
№ 3.

ცერცვაძე იასონი — ისინი მოსკოვს
იყავდნენ, № 1. 414-ე, წითელდროშო-
ვანი, № 4. საბჭოთა ხალხის გმირობა,
№ 6.

მ ე ლ უ ზ ა

აკობია-ძაძამია მზია — დამალობანას
თამაში, № 5.

ბარამიძე ჯონი — საღალბოდ თბილი-
სის „დინამოს“, № 2.

თავაძე მათე — განა ეს ტრადიციაა,
№ 5.

კვასტიანი კუყური — მუქთახორა,
№ 4.

კვიციანია ბორისი — ავტობიოგრაფია,
№ 5.

მახარაძე მაია — იუმორის გრძნობა,
№ 2.

მელია ბათე — საახალწლო საღალბო-
ბო ბათუმელ მწერლებს, № 1.

მოხეშვილი იური — შესახებ მარტო-
ხელა ჯადოქრისა, № 5.

ჩხაიძე გრიგოლი — ჩვენი და ჩვენი
ეზო, № 4.

ჩხეიძე ჯემალი — საკვირაო ნადირო-
ბა, № 4.

გ ა ს უ ლ ო რ თ ე ჳ უ შ ი

№ 1, 2, 3, 4, 5, 6.

ნოემრში დაბეჭდილია:



ჯეზალ ქათამაძე	3	სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს
შოთა ფუთურიაძე	7	მეგობრობის ბაღი
ოთარ ფუტყარაძე	11	ძმობის სიმღერა (ლექსი)
სტეფანე უნიანოვი	12	ბამის შშენებელი ელდარ სურმანიძე (ნარკვევი)
იური სიბილენიშვილი	17	მეზობელი კარისაო (ნარკვევი)
იოსებ ბაჟირიშვილი	21	ამაღლებული ცა (ლექსი. თარგმანა ნანა გვარიშვილმა)
მურად ნავლიშვილი	23	კავშირი გულთა შორის
კარლო დოლიძე	24	შთაგონების წყარო
ნიკოლოზ დოგონიძე	32	აჭარა ოქტომბრის დღეებში
იასონ ცხრცვაძე	34	აფრიალდა წითელი დროშა
შოთა ზაქარიაძე	39	სამშოდ გახსნილი გული
შოთა რიყვა	42	საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა
მუსტან კოხალაძე	44	თაობათა ესტაფეტა
ნესტორ მაღაზონია	46	ლექსები
ნოდარ მოღვაძე	52	ერთი ღამისი სიცოცხლე (მოთხრობა)
ვლადიმერ ბაბრიცკი	55	მოვონებათა წიგნიდან
შოთა ქვრიძე	61	თვა (ახალი რომანის ფრაგმენტები)
შოთა ზოიძე	68	ლექსები (თარგმანა გიორგი ხალუქვაძემ)
ვაჟა ავალაძე	71	სიმართლეს უფროსი არა ჰყავს
	83	უმეგლო მომღერლები
	87	მრავალფეროვანი პალიტრა
	89	გასულ ორ თვეში
	92	„ჭოროხის“ 1982 წლის ნომრების შინაარსი

გარეკანის 1-ლ გვერდზე — გონიოს ცისე. მხატვარი ავთანდილ ლოვაძე.
 გარეკანის მე-2 გვერდზე — მძლე კავშირი ძმური. მხატვ. ოთარ ფურცაძე.
 ტექნიკური ხელმძღვანელი შუშანა ღარნია

1983 წელს
„ჭოროხში“
დაიბეჭდება
ჭაბუა ამირეჯიბის,
რობერტ სტურუას,
ნესტორ მაღაზონიას,
მამია ვარშანიძისა და სხვათა
ახალი ნაწარმოებები

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი ბახეილაძე, ზურაბ გორგილაძე, მამია ვარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ჯორიძე, დავით თედორაძე, გიორგი სალუქვაძე, ჯემალ ქათამაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ვრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 1.11.82, ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.11.82, საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის № 3105, ემ 01700, ქალაქის ზონა 60X90¹/₁₆, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР, Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

69/3
3360 40 333.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118